წელიწადი მეცამეტე

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქ. კ. პ. (ბ) ცენტ. და თბ. კომიტეტების და საქ. ცაკის ორგანო
ტელეფონები [illegible] რედაქტორის—14—76, რედ. მოადგილის—28—17, სამდივნოსი 10—58, მთ. კანტორის—8—81.

საინფორმაციო ცნობა

1933 წლის 7 იანვრიდან 12 იანვრამდე მიმდინარეობდა საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი.

პლენუმმა განიხილა შემდეგი საკითხები:

1) პირველი ხუთწლედის შედეგები და 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის—სახალხო-სამეურნეო გეგმა.
2) სამანქანო-სატრაქტორო სადგურების და საბჭოთა მეურნეობების პოლიტიკურ განყოფილებათა მიზანი და ამოცანები.
3) შინაპარტიული საკითხები.

შაბათი, 14 იანვარი 1933 წ.

№ 12 (3568)

პირველი ხუთწლედის შედეგები და 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის—სახალხო-სამეურნეო გეგმა

საკ. კომპ. (ბ) ცეკას და ც. საკ. კომისიის გაერთიანებული პლენუმის რეზოლუცია,

მიღებული ამხ. სტალინის, მოლოტოვის და კუიბიშევის მოხსენებათა გამო 1933 წლის 10 იანვარს

I

პირველი ხუთწლედის შედეგები

ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განუხრელად გატარების და მთელს ფრონტზე გაშლილი სოციალისტური შეტევის შედეგად, საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა ბოლშევიკური პარტიის ხელმძღვანელობით წარმატებით შეასრულა ხუთწლედის ძირითადი ამოცანა—საკუთარი მოწინავე ტექნიკური ბაზის შექმნა მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციისათვის.

კაპიტალისტური ქვეყნების ეკონომიკის ნგრევის პირობებში, აღნიშნულ ქვეყნებში უმუშევრობის უმაგალითო ზრდის, სიღატაკის და შიმშილის დროს ხუთწლედის შესრულება საბჭოთა კავშირში არა ხუთ, არამედ ოთხ წელიწადში, (უფრო სწორად ოთხ წელიწადსა და 3 თვეში) არის თანამედროვე ისტორიაში ყველაზე უფრო თვალსაჩინო ფაქტი.

1. მრეწველობის შეუჩერებელი განვითარება საბჭოთა კავშირში და ამავე დროს მრეწველობის კრიზისი და დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში

პირველი ხუთწლედის პერიოდში შეიქმნა მრეწველობის, ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქციის საკუთარი ინდუსტრიალური ბაზა.

ჩამორჩენილ წვრილ გლეხურ ქვეყნიდან, როგორიც იყო ძველი რუსეთი, საბჭოთა კავშირი ჩადგა ტექნიკური მხრივ ყველაზე უფრო განვითარებულ ქვეყნების პირველ რიგებში.

წარმოიშვნენ შავი და ფერადი მეტალურგიის, ქიმიის და ენერგეტიკის გიგანტები: მაგნიტმშენი, კუზნეცმშენი, ურალის სპილენძის კომბინატი, რიდერის პოლილითონის კომბინატი, ვოლხოვის ალუმინის კომბინატი, ჩერნორეჩინსკის და ბერეზნიკოვის აზოტის ქარხნები, დნეპროშესი, ზუევის, ჩელიაბინსკის და შტეროვსკის ელექტროსადგურები, მძლავრი მაღაროები დონბასში, კუზბასში და სხვა რაიონებში, კრეკინგის მსხვილი ქარხნები, საკოქსე დასადგომები და სხვა—და მოხდა მრეწველობის აღნიშნული დარგების თითქმის ყველა მსხვილ საწარმოთა რეკონსტრუქცია.

გაიზარდენ მანქანათმშენებლობის გიგანტები:

ტრაქტორების მშენებლობა, რომელსაც შეუძლია ყოველწლიურად მიაწოდოს სოფლის მეურნეობას რამოდენიმე მილიონი ცხენის ძალა—სტალინგრადის და ხარკოვის სატრაქტორო ქარხნები, პუტილოვის სატრაქტორო ქარხანა, რომელიც ამჟამად კეთდება სამგზავრო ავტომობილების ქარხნად, მძლავრი მგრაგნილი ტრაქტორების ქარხანა ჩელიაბინსკში, რომელიც მალე ამუშავდება;

რთული სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება: კომბაინები, რთული სალეწი მანქანები, კულტივატორები, პიკერები, სელის საწეწი მანქანები—როსტოვის სასოფლო - სამეურნეო მანქანების ქარხანა, სარატოვის კომბაინის ქარხანა, ქარხანა „კომუნარი" ზაპოროჟიეში, ქარხანა „სერპ ი მოლოტ" — ხარკოვში, ლიუბერეცკის ქარხანა და სხვ.

საავტომობილო მრეწველობა, რომლის თვითეულ ქარხანას შეუძლია ყოველწლიურად დაამზადოს იმაზე მეტი, რაც ათეული წლების განმავლობაში დააგროვა მეფის რუსეთმა იმპორტის და საკუთარი წარმოების გზით—სტალინის სახელობის ქარხანა მოსკოვში, მოლოტოვის სახელობის ქარხანა გორკში, მძიმე სატვირთო ავტომობილების ქარხანა იაროსლავში.

მძლავრი ორთქლმავლების და ვაგონების წარმოება: ორთქლმავლის ქარხნები—ახალი ლუგანსკის რეკონსტრუირებული ქარხანა კოლომენსკის ქარხანა, ვაგონების მშენებელი ქარხნები. მშენებლობის პროცესში მყოფი ნიჟნე-ტაგილსკის ქარხანა. „პრავდა"-ს სახელობის რეკონსტრუირებული ქარხანა, კალინინის სახელობის ქარხანა და სხვ.

ელექტროსადგურებისათვის საჭირო **დიდი ტურბინების და გენერატორების** წარმოება. „ელექტროსილა", სტალინის სახელობის ლითონის ქარხანა ლენინგრადში, ტურბომშენი ხარკოვში;

სათბობი მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის წარმოება; მძლავრი შემჭრელი მანქანები ქვანახშირისათვის, კრეკინგები — ნავთისათვის. ტურბობურები, მძლავრი ჯალამბრები და სხვ. წარმოება. გორლოვსკის ქარხანა, სიბმანქანმშენი, პოდოლსკის კრეკინგის ქარხანა, ლეიტენანტ შმიდტის სახელობის ქარხანა ბაქოში და სხვ.

აეროპლანები და ავიო-მოტო - მშენებლობა—ქარხნები: მოსკოვში, გორკში, ვორონეჟში, ციმბირში და სხვ.

რთული დაზგათმშენებლობა და ინსტრუმენტების წარმოება: ქარხნები მოსკოვში, ქალაქ გორკში, ლენინგრადში და სხვ.

ამის შედეგად მთელი მანქანათმშენებლობა მთლიანად 1927-28 წელთან შედარებით, 4,5-ჯერ გაიზარდა (რაც 54 პროცენტით სჭარბობს ხუთწლედის უკანასკნელი წლის ვარიანტს), ხოლო ომის წინადროსთან შედარებით, მანქანათმშენებლობა გაიზარდა 10-ჯერ.

აგებულია ქვანახშირის და მეტალურგიის ახალი ბაზა ურალ-კუზბასი.

ყველა ამის შედეგად:

ა) რადიკალურად შეიცვალა სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის შეფარდება პირველის სასარგებლოდ, ვინაიდან, თუ მრეწველობის ხვედრითი წონა 1928-29 წელს უდრიდა 48 პროცენტს, 1932 წელს იგი გაიზარდა 70 პროცენტამდე, სოფლის მეურნეობის შეუჩერებლივ ზრდასთან ერთად, ხოლო თვით სამრეწველო პროდუქციაში საწარმოო საშუალებათა წარმოებამ მოიპოვა უპირატესი მდგომარეობა, ვინაიდან მძიმე ინდუსტრიის ხვედრითი წონა 44,5 პროცენტიდან 1927-28 წელს გაიზარდა 53 პროცენტამდე 1932 წელს, რამაც ათი პროცენტით გადააჭარბა ხუთწლედის დავალებას.

ბ) სამრეწველო პროდუქციის მოცულობა 1932 წელს, ომის წინადროის დონესთან შედარებით, გაიზარდა 334 პროცენტით და 1928 წელთან შედარებით—219 პროცენტით, 5-წლიანი გეგმით კი, ხუთწლედის უკანასკნელი წლისათვის გათვალისწინებული იყო ზრდა 234 პროც. 1928 წლის დონესთან შედარებით, რამაც განსაზღვრა ხუთწლიანი გეგმის მეხუთე წლის პროგრამის 93,7 პროცენტით შესრულება ხუთწლედის მეოთხე წელიწადში (1932 წ.), ხოლო ხუთწლიანი გეგმის 108 პროცენტით შესრულება მძიმე მრეწველობაში, ამასთან ხუთწლიანი გეგმის შესრულებას თან სდევდა პროდუქციის ყოველწლიურად ზრდა მთელს მრეწველობაში საშუალოდ 22 პროცენტით.

გ) კაპიტალური დაბანდება მრეწველობაში ოთხი წლისა და 3 თვის მანძილზე უდრის 23,3 მილიარდ მანეთს, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით ხუთი წლისათვის გათვალისწინებულ 18,8 მილიარდი მანეთისა, რაც შეადგენს 124 პროცენტს ხუთწლიან გეგმასთან შედარებით, განსაზოგადოებულ სოფლის მეურნეობაში კი ოთხი წლისა და სამი თვის მანძილზე კაპიტალური დაბანდება უდრის 9,4 მილიარდ მანეთს, ნაცვლად ხუთწლიანი გეგმით ხუთი წლისათვის გათვალისწინებულ 7,2 მილიარდი მანეთისა, რაც შეადგენს ხუთწლიანი გეგმის 130 პროცენტს.

დ) შრომის ნაყოფიერება მრეწველობაში ოთხი წლის მანძილზე გაიზარდა 32 პროცენტით, რაც რამდენადმე ჩამორჩება ხუთწლიანი გეგმის დავალებებს.

ამრიგად, საბჭოთა კავშირი აგრარული ქვეყნიდან გადაიქცა ინდუსტრიალურ ქვეყნად, რამაც განამტკიცა ჩვენი ქვეყნის ეკონომიური დამოუკიდებლობა, ვინაიდან საბჭოთა კავშირმა შესაძლებლობა [illegible] საჭირო მოწყობილობის გადამწყვეტი ნაწილი დაამზადოს თავის საკუთარ საწარმოებში.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს მრეწველობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

იმ დროს, როცა საბჭოთა კავშირში ბუმბერაზულად გაიზარდა მრეწველობა, კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილი აქვს საშინელ კრიზისს და სამრეწველო წარმოების კატასტროფიულ შემცირებას. ჩრდილო ამერიკის შეერთებულ შტატებში სამრეწველო წარმოება დაეცა, 1929 წლის წარმოებასთან შედარებით, 44 პროცენტით, გერმანიაში—45 პროცენტით, საფრანგეთში—25 პროცენტით, ინგლისში—20 პროცენტით, პოლონეთში—46 პროცენტით. ამ გარემოებამ წარმოების დონე კაპიტალისტურ ქვეყნებში უკან დახია 3—4 ათეული წლით. კრიზისის შედეგად კაპიტალისტურ ქვეყნებში ადგილი აქვს საწარმოო აპარატის საგრძნობ გაყინვას (საწარმოთა არა საკმაოდ დატვირთვა და დახურვა). ასე მაგალითად, მძიმე მრეწველობის აპარატის გაყინვა გერმანიაში შეადგენს 65 პროცენტს, ჩრდ. ამ. შეერთებულ შტატებში—85 პროცენტს, საწარმოო ძალების და მატერიალური დოვლათის განადგურება. მთელ რიგ კონცერნების კრახი, დაშლა და დემორალიზაცია დღითი დღე, „საუკეთესო" და ცნობილ კაპიტალისტურ საწარმოებში (ფორდი) სწრაფი ტემპით სწარმოებს.

ასეთია კაპიტალიზმის განვითარების შედეგი უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში.

2. სოფლის მეურნეობის შეუჩერებელი განვითარება საბჭოთა კავშირში და ამავე დროს სოფლის მეურნეობის კრიზისი და დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ინდუსტრიის სწრაფმა ზრდამ, ერთი მხრით, და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკის წარმატებით გატარებამ, მეორე მხრით, საშუალება მოგვცა მეგვეიარაღებია სოფლის მეურნეობა ტრაქტორებით და სასოფლო - სამეურნეო მანქანებით, გაგვეერთიანებინა წვრილი გლეხური მეურნეობანი მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებში და მოგვეწყო მარცვლეულის და მეცხოველეობის მეურნეობათა ფართო ქსელი.

ხუთწლედის განმავლობაში სოფლის მეურნეობას გადაეცა:

ა) 120 ათასზე მეტი ახალი ტრაქტორი 1.900 ათასი ცხენის ძალის სიმძლავრით;

ბ) 1.600 მილიონი მანეთის სასოფლო - სამეურნეო მანქანები, რამაც ორჯერ მეტად გაადიდა სოფლის მეურნეობის შეიარაღება მანქანებით, 1928 წელთან შედარებით, განსაკუთრებით დიდად გაიზარდა სოფლის მეურნეობის შეიარაღება სატრაქტორო წევის თანამედროვე რთული მანქანებით.

უკანასკნელი ოთხი წლის განმავლობაში მოეწყო 2.446 სამანქანო-სატრაქტორო სადგური, რომლებიც შეიარაღებული არიან შრომის თანამედროვე იარაღებით, სარემონტო სახელოსნოებით, ავტომობილებით და სხვ.

უკანასკნელ სამ წელიწადში მოეწყო 200 ათასზე მეტი კოლექტიური მეურნეობა, რომლებიც აერთიანებენ გლეხური მეურნეობათა 60 პროცენტზე მეტს და დაახლოებით მთელი გლეხური სათესი ფართობის 75 პროცენტს.

ამავე პერიოდში მოეწყო 500 საბჭოთა მეურნეობა (მარცვლეულის, მეცხოველეობის და ტექნიკური კულტურების), ამასთან კოლმეურნეობანი, საბჭოთა მეურნეობებთან ერთად, აერთიანებენ მთელი სათესი ფართობის 80 პროცენტზე მეტს.

ყოველივე ამის შედეგად:

ა) განადგურებულია კულაკობა, სოფლის მეურნეობაში ძირი გამოეთხარა კაპიტალიზმს და მით უზრუნველყოფილია სოციალიზმის გამარჯვება სოფლად, ხოლო საკოლმეურნეო წარმოება გადაიქცა სოციალისტური მშენებლობის მტკიცე დასაყრდენად;

ბ) გადაჭრილია ისტორიული ამოცანა — წვრილი ინდივიდუალური დაქუცმაცებული გლეხური მეურნეობის გადაყვანა სოციალისტური მსხვილი მიწათმოქმედების რელსებზე, და საბჭოთა კავშირი წვრილი გლეხური ქვეყნიდან გადაიქცა ყველაზე უფრო მსხვილი მიწათმოქმედების ქვეყნად;

გ) გადიდდა სათესი ფართობი 21 მილიონი ჰექტარით, 1927-28 წლის ფართობთან შედარებით, ამასთან მარცვლეულის ნათესის ზრდის მხრით ხუთწლიანი გეგმის ვარაუდის რამდენადმე ასამაღლებლად შესრულების დროს, ტექნიკური კულტურების ხაზით გეგმა შესრულებულია საგრძნობი გადაჭარბებით. 1932 წელს დაითესა 15 მილიონი ჰექტარი ტექნიკური კულტურები, მაშინ, როცა 1932 — 1933 წლისათვის ხუთწლიანი გეგმით დაპროექტებული იყო 11 მილიონი ჰექტარი;

დ) სოფლის მეურნეობის განვითარების საფუძველზე ძლიერ გაიზარდა სასაქონლო პურის რაოდენობა ჩვენს ქვეყანაში: 1927-28 წელს სახელმწიფოსათვის ჩაბარებული 700 მილიონი ფუთი პურის ნაცვლად, რომლიდან კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების პური მხოლოდ 10 პროცენტს შეადგენდა, 1931-32 წელს სახელმწიფოს ჩაბარდა 1.400 მილიონი ფუთი, რომლიდან კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების სასაქონლო პური უდრის უკვე არა ნაკლებ 75 პროცენტს.

ე) გეგმის ვარაუდთან შედარებით მთლიანად აღებული მეცხოველეობის ჩამორჩენის დროს, რაც გრძელდება, სოციალისტური სექტორი მეცხოველეობის დარგში გაიზარდა რამოდენიმე ათეულჯერ 1928 წელთან შედარებით, გადააჭარბა რა მან ხუთწლიანი გეგმის ყველა ვარაუდებს საკოლმეურნეო ფერმების ორგანიზაციის და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობების პირუტყვის რაოდენობის გადიდების ხარჯზე. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი მარტო მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და სასაქონლო ფერმებში 1932 წლის დამლევისათვის იყო 7,6 მილიონი სული, (საბჭოთა მეურნეობებში — 2,1 მილიონი სული და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში — 5,5 მილიონი სული), მაშინ, როცა 1918 წელს იყო 332 ათასი სული. ღორი მარტო მსხვილ საბჭოთა მეურნეობებსა და სასაქონლო ფერმებში 1932 წლის დამლევისათვის იყო 3,6 მილიონი სული, (საბჭოთა მეურნეობებში 950 ათასი სული და სასაქონლო ფერმებში — 2,6 მილიონი სული); მაშინ, როცა 1928 წელს იყო 75.000 სული. ცხვარი და თხა მარტო მსხვილ საბჭოთა მეურნეობებში და საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებში 1932 წლის დამლევისათვის იყო 9,9 მილიონი სული (საბჭოთა მეურნეობებში — 4,4 მილ. სული და სასაქონლო ფერმებში — 5,6 მილ. სული). მაშინ, როცა 1928 წელს იყო 970.000 სული.

სულ სხვა სურათს წარმოადგენს სოფლის მეურნეობის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში.

საბჭოთა კავშირში სოფლის მეურნეობის განვითარების დროს, კაპიტალისტურ ქვეყნებში ამ უკანასკნელ სამი წლის მანძილზე ადგილი ჰქონდა სასტიკ კრიზისს და წარმოების კატასტროფიულ დაცემას სოფლის მეურნეობაში. პურის ნათესის ფართობი შემცირდა 8.10 პროცენტით. ბამბისა, მაგალითად ამერიკაში —15 პროცენტზე უფრო მეტით, შაქრის ჭარხლისა, მაგალითად, გერმანიაში და ჩეხოსლოვაკიაში —22—30 პროცენტით, სელისა, მაგალითად, ლიტვასა და ლატვიაში — 25—30 პროცენტით.

ძალზე შემცირდა სასოფლო-სამეურნეო მანქანების წარმოება და გასაღება: ჩრდილოეთ - ამერიკის შეერთებულ შტატებში — 83 პროცენტით, 1929 წელთან შედარებით, გერმანიაში — 78 პროცენტით, 1928-29 წელთან შედარებით, პოლონეთში თითქმის სრულიად შეწყდა სასოფლო - სამეურნეო მანქანების წარმოება.

სწრაფად იზრდება გლეხების და ფერმერების მეურნეობათა განადგურება, მათი დავალიანება და [illegible] ქონების საჯარო ვაჭრობით გაყიდვა. ოფიციალური ცნობებით, ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში 1929 წელს გაიყიდა 45.000 ფერმერული მეურნეობა. 1931 წელს — 150 ათასი; გერმანიაში 1928 წელს — 10 ათასი. 1931 წელს—18 ათასი მეურნეობა.

ასეთია სოფლის მეურნეობის განვითარების შედეგი კაპიტალისტურ ქვეყნებში.

3. საქონლის ბრუნვის ზრდა ქალაქსა და სოფელს შორის და საბჭოთა ვაჭრობის გაშლა საბჭოთა კავშირში და ამავე დროს კრიზისი და ვაჭრობის დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში

ინდუსტრიალიზაციის წარმატებებმა და საკოლმეურნეო მშენებლობის ზრდამ განამტკიცეს მუშათა კლასის საწარმოო კავშირი კოლმეურნე გლეხობასთან და საბოლოოდ დაამკვიდრეს იგი როგორც ქალაქისა და სოფლის კავშირის ძირითადი ფორმა. ეს გადამწყვეტი გარემოება ვერ გაიგეს პარტიის მემარჯვენე ოპორტუნისტულმა ელემენტებმა. მაგრამ მხოლოდ გაუსწორებელ „მემარცხენეებს" შეეძლოთ იფიქრონ, რომ უკვე ამით ამოწურულია ქალაქისა და სოფლის კავშირის საწარმოო ფორმის განმტკიცების საკითხი, და არ შეაფასონ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების შემდგომი გაფართოების, მისი საბაზრო ფონდების ყოველნაირად გადიდების და საქონლის ბრუნვის გაშლის სამეურნეო და პოლიტიკური მნიშვნელობა სამრეწველო საქონლით მუშების და კოლმეურნე მასების მომარაგების გაძლიერებისათვის.

სახალხო მეურნეობაში სოციალისტური ელემენტების აბსოლუტურმა გაბატონებამ, ვაჭრობიდან კერძო - კაპიტალისტური ელემენტების განდევნამ და საწარმოო კავშირის განმტკიცებამ ასწიეს კავშირის საწარმოო ფორმა ახალ, უფრო მაღალ საფეხურზე — **საბჭოთა ვაჭრობის** საფეხურზე, როცა უზრუნველყოფილია როგორც ქალაქად, ისე სოფლად სახელმწიფოებრივ, კოოპერატიული, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობის გაბატონებული მდგომარეობა და წარმოებს სისტემატიური ბრძოლა სპეკულიაციის აღმოფხვრისათვის ვაჭრობაში. ხუთწლედის შედეგად ჩვენ გვაქვს:

ა) მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის გადიდება 187 პროცენტით 1928 წელთან შედარებით;

ბ) ზრდა საცალო კოოპერატიულ-სახელმწიფო საქონლის ბრუნვისა, რომელიც ამჟამად 1932 წლის ფასებში შეადგენს 39.9 მილიარდ მანეთს, ე. ი. საქონლის მასის [illegible] საცალო ვაჭრობაში 175 პროც. 1928 წლის შემდეგ.

გ) სახელმწიფო კოოპერატიული სავაჭრო ქსელის ზრდა 158 ათასი დუქნით და მაღაზიით 1929 წელთან შედარებით.

დ) სულ უფრო და უფრო იზრდება საკოლმეურნეო ვაჭრობის და სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადების გაშლა ცალკე სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციების მიერ. სულ სხვა სურათს იძლევა საქონლის ბრუნვის მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში, სადაც კრიზისმა გამოიწვია ვაჭრობის კატასტროფიულად შემცირება, საწარმოთა მასიური დახურვა და წვრილ და საშუალო ვაჭრების გაღატაკება. მსხვილი სავაჭრო ფირმების გაკოტრება და სავაჭრო საწარმოებში [illegible] საქონლის დაგროვება მშრომელი მასების მყიდველობითი უნარის სისტემატიური შემცირების პირობებში.

4. უმუშევრობის მოსპობა და მშრომელთა საარსებო დონის ზრდა საბჭოთა კავშირში და ამავე დროს უმუშევრობის უმაგალითოდ ზრდა და მშრომელთა საარსებო დონის დაცემა კაპიტალისტურ ქვეყნებში

მრეწველობის და სოფლის მეურნეობის განუხრელ განვითარებას საბჭოთა კავშირში განსაზღვრავს ორი ძირითადი ფაქტი, რომლებმაც საფუძვლიანად გააუმჯობესეს მშრომელთა მატერიალური მდგომარეობა.

1) უმუშევრობის მოსპობა და ხვალინდელ დღისადმი რწმენის უქონლობის ლიკვიდაცია მუშებს შორის.

2) თითქმის მთელი ღარიბი გლეხობის ჩაბმა საკოლმეურნეო მშენებლობაში და ამ საფუძველზე გლე[illegible], ამასთან დაკავშირებით, [illegible] დაყოფისათვის ძირის გამოთხრა და, ამასთან დაკავშირებით, გაღატაკების და პაუპერიზმის ლიკვიდაცია სოფლად.

მუშათა და გლეხთა მატერიალური მდგომარეობის გაუმჯობესების სფეროში ამ ძირითად მონაპოვართა შედეგად, პირველ ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ მივიღეთ:

ა) მძიმე მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა რიცხვის ერთიორად გადიდება 1928 წელთან შედარებით, რაც იძლევა ხუთწლიანი გეგმის 57 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

ბ) ზრდა სახალხო შემოსავლისა, მათ შორის მუშათა და გლეხთა შემოსავლისა, რომელმაც 1932 წელს 41,1 მილიარდ მანეთამდე მიაღწია, რაც იძლევა 55 პროც. მომატებას 1928 წელთან შედარებით.

გ) მძიმე მრეწველობის მუშათა და მოსამსახურეთა საშუალო წლიური ხელფასის ზრდა 67 პროც. 1928 წელთან შედარებით, რაც იძლევა ხუთწლედის 18 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

დ) სოციალური დაზღვევის ფონდის ზრდა 1928 წელთან შედარებით 292 პროცენტით (4.120 მილიონ მან. 1932 წელს, ნაცვლად 1050 მილიონ მანეთისა 1928 წელს), რაც იძლევა ხუთწლიანი გეგმის 111 პროც. გადაჭარბებით შესრულებას.

ე) საზოგადოებრივი კვების ზრდა, მრეწველობის გადამწყვეტი დარგების მუშათა 70 პროცენტზე გავრცელებით; რაც იძლევა ხუთწლედის ექვსჯერ გადაჭარბებით შესრულებას.

ვ) მრეწველობის გადასვლა 7 საათიან სამუშაო დღეზე, რაც ვრცელდება მუშათა კლასის დიდ უმრავლესობაზე.

სრულიად სხვა სურათს იძლევა მუშათა და გლეხთა მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. კატასტროფიულად გაიზარდა უმუშევართა რაოდენობა. ოფიციალური ცნობებით შეერთებულ შტატების მარტო გადამამუშავებელ მრეწველობაში მუშათა რიცხვი 1928 წელს არსებულ 8.25 მილიონ კაციდან 1932 წელს შემცირდა 5,5 მილიონ კაცამდე. ამერიკის შრომის ფედერაციის ცნობებით კი უმუშევართა რიცხვი შეერთებულ შტატების მთელს მრეწველობაში 1932 წლის დამლევს აღწევდა 12 მილიონ კაცამდე.

ინგლისში უმუშევართა რიცხვი ოფიციალური სტატისტიკის მიხედვით 1928 წელს არსებულ 1290 ათას კაციდან 1932 წელს 2,8 მილიონ კაცამდე გაიზარდა.

გერმანიაში ოფიციალური ცნობების თანახმად უმუშევართა რაოდენობა 1928 წელს არსებულ 1375 ათას კაციდან 1932 წელს 5,5 მილიონ კაცამდე გაიზარდა.

ასეთსავე სურათს ვხედავთ ყველა კაპიტალისტურ ქვეყნებში. ამავე დროს ერთა ლიგასთან არსებულ შრომის საერთაშორისო ბიუროს აშკარად შემცირებულ ცნობების მიხედვით უმუშევართა რაოდენობა კაპიტალისტურ ქვეყნებში (ჩინეთის, ინდოეთის, ინდონეზიის, კორეის გამოკლებით) უკვე 30 მილიონ კაცს აღემატება.

სისტემატიურად ტარდება მუშათა შრომის ხელფასის შემცირება. ოფიციალური ცნობების მიხედვით საშუალო თვიური ხელფასის შემცირებამ შეერთებულ შტატებში მიაღწია 35 პროცენტს, 1928 წლის დონესთან შედარებით. ინგლისში ამავე ხნის განმავლობაში 15 პროც.-ს, ხოლო გერმანიაში — 50 პროცენტსაც კი.

საგრძნობლად შემცირდა დაზღვევის ისედაც უმნიშვნელო ფონდები ინგლისსა და გერმანიაში.

ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში და საფრანგეთში სრულიად არ არსებობს ან თითქმის არ არსებობს უმუშევართა დაზღვევის რაიმე ფორმა, რის გამო კოლოსალურად იზრდება უსახლკარო მუშების და უპატრონო ბავშვების რიცხვი, განსაკუთრებით ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ „შტატებში.

უკეთესი არ არის გლეხთა მასების მდგომარეობა კაპიტალისტურ ქვეყნებში. სასოფლო - სამეურნეო კრიზისი ძირს უთხრის გლეხურ მეურნეობას და მათხოვრად ხდის განადგურებულ გლეხთა და ფერმერთა მილიონებს. საკმარისია აღინიშნოს, რომ ჩრდილოეთ ამერიკის შეერთებულ შტატებში, ოფიციალური ცნობებით, საშუალო ფერმერის წლიური შემოსავალი უკანასკნელ 3 წლის განმავლობაში დაეცა 847 დოლარიდან (1929 წ.) 187 დოლარამდე (1932 წ.).

5. კულტურული ბაზის გაფართოება და ტექნიკური კადრების ზრდა საბჭოთა კავშირში და ამავე დროს ტექნიკური კადრების დაქვეითება და დაქსაქსვა კაპიტალისტურ ქვეყნებში

სახალხო მეურნეობის ზრდას და მშრომელი მასების კეთილ-დღეობის ამაღლებას თან სდევდა კულტურული ბაზის საგრძნობი გაფართოება და ტექნიკური კადრების სწრაფი ზრდა საბჭოთა კავშირში.

დაწყებითი სკოლების მოსწავლეთა რიცხვი საბჭოთა კავშირში გაიზარდა 1928 წელს არსებულ 12 მილიონიდან 19 მილიონამდე 1931 წელში. მთავრდება დაწყებითი სავალდებულო სწავლების გატარება, წერა-კითხვის მცოდნეთა რიცხვი მოსახლეობაში 1930 წელს არსებულ 67 პროცენტიდან ავიდა 90 პროცენტამდე 1932 წელში.

საერთო - საგანმანათლებლო საშუალო სკოლების მოსწავლეთა რიცხვი 1928 წელს არსებულ 1.600 ათასიდან გაიზარდა 4.350 ათასამდე 1932 წელში.

ტექნიკუმების და მუშფაკების მოსწავლეთა რიცხვი 1928 წელს არსებულ 264 ათასი კაციდან გაიზარდა 1.187 ათას კაცამდე 1932 წელში.

უმაღლესი სასწავლებლების მოსწავლეთა რიცხვი 1928 წელს არსებულ 166 ათასი კაციდან გაიზარდა 5 მილ. კაცამდე 1932 წელს.

გაიზარდა სამეცნიერო - საგამოკვლევო ინსტიტუტების რაოდენობა 1929 წელს არსებულ 224-დან 770-მდე 1932 წელს, ხოლო სამეცნიერო მუშაკთა რიცხვი გადიდდა ორჯერ.

ამავე დროს კაპიტალისტურ ქვეყნებში: იხურება უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო ინსტიტუტები, იზრდება ტექნიკური კადრების უმუშევრობა და მათი დეკვალიფიკაცია. უმაღლეს სასწავლებელ დასრულებულთა უმრავლესობას არ აქვს საშუალება არა თუ მოიწყოს თავის სპეციალობის მიხედვით, არამედ საერთოდ გამოძებნოს თავისთვის სამუშაო. ამის გამო მცირდება სტუდენტების შესვლა უმაღლეს სასწავლებლებში, ადგილი აქვს კაპიტალის მიერ თავის მეთაურთა კადრების იძულებითი დაკარგვას. (ფორდი) სულ უფრო ვრცელდება მეცნიერების და ტექნიკის პროგრესის არა საჭიროების „თეორია" და ვხედავთ სამეცნიერო აზრის დეგრადაციას.

6. ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტები დამარცხებული არიან, სოციალისტური ეკონომიკის საძირკველი აშენებულია, სოციალიზმის გამარჯვება საბჭოთა კავშირში უზრუნველყოფილია

ხუთწლიანი გეგმის ოთხწელიწადში ძლევა-მოსილად დამთავრებას საბჭოთა კავშირის მუშათა კლასმა მიაღწია პარტიის ხელმძღვანელობით მედგარ ბრძოლაში კლასობრივ მტერთან, აღმოფხვრა რა მის სულ მცირე წინააღმდეგობასაც კი.—სოციალისტური ინდუსტრიის ზრდის, მარცვლეულის ძირითად რაიონებში მთლიანი კოლექტივიზაციის გაშლის და კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე გადასვლის საფუძველზე, გადაწყვეტილია ძირითადი საკითხი „ვინ—ვის", გადაწყვეტილია სოციალიზმის სასარგებლოდ ქალაქის და სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ.

ხუთწლიანი გეგმის ოთხ წელიწადში ძლევამოსილად დამთავრებას პარტიამ მიაღწია ბრძოლაში გენერალური ხაზის გადაუხრელად და თანმიმდევრობით გატარებისათვის, ბრძოლაში მემარჯვენე ოპორტუნიზმთან, როგორც მთავარ საფრთხესთან, ბრძოლაში „მემარცხენე" გადახვევებთან და კონტრრევოლუციონურ ტროცკიზმთან, ყოველგვარ ანტიპარტიულ დაჯგუფებათა დაუნდობლად განადგურების გზით, კლასობრივი მტრის აგენტების — პარტბილეთის მქონე ბურჟუაზიულად გადაგვარებული ელემენტების გადამწყვეტი მხილების გზით.

ხუთწლიანი გეგმის ძლევამოსილად დამთავრებას პარტიამ მიაღწია ფართო მასების შემოქმედებითი აქტივობის და საწარმოო ინიციატივის განუწყვეტელი ზრდის საფუძველზე, სოციალისტური მშენებლობის დამკვრელ რიგებში მუშათა და კოლმეურნეთა სულ უფრო მეტი რაოდენობის ჩაბმის საფუძველზე, გაშლილი სოცშეჯიბრების საფუძველზე.

მაგრამ სავსებით ინარჩუნებს თავის მნიშვნელობას მე-17-ტე კონფერენციის მითითება იმაზე, რომ სოციალისტური შეტევის წარმატება აუცილებლად იწვევს ახალ ფორმებში კლასობრივი ბრძოლის გამწვავებას ცალკე რაიონებში და სოციალისტური მშენებლობის ცალკე უბნებზე.

კლასობრივი მტრის გაძლიერებული ცდა გაძვრეს კოლმეურნეობათა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელობაში და ჩაშალოს იქ მუშაობა მავნებლობით კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში და სახელმწიფო დავალებათა საბოტაჟის ორგანიზაციის ცდა, რასაც ადგილი აქვს ამ უკანასკნელ დროს საბჭოთა კავშირის ზოგიერთ რაიონში —ერთხელ კიდევ მოწმობს იმას, რომ რევოლუციური სიფხიზლე და მზადყოფნა კლასობრივი მტრის ჩასახშობად უნდა წარმოადგენდეს კომუნისტის ძირითად მცნებას და შემდგომი წინსვლის მთავარ წინაპირობას.

7. პირველი ხუთწლედიდან მეორე ხუთწლედისაკენ

პირველი ხუთწლედი იყო ახალი ქარხნების მშენებლობის ხუთწლედი რომლებიც წარმოადგენენ მრეწველობის ახალ ტექნიკურ ბაზას მთელი სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციისათვის, მიწათმოქმედებაში ახალი საწარმოების —კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის ხუთწლედი, რომლებიც წარმოადგენენ ბერკეტს მთელი სოფლის მეურნეობის ორგანიზაციისათვის სოციალიზმის საფუძვლებზე. აქედან წარმოიდგება გადახრა ახალი მშენებლობისაკენ, ახალი მშენებლობის პათოსი, როგორც პირველი ხუთწლედის პერიოდის პირველი დამახასიათებელი მხარე.

მაგრამ ახალ საწარმოთა მშენებლობა მრეწველობის დარგში, ისე, როგორც სოფლის მეურნეობის დარგში, მიმდინარეობდა, უმთავრესად უკვე არსებულ, ძველ ან განახლებულ სამრეწველო საწარმოთა გამოყენების ხარჯზე, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია და რომელთა გამოყენება არ წარმოადგენდა სიძნელეს. აქედან წარმოსდგება ძველი და განახლებულ სამრეწველო საწარმოთა უზარმაზარი ხვედრითი წონა მზა პროდუქციის წარმოების საქმეში და სამრეწველო პროდუქციის ზრდის უფრო დაჩქარებული ტემპების შესაძლებლობა, როგორც პირველი ხუთწლედის პერიოდის მეორე დამახასიათებელი მხარე.

სხვანაირად იქნება საქმე მეორე ხუთწლედში. პირველი ხუთწლედისაგან განსხვავებით, მეორე ხუთწლედი იქნება, უმთავრესად, ახალ სამრეწველო საწარმოთა ათვისების ხუთწლედი, ახალი სასოფლო - სამეურნეო საწარმოთა —კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცების ხუთწლედი, რაც რა თქმა უნდა, კი არ გამორიცხავს, არამედ გულისხმობს ახალი მშენებლობის შემდგომ განვითარებას., ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედში. თუ მას სურს მიაღწიოს სერიოზულ წარმატებას. ახალი მშენებლობის ცხელებური ლოზუნგი უნდა შეავსოს ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების

რეზოლუციის დასასრული მეორე გვერდზე

მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები

ამხ. ვ. მოლოტოვის მოხსენება

საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ც. ს. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე 1933 წლის 8 იანვარს



ამხანაგებო! ამხ. სტალინის მოხსენებით ამოიწურა საკითხი პირველი ხუთწლედის შედეგების—მსოფლიო ისტორიული მნიშვნელობის შედეგების შესახებ და დასახულ იქნა ძირითადი ამოცანები, რომლებიც ამჟამად დასმულია პარტიის წინაშე. ჩემი ამოცანა მდგომარეობს იმ საკითხების გაშუქებაში, რომლებიც დაკავშირებულია 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო სამეურნეო გეგმასთან.

თავისთავად ცხადია, მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანები უაღრესად მჭიდროდ დაკავშირებულია პირველი ხუთწლედის შედეგებთან. გამოსავალ წერტილს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ პირველი ხუთწლედი შესრულებულ იქნა და ამასთანავე შესრულებულ იქნა 4 წელიწადში. კიდევ მეტი. მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების დასახვის ძირითად წინასწარ პირობას წარმოადგენს ის ფაქტი, რომ ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციის და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის პოლიტიკის განხორციელების საფუძველზე სოციალიზმმა პირველი ხუთწლედის პერიოდში გადამწყვეტი გამარჯვება მოიპოვა, რომ ლენინის მიერ დასმული საკითხი „ვინ-ვის“ ჩვენს ქვეყანაში საბოლოოდ გადაჭრილია. აქედან არ შეიძლება იმ დასკვნის გამოტანა, რომ კლასობრივმა მტერმა დაჰყარა იარაღი, რომ ბრძოლა შეწყდა, ან თუნდაც შენელდა, რომ ყველა სიძნელენი სოციალიზმის გზაზე უკვე გადალახულია. საქმე, რასაკვირველია, ასე არ არის. გადავჭერით რა ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის კაპიტალისტურ ელემენტებთან ბრძოლის ძირითადი საკითხი, ჩვენ ჯერ კიდევ არ გადაგვიჭრია სოციალისტური მშენებლობის მრავალი ძნელი ამოცანა. მაგრამ პირველი ხუთწლედის პოლიტიკურ შედეგებზე და მატერიალურ მიღწევებზე დაყრდნობით, ჩვენ ახლა შეგვიძლია უფრო წარმატებით გადავჭრათ ეს ამოცანები. თუ ჩვენ, მიუხედავად ჩვენში მუშაობის დეფექტებისა—ხოლო ასეთი დეფექტები ბევრია,—პირველი ხუთწლედის ძირითადი ამოცანები შევასრულეთ, ხოლო გადამწყვეტ დარგებში არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულეთ, ახლა მეორე ხუთწლედის დაწყებიდან ჩვენ მოგვეპოვება დიდი და ამავე დროს მრავალმხრივ გაფართოებული შესაძლებლობანი სოციალიზმის მშენებლობის ახალი უდიდესი ამოცანების გადასაჭრელად. მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების შესრულებას ჩვენ შევუდექით ძალებით, რომელნიც საგრძნობლად განმტკიცდენ, საგრძნობლად გაიზარდენ და დღითი-დღე იზრდებიან.

როგორია ჩვენი ძირითადი სამეურნეო ამოცანები 1933 წელს? რამდენადაც მრეწველობაშიაც, სოფლის მეურნეობაშიაც და ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვაშიაც სოციალისტურმა ელემენტებმა უკვე მტკიცედ მოიპოვეს გაბატონებული მდგომარეობა, იმდენად სოციალისტურ ფორმების შემდგომი განვითარების საკითხში, წინ მივდივართ რა შემდეგშიაც, არ ვისახავთ რაოდენობრივი ხასიათის რაიმე ახალ მსხვილ ამოცანას. ამ წლის გეგმის მიხედვით ეგრედწოდებულმა „სოციალისტურმა სექტორმა“ — უკეთ რომ ვსთქვათ მეურნეობის სოციალისტურმა ფორმებმა — უნდა მოიცვას ჩვენი სახალხო მეურნეობის შემოსავლის $^{9}/_{10}$ (89,5 პროცენტი), მაგრამ 1932 წელს იგი უკვე შეადგენდა 87 პროც. და ამიტომ სოციალისტური ფორმების როლის შესახებ ჩვენს მეურნეობაში ამჟამად აღარ მოგვიხდება ბევრი ლაპარაკი. ეს ფორმები აქ ბატონობენ და ბატონობენ ნამდვილად. გეგმა ითვალისწინებს უდიდეს სამუშაოებს კაპიტალური მშენებლობის ხაზით. კაპიტალური სამუშაოები 1933 წ. მშენებლობის ყველა დარგში შეადგენენ 18 მილიარდ მანეთს, და, მაშასადამე, იმაზე უფრო მეტს—თუმცა ცოტათი, — რაც ჩვენ შევასრულეთ გასულ წელს, რომელიც ყველაზე უფრო მძლავრი იყო მთელს განვლილ პერიოდში. რაც შეეხება ინდუსტრიას, 9.164 მილიონი მანეთის ნაცვლად კაპიტალური სამუშაოები მრეწველობის ხაზით მეორე ხუთწლედის პირველ წელს შეადგენენ 10.109 მილიონ მანეთს. ეს ნიშნავს იმას, რომ კაპიტალური სამუშაოები მრეწველობის ხაზით მიმდინარე წელს თითქმის ერთი მილიარდი მანეთით მეტია გასულ წელთან შედარებით, ხოლო ეს იძლევა ინდუსტრიის კაპიტალური მშენებლობის 10 პროცენტით ზრდას 1932 წელთან შედარებით.

მრეწველობის საერთო პროდუქციის მხრივ მხოლოდ 4 საწარმოო სახალხო კომისარიატის ხაზით — მძიმე მრეწველობის, მსუბუქი მრეწველობის, მომარაგების და სატყეო მრეწველობის სახალხო კომისარიატების ხაზით — გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის ზრდა 16,5 პროცენტით. თქვენ რასაკვირველია ყველას გახსოვთ ამხ. სტალინის შენიშვნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ჩვენში ამჟამად სამრეწველო პროდუქციის ზრდის თვითეული პროცენტი. ხოლო ჩვენკი ამოცანად ვისახავთ სამრეწვ. პროდუქციის გადიდებას 1 წლის განმავლობაში არა 10, არამედ 16,5 პროცენტით, ე. ი. თუ 1932 წელს იგი უდრიდა 29,2 მილიარდ მანეთს, მიმდინარე წელს უნდა გაიზარდოს 34 მილიარდ მანეთამდე.

ელექტროენერგიის გამომუშავების მხრივ კი გეგმა ითვალისწინებს მომატებას 25 პროცენტზე მეტით.

რაც შეეხება სოფლის მეურნეობას, აქ როგორც თქვენ იცით, პარტია და მთავრობა სწორად სთვლიან მთელი ყურადღება მიექცეს მოსავლიანობის გადიდებას და არა ნათესი ფართობის შემდგომ ზრდას. ამიტომ სათესი ფართობის საერთო სიდიდე 1933 წელს დაახლოებით ისეთივეა, როგორც წინა წელს, მაგრამ სამაგიეროდ მიწათმოქმედების თვითეულ დარგში დასახულია მოსავლიანობის გადიდების კონკრეტული ამოცანები და ეს ამოცანები ყოველ მიზეზს გარეშე უნდა იქნენ შესრულებული.

გადიდებულ მოთხოვნებს უყენებთ აგრეთვე ჩვენს ტრანსპორტს, მაგალითად, რკინის გზების ტვირთბრუნვა საგრძნობლად უნდა გაიზარდოს: თუ გასულ წელს ყოველდღიურად საშუალოდ იტვირთებოდა 50.500 ვაგონი, მიმდინარე წელს ჩვენ უნდა მივაღწიოთ 58.000 ვაგონის ყოველდღიურ საშუალო დატვირთვას, რაც ნიშნავს ტვირთბრუნვის 15 პროცენტით გადიდებას რკინის გზის ტრანსპორტზე.

და, ბოლოს, სახელმწიფო ბიუჯეტი, რომელშიაც თავს იყრის მთელი ჩვენი მეურნეობის ფინანსირების ძაფები და რომლის როლი სოციალისტურ მშენებლობაში განსაკუთრებით დიდია, მიმდინარე წელს საგრძნობლად უნდა გაიზარდოს. სახელმწიფო ბიუჯეტი შემოსავლის ხაზით 30 მილიარდ მანეთიდან უნდა გაიზარდოს 35,7 მილიარდ მანეთამდე, ე. ი. თითქმის 16 პროცენტით გასულ წელთან შედარებით. ამ ამოცანის შესრულება საგრძნობლად ემყარება სამეურნეო ორგანიზაციების მიერ სახელმწიფოს წინაშე ნაკისრ მრავალრიცხოვან ვალდებულებებს და მოითხოვს უდიდეს მუშაობას და ნამდვილად უსასტიკეს საბიუჯეტო დისციპლინას.

ქალაქის და სოფლის სამრეწველო საქონლით მომარაგებისა და მუშა-მოსამსახურეების სურსათ-სანოვაგით მომარაგების მხრივ ჩვენ შეგვიძლია და კიდეც უნდა უზრუნველვყოთ შემდგომი გაუმჯობესება, განსაკუთრებით ამ საქმის ორგანიზაციის გაუმჯობესების ხარჯზე. რადგან სამრეწველო საქონლის ფონდები და სურსათ-სანოვაგის ფონდები 1933 წელს უნდა გაიზარდოს, ხოლო მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი მთელს სახ. მეურნეობაში გასულ წელთან შედარებით რამდენადმე კიდეც უნდა შემცირდეს, ჩვენ გვაქვს ყოველგვარი საფუძველი, იმისათვის, რომ გადავდგათ შემდგომი ნაბიჯი სამრეწველო საქონლით და სურსათით მომარაგების საქმეში. ეს პირველ ყოვლისა ეხება ძირითად სამრეწველო რაიონებს, ძირითად სამრეწველო კადრებს.

კულტურული მშენებლობის დარგში გეგმით დასახული ზრდის ტემპები, როგორც წესი, გაცილებით უფრო მაღალია, ვიდრე მეურნეობის დარგში. ამგვარად, მეორე ხუთწლედის პირველ წელს პარტია მუშათა კლასისა და კოლმეურნე გლეხობის წინაშე აყენებს უდიდეს ამოცანებს. ამ გეგმის შესრულება მოასწავებს შემდგომ მძლავრ წინ სვლას მეურნეობის ყოველ დარგში და მუშათა და გლეხთა მასების მატერიალური და კულტურული დონის შემდგომ ამაღლებას. ამ ამოცანების შესრულება აუცილებლად მოითხოვს მთელი ჩვენი მუშაობის საგრძნობლად გაღრმავებას. ამ ამოცანების შესრულება შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ უზრუნველვყოფთ ჩვენს სამრეწველო საწარმოებში, საბჭოთა მეურნეობებსა და კოლმეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების დასახულ გეგმას და თუ მართვა-გამგეობის მთელს საქმეში მიმდინარე წელს მივაღწევთ თვალსაჩინო გაუმჯობესებას. ყოველგვარ ეჭვს გარეშეა, რომ საჭირო წინასწარი პირობები ამისათვის ჩვენ გვაქვს და რომ ძალთა მობილიზაცია უკვე დაიწყო. დასახულ ამოცანების გადაჭრა დამოკიდებულია ჩვენზე, დამოკიდებულია ჩვენს აქტიობაზე დასახულ ამოცანების შესრულებისათვის ბრძოლის გაშლის და მასების ორგანიზაციის საქმეში.

I. მრეწველობა და შრომის ნაყოფიერების გადიდება

მრეწველობის ამოცანების კვანძი მიმდინარე წელს მოქცეულია შრომის ნაყოფიერების გადიდების სფეროში. ეს ძირითადი, ცენტრალური საკითხია. ამის განმარტება არ არის ძნელი.

ჩვენ ვისახავთ სამრეწველო პროდუქციის 16,5 პროცენტით გადიდების ამოცანას. ამავე დროს მუშათა და მოსამსახურეთა საერთო რიცხვი უნდა გაიზარდოს მხოლოდ 2 პროცენტით. აქედან უკვე სჩანს, რომ მრეწველობის პროდუქციის გადიდების ამოცანის შესრულება შეიძლება მხოლოდ ერთი პირობით: თუ ჩვენს მრეწველობაში სათანადოდ გაიზრდება შრომის ნაყოფიერება. მთლიანად მრეწველობისათვის საჭიროა შრომის ნაყოფიერების გადიდება მიმდინარე წელს 14 პროცენტით.

შემდეგში მე კიდევ შევჩერდები იმაზე, თუ რას ნიშნავს ეს მუშათა კლასისათვის მთლიანად და მისი ცალკე ჯგუფებისათვის. მაგრამ პირველ ყოვლისა მოვიყვან იმ მითითებებს, რომლებშიაც გამოხატულია შრომის ნაყოფიერების გადიდების უდიდესი მნიშვნელობა ჩვენს პირობებში. აი რას ამბობდა ლენინი ამის შესახებ: „კომუნიზმი არის კაპიტალისტურთან შედარებით უმაღლესი შრომის ნაყოფიერება ნებაყოფლობითი, შეგნებული, გაერთიანებული მუშებისა, რომელნიც სარგებლობენ მოწინავე ტექნიკით.

კომუნიზმი იწყება იქ, სადაც თავს იჩენს **უბრალო მუშების** თავგანწირული, მძიმე შრომის დამძლევი, ზრუნვა შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, **თვითეული ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის და სხვა პროდუქტ. დაცვაზე**, რომლებიც წილად ხვდება არა პირადათ მომუშავეებს და არა მათ „მახლობლებს“, არამედ „შორეულებს“, ე. ი. მთელს საზოგადოებას მთლიანად, ათეულ და ასეულ მილიონ ადამიანებს, რომელნიც ჯერ გაერთიანებული არიან სოციალისტურ სახელმწიფოში, ხოლო შემდეგ საბჭოთა რესპუბლიკების კავშირში“ (ლენინი, „დიადი თაოსნობა“ 1919 წელი).

ახლა მოვიყვან ლენინის განმარტებებს შრომის ნაყოფიერების საჭირო პირობების საკითხზე.

„შრომის ნაყოფიერების აწევა, პირველ ყოვლისა, მოითხოვს მსხვილი ინდუსტრიის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას: სათბობი მასალის, რკინის, მანქანათმშენებლობის, ქიმიური მრეწველობის განვითარებას.

შრომის ნაყოფიერების აწევის სხვა პირობას წარმოადგენს, ჯერ ერთი, მოსახლეობის მასის საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლება. ეს ამაღლება ახლა სწარმოებს დიდი სისწრაფით, რასაც ვერ ხედავენ ბურჟუაზიული რუტინით დაბრმავებული ადამიანები, რომელთაც არ შეუძლიათ გაიგონ, თუ რა ძლიერი მისწრაფება სინათლისა და ინიციატიურობისაკენ ვითარდება ახლა ხალხის „ქვედა ფენებში“ საბჭოთა ორგანიზაციის მეოხებით. მეორე, ეკონომიური წინსვლის პირობას წარმოადგენს აგრეთვე მშრომელთა დისციპლინის, მუშაობის უნარის, ბარაქიანობის, შრომის ინტენსივობის, მისი უკეთ ორგანიზაციის ამაღლება. (ლენინი, „საბჭოთა ხელისუფლების მორიგი ამოცანები“, 1918 წ.).

ბოლოს, მივუთითებ ლენინის კიდევ ერთ შენიშვნაზე ამ საკითხის გამო. ლენინი ამბობს:

„ვადიდებთ რა შრომის ნაყოფიერებას, უნდა გავითვალისწინოთ კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ გარდამავალი დროის თავისებურებანი, რომელნიც, ერთი მხრით, მოითხოვენ შეჯიბრების სოციალისტური ორგანიზაციის საფუძვლების შექმნას, ხოლო მეორე მხრით—მოითხოვენ იძულების გამოყენების ისე შეცვლას, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგს არ ბილწავდეს პროლეტარული ხელისუფლების ფაფისებური მდგომარეობის პრაქტიკა“ (ლენინი — „საბჭოთა ხელისუფლების ძირითადი ამოცანები“, 1918 წ.).

ლენინის ეს შენიშვნები შეიცავენ ყველაფერ ძირითადს ჩვენს ქვეყანაში შრომის ნაყოფიერების აწევის მნიშვნელობის შესახებ, ამისათვის საჭირო პირობების შესახებ. ლენინი განსაკუთრებულად აღნიშნავს „შრომის ნაყოფიერების გადიდებაზე, თვითეული **ფუთი პურის, ქვანახშირის, რკინის** და სხვა პროდუქტების დაცვაზე **რიგის მუშების** ზრუნვის“ მნიშვნელობას. განა ამას უაღრესად უშუალო დამოკიდებულება არა აქვს მიმდინარე მომენტთან? შემდეგ ლენინი მიუთითებს, თუ რაა საჭირო შრომის ნაყოფიერების აწევისათვის და ამასთან განსაკუთრებულად აღნიშნავს, მრეწველობის მატერიალური საფუძვლის უზრუნველყოფას, მასების საგანმანათლებლო და კულტურული დონის ამაღლებას, რაც მისი აზრით. საბჭოთა ხელისუფლების დროს, „ახლა დიდი სისწრაფით სწარმოებს“ და „მშრომელთა დისციპლინის, მუშაობის უნარის, ბარაქიანობის, შრომის ინტენსივობის, მისი უკეთ ორგანიზაციის ამაღლება“.

ამასთან არ შეიძლება არ დავინახოთ, რომ ყველა ამ მხრივ ჩვენ ახლა გვაქვს ბევრად უფრო ხელსაყრელი პირობები შრომის ნაყოფიერების აწევისათვის ვიდრე იმ პერიოდში, როცა ლენინი ამას სწერდა. ლენინი, ბოლოს, პირდაპირ, ლაპარაკობს, რომ შრომის ნაყოფიერების ამაღლება დამოკიდებულია როგორც „შეჯიბრების სოციალისტური ორგანიზაციისაგან“, ისე, „იძულების გამოყენებისაგან, ისე, რომ პროლეტარიატის დიქტატურის ლოზუნგს არ ბილწავდეს პროლეტარული ხელისუფლების ფაფისებური მდგომარეობის პრაქტიკა“. ამ მითითებებსაც დღევანდელ პირობებში აქვთ უაღრესად აქტუალური ხასიათი. რას მოასწავებს შრომის ნაყოფიერების ამაღლება მრეწველობის ცალკე დარგებში, რასაც გეგმა ითვალისწინებს? ეს შეიძლება განვმარტოთ შემდეგი ციფრებით:

მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, სადაც პროდუქციის ზრდამ უნდა მიაღწიოს თითქმის 22 პროცენტს, შრომის ნაყოფიერების ამაღლება უზრუნველყოფილ უნდა იქნას 16,5 პროცენტით, მსუბუქი მრეწველობის სახალხო კომისარიატის ხაზით, სადაც პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 10 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება უნდა გაიზარდოს 12 პროცენტით, მომარაგების სახალხო კომისარიატის ხაზით, სადაც პროდუქციის ზრდა გათვალისწინებულია 13 პროცენტით, შრომის ნაყოფიერება უნდა გადიდდეს დაახლოებით 15 პროცენტით, ტყის მრეწველობის კომისარიატის ხაზით, სადაც პროდუქცია უნდა გაიზარდოს 12 პროცენტით, შრომის ნაყოფიერების ზრდა უზრუნველყოფილ უნდა იქნას 15 პროცენტით, მშენებლობის დარგში, სადაც შრომის ნაყოფიერების მხრით მდგომარეობა საგრძნობლად უფრო ცუდია, საჭიროა მისი აწევა 1933 წლის განმავლობაში 25 პროცენტით. განსხვავება შრომის ნაყოფიერების აწევის პროცენტის სიდიდეში დამოკიდებულია არა მარტო პროდუქციის ზრდის ოდენობაზე, არამედ მთელ რიგ სხვა გარემოებებზეც (მექანიკური ბაზა, ნედლეული და სხვ.).

შრომის ნაყოფიერების გათვალისწინებული გადიდება, რომ სერიოზული და საკმაოდ ძნელი საქმეა, შეიძლება დავინახოთ შემდეგიდან. მთელი ხუთწლედის განმავლობაში შრომის ნაყოფიერება მრეწველობის ხაზით გადიდდა 40 პროც. მართალია, მრეწველობაში, განსაკუთრებით მის ზოგიერთ დარგში, შრომის ნაყოფიერების გადიდება უფრო საგრძნობი იყო, მაგრამ მიმდინარე წლისათვის დასახული დავალება აღემატება უკანასკნელ 4 წლედში შრომის ნაყოფიერების გადიდების საშუალო დონეს. შრომის ნაყოფიერების მხრით განსაკუთრებით არადამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვქონდა შარშან, როცა შრომის ნაყოფიერების ზრდამ ძირითადი საწარმოო სახალხო კომისარიატების მრეწველობაში მიაღწია მხოლოდ 1 პროცენტს, ისიც მთლიანად მძიმე მრეწველობის (უფრო სწორად — მისი ზოგიერთი დარგის) ხარჯზე, სადაც ეს ზრდა 5 პროცენტს აღემატებოდა.

შევადაროთ კიდევ შრომის ნაყოფიერების გადიდების დარგში წელს დასახული ამოცანები კაპიტალისტური ქვეყნების შესაფერ მასშტაბებს. აი რამდენიმე ცნობა ამ საკითხზე. ამერიკელი სტიუარტ ჩეიზი ჩრდ. ამერიკის შეერთ. შტატების „პროსპერიტი“-ს (აყვავების) პერიოდს განსაკუთრებულ მიღწევად სთვლიდა, როცა იქ შრომის ნაყოფიერება ხუთი წლის განმავლობაში გაიზარდა 25 პროცენტით. ინგლისში კრიზისის წინ მთელი ხუთწლედის (1924—1929 წლ.) განმავლობაში შრომის ნაყოფიერება გაიზარდა 1 პროცენტით. გერმანიამ 1913—1931 წ. მთელი პერიოდის განმავლობაში მიაღწია შრომის ნაყოფიერების ზრდას მხოლოდ 27 პროცენტით (გერმანელი ეკონომისტის კუჩინსკის ცნობებით).

მაშასადამე, შრომის ნაყოფიერების ზრდის ტემპებს, რომლებსაც ჩვენ მივაღწიეთ პირველი ხუთწლედის განმავლობაში, მიუღწეველია კაპიტალისტური ქვეყნებისათვის. მაგრამ მეორე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ უნდა გადავსდგათ შემდგომი ნაბიჯი წინ აღნიშნული ტემპების გაძლიერების საქმეში.

იმისათვის, რომ განვმარტო თუ როგორი მნიშვნელობა აქვს ჩვენი სახალხო მეურნეობისათვის შრომის ნაყოფიერების გადიდებას ჩვენს მრეწველობაში, უნდა ვსთქვა, რომ შრომის ნაყოფიერების ზრდის თვითეული პროცენტი 1933 წლის განმავლობაში განიზომება 290 მილიონი მანეთით. ამგვარად, შრომის ნაყოფიერების მთელმა გადიდებამ მიმდინარე წელს (4 სახალხო კომისარიატის მიხედვით) უნდა მისცეს სახელმწიფოს საერთო პროდუქციის ზრდა 4 მილიარდი მანეთით. როგორც ხედავთ, ლაპარაკია მეტად სერიოზულ საქმეზე სახელმწიფოსათვის.

შრომის ნაყოფიერების გადიდება წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს ელემენტს ჩვენი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში. ხოლო თვითღირებულების შემცირების ამოცანა წელსაც მთელი სიმწვავით სდგას ჩვენს წინაშე პროდუქციის ხარისხის აუცილებლად გაუმჯობესებასთან ერთად.

მიმდინარე წლის განმავლობაში დასახულია ამოცანა—შევამციროთ ჩვენი სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულება 4 პროცენტით (ან უფრო ზუსტად 3,9 პროცენტით). პირველი შეხედვით ამ დავალების შესრულება არ წარმოადგენს განსაკუთრებულ სიძნელეებს. მაგრამ უკანასკნელი წლების გამოცდილება გვიჩვენებს, რომ სწორედ ამ საქმეში, სამრეწველო პროდუქციის თვითღირებულების შემცირების საქმეში, ჩვენ გვაქვს განსაკუთრებით სუსტი ადგილი. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ ძლევამოსილად დავამთავრეთ პირველი ხუთწლედი, მთლიანად მრეწველობაში თვითღირებულების შემცირების მხრივ ჩვენ ვერ მივაღწიეთ რაიმე გარდატეხას. კიდევ მეტი, უკანასკნელ წელს მთელ რიგ დარგებში თვითღირებულების ხაზით ჩვენ არამც თუ წავედით წინ, არამედ უკან, ხოლო ამავე დროს ამოცანა—შევამციროთ თვითღირებულება ერთი წლის განმავლობაში მრეწველობის ხაზით—მთლიანად 4 პროცენტით, საბჭოთა მეურნეობების ხაზით—8 პროცენტით და მშენებლობის ხაზით 15 პროცენტით, უსათუოდ უნდა იქნას შესრულებული. რომ განვმარტო თუ რისთვის გაუარესდა გასულ წელს თვითღირებულების შემცირების საქმე, მე მოგიტანთ შემდეგს. ზემოთაღნიშნულ ოთხ სახალხო კომისარიატის ხაზით გასულ წელს სამრეწველო პროდუქცია გაიზარდა 8,5 პროცენტით, ამავე დროს ხელფასის შესაფერი ფონდი გაიზარდა გაცილებით უფრო მეტად. ხელფასის მთელი ფონდი კი (მრეწველობაში, საბჭოთა მეურნეობებში, მშენებლობაზე და მმართველობის აპარატში) გაიზარდა 47 პროცენტით, რაც საგრძნობლად სჭარბობს საგეგმო ვარაუდებს, თუ არ ვილაპარაკებთ იმაზე, რომ ეს საგეგმო ვარაუდები შეფარდებული იყო საწარმოო და საამშენებლო გეგმის მთლიანად შესრულების ამოცანასთან. აქედან გამომდინარეობს ის, რომ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის წელს ჩვენ უნდა მოვაქციოთ ჩვენი ყურადღების ცენტრში და ბოლშევიკურად წავწიოთ ეს საქმე წინ.

ჩვენ აგრეთვე არ შეგვიძლია შევურიგდეთ იმ მდგომარეობას, რომელიც გვაქვს სამრეწველო პროდუქციის ხარისხის მხრივ. ჩვენში იმდენად სწრაფად იზრდება სახალხო მეურნეობის საჭიროებანი და ხალხთა მასების მოთხოვნილებანი, რომ აღნიშნულ საჭიროებათა დაკმაყოფილება ჩამორჩება ჩვენი საწარმოების პროდუქციის ზრდას. ეს ხშირად იწვევს იმას, რომ პროდუქციის ხარისხს ექცევა სრულიად არა საკმაო ყურადღება. ამავე დროს ის მდგომარეობა, რომელიც ჩვენ გვაქვს პროდუქციის ხარისხის მხრივ მთელ რიგ ოლქებში, და მათ შორის ჩვენი მრეწველობის მოწინავე დარგებშიაც კი, არ შეიძლება ჩაითვალოს ნორმალურად. ამ დღეებში გორკის ავტოქარხანამ გაგზავნა მოსკოვში თავისი 50 სამგზავრო ავტომობილი. კომპეტენტური ამხანაგების განცხადებით, საბჭოთა წარმოების ეს პირველი სამგზავრო ავტომობილები თავიანთ ძირითად ნაწილებში—მოტორი, „შასი“, საჭე—არ არის დამზადებული ცუდად. მაგრამ, სამწუხაროდ, აღმოჩნდა, რომ ზოგიერთი მხრით ეს ავტომობილები ჯერ კიდევ ძალიან ცუდია. ეს უწინარეს ყოვლისა ეხება ავტომობილის ძარას და მის შინაგან შემოკერვას, კარების და სახელურების გაკეთებას და სხვ. რასაკვირველია, არ შეიძლება არ ვაღიაროთ გორკის ავტოქარხნის წარმატებანი ავტომობილის უმნიშვნელოვანეს ნაწილების დამზადების საქმეში. მაგრამ ჩვენ გვჭირდება არა მარტო კარგი მოტორი ავტომობილისათვის, არა მარტო მტკიცე „შასი“ და საჭე, მარტივად რომ ვსთქვათ, ჩვენ გვჭირდება კარგი სამგზავრო ავტომობილი. ჩვენ გვჭირდება საბჭოთა სამგზავრო ავტომობილი და მასთან ისეთი, რომლითაც შეიძლებოდეს მგზავრობა არა ნაკლებ, ვინემ ბურჟუაზიული ავტომობილით.

რამდენად ჯერ კიდევ დიდია წუნის პროცენტი სამრეწველო პროდუქციაში? არ შეიძლება არ ვაღიაროთ, რომ ამ მხრივ ჩვენს მრეწველობაში ბევრია ისეთი დარგი, სადაც ყველაფერი რიგზე ვერ არის. ამიტომ გასაგებია, რომ რეზოლიუციაში „პირველი ხუთწლედის შედეგების და 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის შესახებ“ აღნიშნულია, რომ შემდეგში საჭიროა **განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს „პროდუქციის არა რიცხობრივ ზრდას, არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში“**. აღნიშნული ამოცანების დასახვის დროს ჩვენ უნდა ვნახოთ თუ როგორია საწარმოო ტექნიკური ბაზა მათი შესრულებისათვის.

უფრო დაწვრილებით ამაზე შეჩერდება ამხ. კუიბიშევი. მე კი დავკმაყოფილდები მხოლოდ მოკლე შენიშვნებით.

პირველმა ხუთწლედმა მტკიცედ დააყენა ფეხზე ჩვენი მძიმე მრეწველობა და მით შექმნა ჩვენი საბჭოთა ბაზა მთელი სახალხო მეურნეობის ტექნიკური რეკონსტრუქციის დამთავრებისათვის. პირველ ხუთწლედში მრეწველობის უდიდესმა დარგებმა უკვე საგრძნობლად განვლეს თავისი რეკონსტრუქციის სტადია. ამის მეოხებით ჩვენ ახლა გვაქვს საფუძველი ტექნიკური რეკონსტრუქციის დასამთავრებლად არა მარტო მრეწველობაში, არამედ სოფლის მეურნეობაშიაც.

1932 წლის 1-ლ იანვრისათვის ჩვენი მრეწველობის ძირითადი კაპიტალი უკვე 57 პროცენტით განახლდა რევოლიუციის წლებში. ამრიგად მრეწველობის ძირითადი ფონდების ნახევარზე მეტი განახლდა უკანასკნელ წლებში, უმთავრესად რეკონსტრუქციის პერიოდში. მძიმე მრეწველობამ ამ ხნის განმავლობაში თავისი ძირითადი კაპიტალი განაახლა ორ მესამედზე უფრო მეტად. არის მრეწველობის ცალკე დარგები, როგორიცაა ქვანახშირის და ნავთის მრეწველობა და ელმადგურები, სადაც ძირითადი ფონდები განახლებულია სამ მეოთხედზე უფრო მეტად და ოთხ მეხუთედზე უფრო მეტადაც, დაუმატეთ ამას, რომ ეგრედწოდებული შრომის ენერგოშეიარაღება, ე. ი. მექანიკური და ელექტრო-ენერგიის რაოდენობა ერთ მუშაზე მრეწველობაში, მარტო პირველი ხუთწლედის მანძილზე გაიზარდა 41 პროცენტით, ხოლო უშუალოდ შრომის ელექტრო შეიარაღება გაიზარდა ორჯერ უფრო მეტად. ყოველივე ეს მოწმობს ტექნიკური ბაზის უდიდეს ზრდასმთელს ჩვენს მეურნეობაში და, პირველ ყოვლისა, მრეწველობაში.

რკინის გზის ტრანსპორტის ხაზით ტექნიკურ რეკონსტრუქციაში საგრძნობლად ჩამოვრჩით. სამაგიეროდ 1933 წელს მრეწველობამ უნდა გადასდგას დიდი ნაბიჯი წინ ჩვენი რკინის გზის და კერძოდ წყლის ტრანსპორტის თანამედროვე ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში. წელს უნდა შესრულდეს მძლავრი ორთქლმავლების და ვაგონების წარმოების დიდი პროგრამა. გარდა ამისა განზრახულია საგრძნობლად გაფართოვდეს ავტომოტრისების და ავტოგადაბმის გამოშვება, რათა კიდევ უფრო გავავრცელოთ ისინი რკინის გზებზე.

მაგრამ ჩვენ კარგად ვიცით, რომ საქმე მარტო იმაში კი არაა, რომ ავაგოთ თანამედროვე სამრეწველო ტიპის ახალი საწარმონი და შევაიარაღოთ ესა თუ ის სამრეწველო დარგი უახლესი მოწყობილობით. ყოველივე ამის შემდეგ სდგება ახალი წარმოების ტექნიკის ათვისების საკითხი, ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისების საკითხი. ამ მხრით ჩვენ ჯერ კიდევ გვხვდება დიდი სიძნელეები, რომელთა დაძლევა მოითხოვს საკმაო დროს. ჩვენ გვაქვს მთელ რიგ სამრეწველო დარგებში, მაგალითად, ნავთის მრეწველობის, კარგად ჩატარებული და წარმატებით გამოყენებული რეკონსტრუქციის მაგალითები, ამის შედეგად აქ პირველი ხუთწლიანი გეგმის შესრულებაში ჩვენ სწრაფად მივაღწიეთ დიდ წარმატებებს, რომლებიც ახლა არა თუ არავითარ შემთხვევაში არ უნდა ჩავშალოთ ცუდი მუშაობით, არამედ აუცილებლად კიდევ უფრო უნდა განვავითაროთ.

მეორე მხრით, ჩვენ გვაქვს ქვანახშირის მრეწველობაში ახალი მოწყობილობის საკმაო რაოდენობის შემოღების მაგალითი, რასაც ჯერჯერობით რაიმე სერიოზული შედეგები არ მოუცია. პირიქით, უნდა აღინიშნოს, რომ ქვანახშირის მრეწველობაში მდგომარეობა ჯერ კიდევ არ არის დამაკმაყოფილებელი, მიუხედავად იმისა, რომ არსებობს დიდი ტექნიკური წინაპირობები ქვანახშირის ამოღების საგრძნობლად გადიდებისათვის. წარმოების ტექნიკის კარგად დაუფლების მაგალითს იძლევა ჩვენი სატრაქტორო მრეწველობა. ეს სჩანს თუნდაც შემდეგიდან. თუ სტალინგრადის სატრაქტორო ქარხანამ თავისი ამუშავების პირველ წელს მოგვცა 5.217 ტრაქტორი, მისმა ბადალმა — ხარკოვის სატრაქტორო ქარხანამ, რომელიც უფრო გვიან აშენდა, ერთ წელიწადში ამუშავების მომენტიდან მოგვცა 13.475 ტრაქტორი. შეიძლებოდა გაცილებით უფრო მეტი მაგალითის მოყვანა იმის დასახასიათებლად, თუ როგორ [illegible] და ზოგჯერ პირდაპირ დანაშაულებრივი დაუდევრობით იყენებენ უახლეს, კერძოდ, საიმპორტო მოწყობილობას ჩვენს კარგ ქარხნებშიაც კი, იმავე ხარკოვის სატრაქტორო ქარხანაში სულ უკანასკნელ დრომდე საიმპორტო დაზგების საკმაოდ საგრძნობი ნაწილი არ მუშაობდა; მომუშავე დაზგების დატვირთვა სრულიად არაა საკმარისი, დაზგების და მექანიზმების დამტვრევა, მეტწილად დაუდევარი და უხეირო მოპყრობის გამო, აგრეთვე ცუდი მოვლის, მონტაჟისა და რემონტის გამო, მეტად მნიშვნელოვან ფარგლებს აღწევს. გორკის ავტოქარხანაშიც მოწყობილობის გაფუჭება, უმთავრესად, ცუდი, დაუდევარი და უყურადღებო მოპყრობის გამო, დიდ ფარგლებს აღწევს.

ხოლო რამდენი გამოუყენებელი ძვირფასი საიმპორტო მოწყობილობა აწყვია ნავთის ტრესტების და ცემენტის მრეწველობის საწყობებში, მაგნიტოგორსკში, ბერეზნიკში და სხვ.!

ბოლოს, სახალხო სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალურ სამმართველოს მიერ 1932 წელს ჩატარებულ აღწერის ცნობებით გამორკვეულია, რომ აღწერის მომენტში გამოუყენებელი და დაუდგმელი მოწყობილობა დიდ პროცენტს შეადგენდა. ყოველივე ეს და ბევრი სხვა მაგალითი მოწმობს იმას, რომ ჩვენს მრეწველობაში ჩატარებულ ტექნიკურ რეკონსტრუქციას ჯერ კიდევ ძალზე არადამაკმაყოფილებლად ვიყენებთ, რომ ჩვენ გვაქვს **უზარმაზარი რეზერვები** საქმის სწრაფად გაუმჯობესებისათვის, რომ ჩვენს წინსვლას ტექნიკის დაუფლების საქმეში სწრაფად შეუძლია მოგვცეს მნიშვნელოვანი შედეგები. ამრიგად შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად ჩვენს მრეწველობაში ამჟამად არსებობს ისეთი საწარმოო ტექნიკური წინაპირობები, რომლებიც **წინად არ გვქონია** და არც შეიძლებოდა გვქონოდა. ჩვენში ბევრი შინაგანი რესურსებია გამოუყენებელი.

ოღონდ საჭიროა მუშაობის ბოლშევიკურად გაშლა ახალი ქარხნების და ახალი ტექნიკის დაუფლებისათვის, შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცებისათვის.

ჩვენში საგრძნობლად წინ წაიწია საქმე არა მარტო მრეწველობის ტექნიკური რეკონსტრუქციის საქმეში, არამედ ამასთან პირველ ხუთწლედში ბუმბერაზული ნაბიჯი გადავდგით წინ კვალიფიციური **მუშების და საინჟინერო-ტექნიკური ძალების** შექმნაშიაც.

უკანასკნელი ოთხი წლის მანძილზე ჩვენს მრეწველობაში ჩაება 2 ნახ. მილიონი ახალი მუშა, ამათგან დაახლოებით 2 მილიონი კვალიფიციურ სამუშაოზე. ამ მუშების უმრავლესობას წინად არავითარი წა-

გაგრძელება მე-3 გვერდზე

ლი ლოზუნგით. მაგრამ ახალ საწარმოთა და ახალი ტექნიკის ათვისება წარმოადგენს გაცილებით უფრო მეტ სიძნელეს, ვიდრე ძველი ან განახლებული ქარხნების და ფაბრიკების გამოყენება, რომელთა ტექნიკა უკვე ათვისებულია. იგი მოითხოვს მეტ დროს იმისათვის, რომ აწეულ იქნას მუშების და საინჟინერო-ტექნიკური პერსონალის კვალიფიკაცია და შეიმუშავონ ახალი ჩვევები. ახალი ტექნიკის სრული გამოყენების მიზნით.

აქედან გამომდინარეობს, რომ მეორე ხუთწლედის პერიოდში უპირატესი როლი სამრეწველო პროდუქციის ზრდაში მიეკუთვნება უკვე არა ძველ საწარმოებს, არამედ ახალ საწარმოებს, რომელთა ტექნიკის ათვისება ჯერ კიდევ საჭიროა, რაც არ შეიძლება არ გამოიწვიოს სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპების რამდენადმე შემცირება, პირველი ხუთწლედის ტემპებთან შედარებით. აქედან წარმოსდგება სამრეწველო პროდუქციის ზრდის ნაკლებად დაჩქარებული ტემპების საჭიროება მეორე ხუთწლედის პერიოდში, ყოველ შემთხვევაში, მეორე ხუთწლედის პირველი ორი ან სამი წლისათვის.

ამასთან დაკავშირებით, ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი სცნობს, რომ:

ა) სამრეწველო პროდუქციის საშუალო წლიური ზრდა მეორე ხუთწლედისათვის გათვალისწინებულ უნდა იქნას არა 21-22 პროც., როგორც ამას ადგილი ჰქონდა პირველ ხუთწლედში, არამედ ცოტათი უფრო ნაკლები, მაგალითად, 13-14 პროც.

ბ) მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის არა რაოდენობრივ ზრდას, არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში, არა სათესი ფართობის გადიდებას, არამედ მოსავლიანობის ზრდას მიწათმოქმედებაში და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში.

II

მეორე ხუთწლედის პირველი წლის (1933 წ.) სახალხო-სამეურნეო გეგმა

პირველი ხუთწლედის შედეგები იძლევიან 1933 წელს—მეორე ხუთწლედის პირველ წელს სახალხო მეურნეობის შემდგომი მნიშვნელოვანი განვითარების სრულ შესაძლებლობას.

ამის გამო ცეკას და ცენტრ. საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ადგენს:

1) განისაზღვროს მრეწველობის პროდუქციის ზრდა 1933 წელს 16,5 პროცენტით 1932 წლის მიმართ. მათ შორის „ა“ ჯგუფის მიხედვით, 21,2 პროცენტით, „ბ“ ჯგუფის 10.5 პროცენტით.

2) დაწესდეს სავალდებულო საწარმოო დავალებათა შემდეგი ოდენობა მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში:

ა) ელექტროენერგიის გამომუშავების დარგში 16.300 მილიონი კილოვატსაათით.

ბ) შავი მეტალურგიის—9 მილიონი ტონა თუჯი.

გ) ქვანახშირის—84 მილიონი ტონა. ნავთის—24.4 მილიონი ტონა.

დ) მანქანათმშენებლობის—6,5 მილიარდი მან. (1926-27 წლის ფასებში).

ე) ქიმიურ მრეწველობის—1.839 მილიონი მანეთი (1926-27 წლის ფასებში).

ვ) მსუბუქი მრეწველობის—8.[illegible] მილიარდი მან. (1926-27 წლის ფასებში).

ზ) კვების მრეწველობის (მომარაგების სახალხო კომისარიატი და შრომის და თავდაცვის საბჭოსთან არსებული დამზადებათა კომიტეტი)—7.7 მილიარდი მან. (1926-27 წლის ფასებში).

თ) სატყეო მრეწვ. სახალხო კომისარიატის სატყეო მრეწველობის ხაზით—2.072 მილიონი მან. (1926-27 წლის ფასებში).

ი) სარეწაო კოოპერაციის ხაზით—7.920 მილიონი მან. (1932 წლის საგეგმო ფასებში).

3) **სოფლის მეურნეობის დარგში** დაწესდეს 1933 წლისათვის საგაზაფხულო სათესი ფართობის რაოდენობა 95 მილიონ ჰექტარით და საშემოდგომო მარცვლეულის ნათესის—38,5 მილიონ ჰექტარით, მათ შორის:

საგაზაფხულო მარცვლეული კულტურების დარგში — 63,1 მილიონი ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე ყველა მარცვლეული კულტურის რვა ცენტნერი საშუალო მოსავლით.

ბამბის დარგში—2,064 მილიონი ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე მორწყული ბამბის 8 ცენტნერი საშუალო მოსავლით.

ჭარხლის დარგში—1,2 მილიონი ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე 100 ცენტნერი მოსავლით.

სელის დარგში—2.3 მილიონი ჰექტარი, თვითეულ ჰექტარზე 2,4 ცენტნერი საშუალო მოსავლით.

აყვანილ იქნას სამანქანო სატრაქტორო სადგურების რაოდენობა 2.768-მდე.

აყვანილ იქნას პირუტყვის რაოდენობა სახელმწიფო მეცხოველეობის გაერთიანებებსა და საკოლმეურნეო თერმებში:

მსხვილი რქოსანი პირუტყვის ხაზით—საბჭოთა მეურნეობებში 2,550 ათას სულამდე, სასაქონლო ფერმებში—6.000 ათას სულამდე.

ძროხები საბჭოთა მეურნეობებში—1.162 ათას სულამდე, სასაქონლო ფერმებში—2.600 ათას სულამდე.

ღორები — საბჭოთა მეურნეობებში 1.150 ათას სულამდე, სასაქონლო ფერმებში—3.750 ათას სულამდე.

ცხვრები — საბჭოთა მეურნეობებში—4.840 ათას სულამდე, სასაქონლო ფერმებში—6.205 ათას სულამდე.

4) დაწესდეს 1933 წლისათვის რკინის გზებზე ტვირთბრუნვის რაოდენობა 300 მილიონი ტონით და ყოველდღიური დატვირთვის რაოდენობა 58 ათასი ვაგონით.

5) მრეწველობის ტრანსპორტის და სოფლის მეურნეობის ხაზით მიცემულ საწარმოო დავალებათა რაოდენობასთან შეფარდებით კაპიტალური დაბანდებანი სახალხო მეურნეობაში 1933 წლისათვის განისაზღვროს 18 მილიარდი მანეთით. აქედან

ა) მრეწველობაში—10.109 მილიონი მანეთი (ნაცვლად გასული წლის 9.164 მილიონი მანეთისა).

მათ შორის: „ა“ ჯგუფში—8.527 მილიონი მანეთი;

„ბ“ ჯგუფში — 1.582 მილიონი მანეთი;

ბ) ტრანსპორტში — 2.976 მილიონი მან.

გ) სოფლის მეურნეობაში — 2.148 მილ. მან.

6) ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი 1933 წლის გეგმის ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს ამოცანად სთვლის შრომის ტევად სამუშაოების (ტექნიკური კულტურები სოფლის მეურნეობაში, ქვანახშირი, ტყე, ტორფი, დატვირთვა-გადმოტვირთვის სამუშაოები და სხვ.). მექანიზაციას. ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის პლენუმი წინადადებას აძლევს საბჭოთა კავშირის სახკომსაბჭოს და ყველა პარტიულ და საბჭოთა ორგანიზაციებს მუდმივად თვალყური ადევნონ მექანიზაციის და სათანადო მოწყობილობის წარმოების გათვალისწინებულ გეგმების შესრულებას.

7) შრომის ნაყოფიერების და თვითღირებულების შემცირების დარგში 1933 წელს დაწესდეს 1932 წელთან შედარებით:

ა) შრომის ნაყოფიერების ზრდა მრეწველობაში 14 პროცენტით;

ბ) თვითღირებულების შემცირება მრეწველობაში—3,9 პროცენტით.

გ) მშენებლობათა თვითღირებულების შემცირება 15 პროცენტით.

უდიდეს მნიშვნელობას აძლევს რა ბრძოლას ხარისხობრივ მაჩვენებლებისათვის, რომელთა ყოველგვარი არამთლიანად შესრულება ქმნის გარღვევას დაგროვების საქმეში და მძიმე ტვირთად აწვება სახელმწიფო ბიუჯეტს, და აღნიშნავს რა, რომ გასულ წელს ზოგიერთ დარგში ადგილი ჰქონდა ხარისხობრივი მაჩვენებლების მხრივ დავალებათა შეუსრულებლობას, ხოლო ზოგიერთ შემთხვევაში მდგომარეობის გაუარესებას წინა წელთან შედარებით, ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი წინადადებას აძლევს ყველა სამეურნეო, პარტიულ და პროფესიონალურ ორგანიზაციებს 1933 წელს მთავარი ყურადღება მიაქციონ დავალებების მთლიანად შესრულებას შრომის ნაყოფიერების გადიდების და თვითღირებულების შემცირების ხაზით, რომელთა განხორციელების დონე პირველყოვლისა მიღებულ იქნება მხედველობაში თვითეულ საწარმოს და ტრესტის მუშაობის შეფასების დროს.

8) მშრომელთა მატერიალური და კულტურული დონის შემდგომი ზრდის მიზნით ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი ადგენს:

ა) კაპიტალური დაბანდებანი კომუნალურ მეურნეობაში განისაზღვროს (გამოტოვებულია) მილიონი მანეთით, ხოლო საბინაო მშენებლობაში—1.472 მილიონი მანეთით.

ბ) დაწესდეს ხარჯების საერთო რაოდენობა მშრომელთა სოციალურ კულტურულ საჭიროებათა მომსახურეობისათვის (სოცდაზღვევა, განათლება, ჯანმრთელობის დაცვა, ანარიცხები, მოგებიდან კულტურულ და საბინაო მშენებლობისათვის, საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლები და სხვ.) 11.616 მილიონი მანეთის რაოდენობით, რაც 1932 წლის ხარჯებს აღემატება 19,8 პროცენტით.

გ) დაწესდეს შრომის ხელფასის ზრდა 1933 წელს მთელს სახალხო მეურნეობაში 6,8 პროცენტით, 1932 წლის შრომის ხელფასის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით, ხოლო მრეწველობაში—9 პროცენტით.

9) დაწესდეს სახელმწიფო ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილში 34.689 მილიონ მანეთის რაოდენობით, საგასავლო ნაწილში—33.169 მილიონი მანეთის რაოდენობით იმ ანგარიშით, რომ შემოსავალი გასავალს აღემატებოდეს 1.520 მილიონი მანეთით. დაევალოს ყველა პარტიულ საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებს აუცილებლად უზრუნველყონ:

ა) უსასტიკესი საბიუჯეტო და საკრედიტო დისციპლინის დაცვა, როგორც საშემოსავლო, ისე საგასავლო ნაწილში.

ბ) სამეურნეო ანგარიშის და სამეურნეო ორგანოებს შორის სახელშეკრულებო დისციპლინის მტკიცედ გატარება.

გ) არავითარი გეგმის გარეშე მშენებლობის არ დაშვება.

1933 წლის გეგმა როგორც მეორე ხუთწლედის პირველი წლის გეგმა წარმოადგენს საბჭოთა კავშირში სოციალისტური საზოგადოების აშენების საქმის შემდგომ განვითარებას.

ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი გამოსთქვამს სრულ რწმენას, რომ 1933 წ. გეგმა წარმატებით შესრულდება. მუშაობის შემდგომი გაძლიერება სახელმწიფო საწარმოებსა და კოლმეურნეობებში შრომის ორგანიზაციის ხაზით, წარმოების ტექნიკის ნამდვილად დაუფლება, სოციალისტური დისციპლინის დანერგვა კოლმეურნეობებში, საკოლმეურნეო აქტივის განმტკიცება მათში და ბრძოლა კულაკური გავლენის გამოხატულებასთან, სოცშეჯიბრების და დამკვრელობის ზრდა—ყოველივე ეს უნდა გადაიქცეს მძლავრ ბერკეტად 1933 წლის გეგმის შესრულების საქმეში.

ცენტრალური კომიტეტის და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი კიდევ ერთხელ მიუთითებს ყველა პარტიულ ორგანიზაციებს, რომ საჭიროა გეგმის შესასრულებლად წარმოებულ პრაქტიკულ მუშაობაში განსაკუთრებული ყურადღება მიაქციონ მიღებულ გადაწყვეტილებათა შესრულების სისტემატიურად შემოწმებას, როგორც პარტიული, ისე უპარტიო კადრების ზედმიწევნით შერჩევას, სამეურნეო ხელმძღვანელობის გაუმჯობესებას.

1933 წლის გეგმის წარმატებით შესრულება ყველა პარტიულ ორგანიზაციებისაგან მოითხოვს დაუზოგავ ბრძოლას პარტიის პოლიტიკისადმი კლასობრივი მტრის წინააღმდეგობის ყოველგვარი გამოხატულებასთან, პარტიის რიგების მთლიანობის განმტკიცებას, ყველა ანტიპარტიულ განწყობილებებისათვის გადამჭრელ წინააღმდეგობის გაწევას და პარტიის გაწმენდას გადაგვარებულ და უცხო ელემენტებისაგან.

ცენტრალური კომიტეტი და ცენტრალური საკონტროლო კომისიის გაერთიანებული პლენუმი მოუწოდებს ყველა პარტიულ, საბჭოთა და პროფესიონალურ ორგანიზაციებს, მუშათა კლასს და საკოლმეურნეო გლეხობას მოახდინონ ძალთა მობილიზაცია 1933 წლის—მეორე ხუთწლედის პირველი წლის სახალხო-სამეურნეო გეგმის მთლიანად შესრულებისათვის.

რმოდგენა არ ქონდა იმ დაზგებსა, ინსტრუმენტებსა და ჩარხებზე, რომელთაც ისინი შეხვდენ ფაბრიკა-ქარხნებში.

მაგრამ პირველი ხუთწლედის წლებს ფუჭად არ ჩაუვლია ჩვენთვის. ლენინის მითითება იმის შესახებ, რომ შრომის ნაყოფიერების გასადიდებლად დიდი მნიშვნელობა აქვს მოსახლეობის მასის განათლების და კულტურული დონის ამაღლებას, ჩვენ თავის დროზე მივიღეთ მხედველობაში. ხუთწლედის ოთხი წლის მანძილზე ჩვენ უდიდეს გარდატეხას მივაღწიეთ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეში.

ჯერ კიდევ ცოტახნის წინად ჩვენი მოსახლეობის ნახევარზე მეტი წერა-კითხვის უცოდინარი იყო, ეხლა წერა-კითხვის უცოდინარნი 10 პროცენტზე ნაკლებს შეადგენენ, უზარმაზარი მაშტაბით გაიშალა სხვა სახის კულტურულ-საგანმანათლებლო მუშაობაც მასებში.

მეორე მხრით მუშაკელთა რაოდენობა ხუთწლედის განმავლობაში, გაიზარდა 2 ჯერ. მოსწავლეთა რაოდენობა საფაბრიკო-საქარხნო შეგირდობის სკოლებში გაიზარდა, ხუთჯერ, მოსწავლეთა რაოდენობა ტეხნიკუმებშიაც ხუთჯერ გაიზარდა. მოსწავლეთა რიცხვი უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში გაიზარდა სამჯერ, ამასთან უშუალოდ ინდუსტრიალური უმაღლეს სასწავლებლებში მოსწავლეთა რიცხვი პირველი ხუთწლედის მანძილზე თითქმის ხუთჯერ გაიზარდა.

ტეხნიკური კადრების სწრაფმა ზრდამ ჩვენს ქვეყანაში საშუალება მოგვცა პირველ ხუთწლედში გაგვეორკეცებია ჩვენი საწარმოთა სპეციალისტებით შევსების პროცენტი, (3,8 პროცენტიდან 7 პროცენტამდე 100 მუშაზე).

ჩვენი მრეწველობის მოწყობილობის უკვე დიდათ განახლებასთან და ბევრი დარგის წარმოებაში უახლესი ტეხნიკის დანერგვასთან ერთად, მუშათა იმ ახალი კადრების ზრდას უკანასკნელ წლებში, რომლებიც ეხლა უფრო მომზადებული არიან, და აგრეთვე ახალ, თუმცა ჯერ კიდევ ახალგაზდა, სპეციალისტების საგრძნობ ზრდას მეორე ხუთწლედის დასაწყისიდან შეუძლია მოგვცეს დიდი პრაქტიკული შედეგები შრომის ნაყოფიერების გადიდება და ხარისხის გაუმჯობესება საქმეებით უნდა იქნას უზრუნველყოფილი გეგმასთან შეფარდებით.

კიდევ მეტი, შრომის ნაყოფიერების გადიდება მრეწველობაში და სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესება მიღებულ სამეურნეო გეგმასთან შეფარდებით. ამიტომ უნდა მოვაქციოთ ჩვენი სამეურნეო მუშაობის ყურადღების ცენტრში მიმდინარე წელს. ამ ამოცანების შესრულება მოითხოვს ჩვენი მუშაობის, — პარტიული საბჭოთა, სამეურნეო და კომკავშირული მუშაობის — გადაჭრით გაუმჯობესებას, მოითხოვს ისეთ ბოლშევიკურ მუშაობას მასებში, ძალების ისეთ მოხერხებულ განაწილებას და სამეურნეო-[illegible] კადრების ისეთ შერჩევას, მათი მუშაობის ისეთ მუდმივ და სერიოზულ შემოწმებას, შრომის დისციპლინის და მუშაობის ინტენსივობის ისეთ განმტკიცებას, ისეთ გაშლილ ბრძოლას ახალ წარმოებათა და ახალი ტეხნიკის ნამდვილად ათვისებისათვის, ისეთ რევოლიუციურ მუშაობას ჩვენი სოციალისტური მშენებლობის ფრონტზე, როგორის მოწყობა ამჟამად შეუძლია მხოლოდ ბოლშევიკურ პარტიას, რომელსაც სულ უფრო და უფრო მეტი ენტუზიაზმით მიჰყვებიან მასები და რომელშიაც ბურჟუაზიული კლასების ყველა და ყოველგვარი ძალა, მათ რიცხვში ბატონი გადაგვარებულნი ყველა ჯურის გაზიშვლებული ოპორტუნისტების ბანაკიდან, სამართლიანად ხედავენ თავის მოსისხლე მტერს.

არ ვილაპარაკებ მრეწველობის ცალკე დარგების იმ ამოცანებზე, რომლებიც ამ დავალებებთანაა დაკავშირებული. მხოლოდ უნდა ავღნიშნო, რომ მძიმე მრეწველობამ აქაც უნდა მისცეს სწორი ტონი მთელს საქმეს. იქ ყველაზე უფრო წინ წაიწია ახალი ტეხნიკური ბაზის მოწყობის საქმემ. მას ყავს საუკეთესო მუშები და ტეხნიკური კადრები. აქ ჩვენ გვაქვს საფუძველი მოველოდეთ სოციალისტური შეჯიბრების და დამკვრელობის განვითარების საუკეთესო მაგალითებს, აგრეთვე საჭირო პროლეტარული დისციპლინის ნამდვილად დამყარებას წარმოებაში. მძიმე მრეწველობის უმნიშვნელოვანეს დარგებში, შავ და ფერად მეტალურგიაში, ქვანახშირის მრეწველობასა და მანქანათმშენებლობაში რომ აღარ ვილაპარაკოთ ავტო-სატრაქტორო მრეწველობაზე, ჩვენ მიმდინარე წელს გვაქვს ისეთი დავალებანი, რომელნიც ითვალისწინებენ პროდუქციის მეტად საგრძნობ ზრდას. ეს დავალებანი შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ პირობით თუ გაიშლება სათანადო ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, თვითღირებულების შემცირებისათვის, პროდუქციის ხარისხისათვის.

განსაკუთრებულად უნდა შევჩერდეთ შავ მეტალურგიაზე.

ცენტრალური კომიტეტის სექტემბრის პლენუმმა განიხილა შავ მეტალურგიაში არსებული მდგომარეობა. ამის შემდეგ საქმე არ გაუმჯობესებულა.

ამავე დროს კი ასეთი მდგომარეობა სრულიად შეუწყნარებელია. დავალებანი შავი მეტალურგიის ხაზით პროდუქციის ზრდის დარგში მიმდინარე წელს მეტად საგრძნობია: თუჯის ხაზით—44 პროც., ფოლადის—53 პროცენტი, სატკეცი რკინის—48 პროცენტი. მაგრამ არ უნდა დავივიწყოთ, რომ ფაქტიურად 1933 წლის დავალება მხოლოდ იმ დავალებათა განმეორებაა, რომლებიც დასახული იყო 1932 წლისათვის, მაგრამ რომლებიც არ ყოფილა შესრულებული. ამრიგად შავი მეტალურგიის ხაზით ჩვენ მიმდინარე წელს ამოცანად ვისახავთ შევასრულოთ შარშანდელი დავალება ან, სხვანაირად რომ ვთქვათ, წლიური დავალება შევასრულოთ ორ წელიწადში.

ერთგვარ გაუმჯობესებას შარშან ჩვენ მივაღწიეთ თუჯის ხაზით.

მაგრამ უკვე სრულიად დაუშვებელი მდგომარეობა გვქონდა და კვლავ გვაქვს ფოლადის და სატკეცი რკინის ხაზით. ჩვენ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შევასუსტოთ ბრძოლა თუჯის მრეწველობაში, მაგრამ ამავე დროს განსაკუთრებული ენერგიით უნდა მოვკიდოთ ხელი **ფოლადის და სატკეცი რკინის** წარმოების გადაჭრით გადიდებას. ამაზე ძალიან ბევრი რამ არის დამოკიდებული ჩვენი მეურნეობის შემდგომ ზრდაში. ამაზეა დამოკიდებული პირველყოვლისა, მთელი მანქანათ - მშენებლობა, რომლის ზრდას ახლა აფერხებს შავი მეტალურგია. სამანქანათმშენებლო მრეწველობას 1933 წელს შეეძლო საგრძნობლად უფრო მეტის მოცემა, ვიდრე პროდუქციის 23 პროცენტით ზრდა, რაც გათვალისწინებულია გეგმით, მაგრამ მანქანათმშენებლობის ზრდა, ასე საჭირო მთელი სოციალისტური მეურნეობისათვის **ფერხდება** ფოლადის და სატკეცი რკინის ნაკლებობით.

ამასთან ერთად საჭიროა ჩვენი მეტალურგია ჩავაყენოთ ისეთ მდგომარეობაში, რომ იგი არ განიცდიდეს სათბობის, ქვანახშირის და კოქსის მწვავე ნაკლებობას. ქვანახშირის მრეწველობა თავის მხრივ არ უნდა აფერხებდეს შავი მეტალურგიის განვითარებას. ქვანახშირის მრეწველობაში, განსაკუთრებით ნავთის მრეწველობაში, 1933 წელი არ უნდა წააგავდეს გასულ წელს.

მეორე მხრით რკინის გზის ტრანსპორტმა უნდა შეასრულოს თავისი ამოცანა.

რკინის გზამ ნამდვილად უნდა უზრუნველყოს სათბობის თავის დროზე მიწოდება მეტალურგიის ქარხნებისათვის.

მთავარი ამოცანა მაინც მდგომარეობს თვით შავ მეტალურგიაში.

ყველა იმ უწესრიგობის აღმოფხვრაში, რასაც იქ ადგილი აქვს წარმოების მოწყობის და სამეურნეო და ტეხნიკური კადრების **შერჩევის** მხრივ, მათი მუშაობის ნამდვილი **შემოწმების** დაწესებაში, სამეურნეო და ტეხნიკური ხელმძღვანელობის ხარისხის გაუმჯობესებაში.

გავაკეთოთ ყველაფერი, რაც საჭიროა იმისათვის რომ **რაც არ უნდა დაჯდეს** შევასრულოთ გეგმა არა მარტო თუჯის ხაზით არამედ აუცილებლად ფოლადის და სატკეცი რკინის წარმოების გეგმაც.

II. სოფლის მეურნეობა და მოსავლიანობის გადიდება

პირველი ხუთწლედის წარმატებათა უმნიშვნელოვანეს მაჩვენებლებს წარმოადგენს კოლექტივიზაციის გამარჯვება სოფლის მეურნეობაში. საბოლოოდ გაიმარჯვა კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების საქმემ. კოლექტივიზაცია ძირითადად დამთავრდა. უკვე 1932 წლის გლეხური ნათესების სამი მეოთხედი ეკუთვნოდა კოლმეურნეობებს.

ცხადია, რომ ეხლა საქმე შემდგომი კოლექტივიზაციის ტემპების კი არ არის, არამედ შრომის ორგანიზაციაში კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში.

ბოლოს და ბოლოს, აქაც მთავარია შრომის ნაყოფიერების გადიდება, რისთვისაც საჭიროა გადაჭრით გავაუმჯობესოთ მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხი სოფლის მეურნეობაში. სოფლის მეურნეობის დარგში ამჟამად ჩვენს წინაშე არ სდგანან სათესი ფართობის შემდგომი გადიდების ამოცანები. პირველი ხუთწლედის პერიოდში ეს ფართობები საკმაოდ გადიდდა. ეხლა მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს მოსავლიანობის გადიდების ამოცანას.

სწორედ აქედან გამომდინარეობს 1933 წლის სახალხო-სამეურნეო გეგმა.

წელს ჩვენ დასახული გვაქვს მოსავლიანობის გადიდება ყველა ძირითადი კულტურების მიხედვით. მოსავლიანობა ჩვენს ქვეყანაში ძალიან დაბალია, ცალკე კულტურების მიხედვით იგი პირდაპირ დაუშვებლად დაბალია. აქედან, სხვათაშორის, გამომდინარეობს ის, რომ ჩვენში ძალიან დიდია მოსავლიანობის სწრაფად გადიდების პერსპექტივები.

როგორია ჩვენი 1933 წლის პროგრამა ამ საქმეში?

1933 წლის ფართობების უცვლელად დატოვებასთან ერთად ჩვენ ამოცანად ვისახავთ გავადიდოთ მოსავლიანობა მარცვლეული კულტურების დარგში 13 პროცენტით, ბამბის—8 პროცენტით, სელის—20 პროცენტით, მზესუმზირას—25 პროცენტით და შაქრის ჭარხლის დარგში—32 პროცენტით.

როგორც ხედავთ, დასახულია სავსებით კონკრეტული - პრაქტიკული ამოცანები.

აღნიშნული ამოცანების მთლიანად შესრულების უზრუნველყოფის დროსაც კი ჩვენ ჯერ კიდევ ბევრად ჩამორჩებით მთელი რიგი სხვა ქვეყნების მოსავლიანობის დონეს, სადაც მანქანების და სასუქის გამოყენება და სოფლის კულტურული დონე უკვე დიდი ხანია გაცილებით მაღლა იდგა, ვიდრე ეს ოდესმე იყო ჩვენს ქვეყანაში.

მაგრამ არც ისე ადვილი საქმეა მოსავლიანობის გადიდების ამოცანის ნამდვილად გადაჭრა ერთი წლის განმავლობაში ყველა აღნიშნულ და სხვა კულტურების მიხედვით. აქ საჭიროა სერიოზული მუშაობა კოლმეურნეებთან, საბჭოთა მეურნეობების მუშებთან და აგროტეხნიკურ კადრებთან. მაგრამ ამჟამად დასახული ამოცანები მოსავლიანობის გადიდების დარგში არამც თუ არ არის განუხორციელებელი, არამედ უსათუოდ შეიძლება მათი განხორციელება და ისინი განხორციელებულ უნდა იქნან ყოველ მიზეზს გარეშე. ჩვენ, ბოლშევიკებმა მით უმეტეს მტკიცედ უნდა ვსთქვათ ეს, რომ საქმე ამ შემთხვევაში, უწინარეს ყოვლისა, დამოკიდებულია ჩვენგან, იმისაგან, თუ რამდენად შევწევს მასების დარაზმვის უნარი, ჩვენი აქტივისაგან კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრებზე შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის ბრძოლაში.

საჭირო არ არის იმის მკიცება, რომ ჯერ ჯერობით უმეტეს შემთხვევაში ჩვენ ამას ვაკეთებთ საკმაოდ ცუდათ. ისეთი მოკლე ხნის განმავლობაში, როგორიცაა სამი წელიწადი, როცა ჩვენში აღმოცენდა 200 ათასი ახალი კოლმეურნეობა და 5 ათასი ახალი საბჭოთა მეურნეობა, არც შეიძლებოდა გვეფიქრა, რომ მივიღებდით დიდ შედეგებს კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შრომის ნაყოფიერების გადიდების მხრივ, და ჩვენ მაინც უკვე გვაქვს ერთგვარი წარმატებანი.

ავიღოთ 1931 წლის თესვის კამპანიის შედეგები და შევადაროთ იმ კოლმეურნეობების შრომის ნაყოფიერება, რომლებსაც სამსახურს უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, იმ კოლმეურნეობებს, რომლებსაც სამსახურს არ უწევენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, და ერთპიროვნულ მეურნეობებს. რას ვხედავთ ჩვენ?

ა) კოლმეურნეთა 7 მილიონმა მეურნეობამ, რომლებსაც სამსახურს უწევდნენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, დათესა 35 მილ. ჰექ. ე. ი., სხვანაირად რომ ვთქვათ, 5 ჰექტარი კოლმეურნის თვითეულ მეურნეობაზე;

ბ) კოლმეურნეთა 8 მილიონმა მეურნეობამ, რომლებსაც სამსახურს არ უწევდენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები, დათესა 31 მილიონი ჰექტარი, ან, დაახლოებით, 4 ჰექტარი კოლმეურნის თვითეულ მეურნეობაზე.

გ) 10 მილიონმა ერთპიროვნულმა მეურნემ დათესა 19 მილიონი ჰექტარი, რაც შეადგენს 2 ჰექტარზე ნაკლებს ერთპიროვნული გლეხის თვითეულ მეურნეობაზე.

ამგვარად, ჩვენ უკვე ეხლაც გვაქვს თვალსაჩინო ფაქტები, რომლებიც მოწმობენ საკოლმეურნეო შრომის, განსაკუთრებით კი ისეთი საკოლმეურნეო შრომის, უპირატესობას, რომელიც შეერთებულია სამანქანო-სატრაქტორო სადგურების სასოფლო-სამეურნეო მანქანებთან და ტრაქტორებთან. მოყვანილი ფაქტები მოწმობენ, რომ უკვე გასულ წელს კოლმეურნეთა შრომის ნაყოფიერება, სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დაუხმარებლადაც, ორჯერ აღემატებოდა ერთპიროვნულ მეურნეობათა შრომის ნაყოფიერებას. ხოლო შრომის ნაყოფიერება იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც ხელმძღვანელობას უწევდენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები, 2 ნახ.-ჯერ აღემატება ერთპიროვნულ მეურნეობათა შრომის ნაყოფიერებას და 25 პროცენტით მეტია, ვიდრე იმ კოლმეურნეობებში, რომლებსაც სამსახურს არ უწევდენ სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. ამის შემდეგ როგორ არ გაიმარჯვებენ კოლმეურნეობები სოფლის მეურნეობაში?

მოვიყვან კიდევ ერთ მაგალითს, ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობების, მასთან ცოტათ თუ ბევრად შეძლებულ მეურნეობების, რომლებსაც აქვთ უფრო მეტი სასოფლო-სამეურნეო მანქანები. გამოკვლევის შედეგად მიღებულ ცნობების თანახმად, შრომის დახარჯვა ერთ ჰექტარ საგაზაფხულო ხორბლის დათესვაზე 1921—27 წლებში დაახლოებით შეადგენდა 15 სამუშაო დღეს. მეორე მხრით სახალხო-სამეურნეო აღრიცხვის ცენტრალური სამმართველოს ცნობებით, ჩრდილოეთ კავკასიის კოლმეურნეობებში შრომის დახარჯვა საგაზაფხულო ხორბლის ერთი ჰექტარის დათესვაზე 1931 წელს შეადგენდა 6 სამუშაო დღეზე ცოტა მეტს. ბოლოს, იმავე წელს მარცვლეულის საბჭ. მეურნეობების გაერთიანების საბჭოთა მეურნეობებში შრომის დახარჯვა 1 ჰექტარზე საგაზაფხულო ხორბლის დათესვაზე შეადგენდა 2,8 სამუშაო დღეზე ცოტა მეტს. ამის შემდეგ როგორ არ გაიმარჯვებენ კოლმეურნეობანი და საბჭოთა მეურნეობანი ყველა და ყოველგვარ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობებზე?

და ყველაფერი ეს ხდება, მიუხედავად იმისა, რომ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მუშაობაში ადგილი აქვს უდიდეს დეფექტებს, მიუხედავად იმისა, რომ მათი დიდი უმრავლესობა წარმოიშვა მხოლოდ უკანასკნელი სამი წლის განმავლობაში, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ცუდად დავეუფლეთ სასოფლო - სამეურნეო წარმოების ახალ ტეხნიკას და რომ ამ საქმეში ჩვენ თითქმის სრულიად არ გვქონია გამოცდილება. ვიმეორებ, იმ ადამიანების შრომის ხელსაყრელობა, რომლებიც გაერთიანებული არიან კოლმეურნეობებში და მუშაობენ საბჭოთა მეურნეობებში, ერთპიროვნული გლეხის შრომასთან შედარებით, უკვე პრაქტიკულად დამტკიცებულია და დამტკიცებულია რამდენიმე **მილიონ და ათეული მილიონი ადამიანების მუშაობის მაგალითზე**.

აი ამიტომ მოსავლიანობის გადიდების ამოცანას ეხლანდელ პირობებში დიდად აადვილებს ის, რომ კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა გაბატონებული მდგომარეობა მოიპოვეს სოფლის მეურნეობაში.

ყველაფერი დამოკიდებულია იმისაგან, თუ როგორ უნარს გამოვიჩენთ შრომის ორგანიზაციის საქმეში, განსაკუთრებით თესვის და მოსავლის აღების დროს, როგორ უნარს გამოვიჩენთ კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში შემძვრალ საკოლმეურნეო მშენებლობის და საბჭოთა ხელისუფლების მტრებისათვის წინააღმდეგობის გაწევის საქმეში და როგორ დავრაზმავთ ნამდვილად მოწინავე და საკოლმეურნეო საქმისათვის თავდადებულ ამხანაგების გარშემო კოლმეურნეთა მთელ ძირითად მასას შრომის დისციპლინისა და საკოლმეურნეო დოვლათისადმი პატიოსნად მოპყრობისათვის საბრძოლველად, ზარმაცების, მტაცებლების და ქურდების წინააღმდეგ, განსაკუთრებით კი იმ კულაკური და სხვა კონტრრევოლიუციონური ელემენტების წინააღმდეგ საბრძოლველად, რომლებიც იმალებიან მათ ზურგს უკან.

რით იმარჯვებენ კოლმეურნეები და საბჭოთა მეურნეობები ერთპიროვნულ გლეხურ მეურნეობებზე? იმით, რომ თავიანთ შრომაში გაერთიანებულნი, ისინი ეყრდნობიან მოწინავე სასოფლო-სამეურნეო **ტეხნიკას**, იყენებენ რა საუკეთესო სასოფლო-სამეურნეო მანქანებს და ტრაქტორებს.

ავიღოთ ფაქტი. პირველი ხუთწლედის დასაწყისისათვის მანქანების და იარაღის მთელი ღირებულება ჩვენს სოფლის მეურნეობაში უდრიდა 1150 მილიონ მანეთს. პირველი ხუთწლედის 4 წლის განმავლობაში სოფლის მეურნეობას შემატა 1200 მილიონ მანეთად ღირებული მანქანები და იარაღი.

ამრიგად, ერთი ბოლშევიკური ხუთწლედის განმავლობაში—4 წელიწადში სოფლის მეურნეობამ მიიღო გაცილებით მეტი იარაღი და მანქანები, ვიდრე მას ჰქონდა ხუთწლედის დასაწყისს.

ამასთანავე ახალი სასოფლო-სამეურნეო მანქანები ძველ მანქანებზე გაცილებით უფრო ნაყოფიერია.

პირველი ხუთწლედის განმავლობაში რადიკალურად შეიცვალა სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტეხნიკის საფუძვლები ჩვენს ქვეყანაში. ამაშია ჩვენი ძალა.

ხუთწლედის დასაწყისშიაც კი **სახნისი** საკმაოდ თვალსაჩინო როლს თამაშობდა სოფლის მეურნეობაში. მას შემდეგ აქ დიდი ცვლილებები მოხდა. ხუთწლედის დასასრულს უკვე უდიდეს როლს თამაშობს **ტრაქტორებით დახვნა**.

პირველი ხუთწლედის დასაწყისში **ხელით თესვას** გაბატონებული მდგომარეობა ეჭირა. ხუთწლედის განმავლობაში მდგომარეობა ძირფესვიანად შეიცვალა. თესვის ძირითად გადამწყვეტ იარაღად გახდა სათესი მანქანა, ამასთანავე ძალიან დიდ როლს თამაშობს **სატრაქტორო სათესი მანქანა**.

1928 წელშიაც კი **ნამგალი** და **ცელი** ბევრ რაიონში ძირითად იარაღს წარმოადგენდა მარცვლეული კულტურების აღებისათვის. აქაც მდგომარეობა რადიკალურად შეიცვალა. პირველი ხუთწლედის დასასრულს მარცვლეული კულტურების აღების ძირითად იარაღად გადაიქცა **მოსავლის ასაღები საცხენო იარაღი და კომბაინი ტრაქტორებით**.

ჯერ კიდევ პირველი ხუთწლედის უშუალო წინაპერიოდში **საცეხველით** და სხვა ხელით სალეწი იარაღებით ლეწავდენ არა ერთი ათეული მილიონი ჰექტარის მოსავალს. მას შემდეგ სურათი აქაც შეიცვალა ამ სიტყვის სრული მნიშვნელობით. ამჟამად პურის გასალეწ ძირითად იარაღს წარმოადგენს ცხენით სალეწი მანქანა, **მექანიკური სალეწი მანქანა და კომბაინი**. გარდა ამისა ცნობილია, რომ კომბაინი სოფლის მეურნეობაში ერთ და იმავე დროს ასრულებს მთელ რიგ უმნიშვნელოვანეს სამუშაოებს — სახელდობრ მკის, ლეწავს და ახარისხებს.

დაწვრილებით აღარ შევჩერდები ტრაქტორების როლის საკითხზე ჩვენს სოფლის მეურნეობაში. ეს ისედაც კარგად არის ყველასათვის ცნობილი. საკმაოა აღინიშნოს, რომ 1933 წლის გაზაფხულისათვის ტრაქტორების რაოდენობა ჩვენს სოფლის მეურნეობაში წინა წელთან შედარებით გაიზრდება 27 ათასი ცალით, ე. ი. 19 პროცენტით, ხოლო სატრაქტორო პარკის სიმძლავრე—21 პროცენტით.

სოფლის მეურნეობის ტეხნიკურ რეკონსტრუქციაში განსაკუთრებული ადგილი დაიკავეს სამანქანო-სატრაქტორო სადგურებმა. უკვე გასულ წელს კოლმეურნეობათა ფართობის ნახევარზე მეტი დათესილ იქნა სამანქანო-სატრაქტორო სადგურების დახმარებით და მათი ხელმძღვანელობით. მიმდინარე წლის გაზაფხულზე სამანქანო-სატრაქტორო სადგურების ამოცანები კიდევ უფრო მნიშვნელოვანია, რადგან სამანქანო სატრაქტორო სადგურებმა უნდა დათესონ საკოლმეურნეო ფართობის 60 პროცენტი მაინც. სამანქანო სატრაქტორო სადგურები მართლაც გამძღოლ როლს თამაშობენ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო წარმოების ტეხნიკურ რეკონსტრუქციაში. ეს როლი დღითი-დღე იზრდება. ამავე დროს სამანქანო - სატრაქტორო სადგურების მუშაობაში აშკარავდება დიდი დეფექტები, რაც მოითხოვს პარტიის გაძლიერებულ ყურადღებას მათ მუშაობისადმი. და მაინც, მიუხედავად ამ დეფექტებისა, სამანქანო - სატრაქტორო სადგურები წარმოადგენენ ჩვენს საიმედო და საუკეთესო იარაღს სოფლის მეურნეობის ტეხნიკური რეკონსტრუქციის და კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-სამეურნეო განმტკიცების საქმეში. სამანქანო-სატრაქტორო სადგურები სულ 3—4 წელიწადია არსებობს და მათი რიცხვი უკვე 2 ნახევარ ათასამდე აღწევს. ისინი გადაიქცენ გლეხური მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის მთავარ ბერკეტად. სწრაფად იზრდება არა მარტო მათი საწარმოო ტეხნიკა, არამედ აგრეთვე მათი პოლიტიკური როლი სოფლად.

ყოველივე ეს ხელსაყრელ წინასწარ პირობებს ქმნის იმისათვის, რომ ჩვენ გავშალოთ ბრძოლა შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის სოფლის მეურნეობაში და, პირველ ყოვლისა, კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გადიდების შესახებ არსებულ დირექტივების შესრულებისათვის, რაც, თავის მხრივ, მოითხოვს მთელი ჩვენი მუშაობის ხარისხის სერიოზულად გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში.

მეცხოველეობის დარგში ჩვენ უფრო ნაკლებ დამაკმაყოფილებელი მდგომარეობა გვაქვს, ხოლო ზოგიერთ დარგებში სრულიად დაუშვებელი მდგომარეობა.

1933 წელს როგორც კოლმეურნეობების, ისე საბჭოთა მეურნეობების მეცხოველეობის ყველა დარგისათვის ჩვენ დასახული გვაქვს ჯოგის შემდგომი თვალსაჩინო ზრდის ამოცანა. განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს იმას, რომ მივაღწიოთ რქოსანი პირუტყვის ღორების და ცხვრების ჯოგის მომატების შესახებ არსებულ დირექტივების შესრულებას საკოლმეურნეო სასაქონლო ფერმებსა და მეცხოველეობის საბჭოთა მეურნეობებში. მიმდინარე წელს უნდა მოხდეს გარდატეხა სოციალისტური მეცხოველეობის ზრდაში, რასაც უდიდესი მნიშვნელობა აქვს, როგორც თვით სოფლის მეურნეობისათვის, ისე ჩვენი ქალაქების სასურსათო მომარაგების საქმის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

III. საქონლის ბრუნვა ქალაქსა და სოფელს შორის. საბჭოთა ვაჭრობა და მუშათა მომარაგების გაუმჯობესება

გადავდივარ ქალაქსა და სოფელს შორის საქონლის ბრუნვის, საბჭოთა ვაჭრობის გაშლის საკითხებზე და, ამასთან დაკავშირებით, მუშათა მომარაგების საკითხებზე.

დავიწყებ ფართო მოხმარების საქონლის წარმოების საკითხით.

ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ მსუბუქი ინდუსტრიის ისეთ ზრდას, ფართო მოხმარების საქონლის წარმოების ისეთ მასშტაბს, რომელიც დააკმაყოფილებდა ჩვენი ქვეყნის გაზრდილ მოთხოვნილებებს. არასაკმაოდ წავიდა წინ მსუბუქი მრეწველობა, კერძოდ, გასულ წელშიაც. მიუხედავათ ამისა, ჩვენში განუხრელად იზრდება ფართო მოხმარების საქონლის წარმოება და 1933 წელს ამ მხრივ გადადგმული იქნება შემდგომი მნიშვნელოვანი ნაბიჯი. ფართო მოხმარების საქონლის ძირითადი ჯგუფის მიხედვით გეგმით გათვალისწინებულია პროდუქციის ზრდა 10 პროცენტით. თუ ზოგიერთი საქონლის მიმართ ეს ზრდა უფრო ნაკლები იქნა, სამაგიეროდ, მეორეს მხრივ, მომარაგებისათვის მნიშვნელოვან სამრეწველო საქონლის მიმართ (შალის ქსოვილები. სამკერვალო ნაწარმი. ძაფი და სხვ.) ჩვენ მიმდინარე წელს თვალსაჩინო ზრდას მივაღწევთ.

გასულ წელს ჩატარებულ იქნა მთელი რიგი ღონისძიებანი სასაქონლო ფონდების ხელახალი განაწილებისათვის ბაზრის სასარგებლოდ ეგრედწოდებულ „ბაზრისგარეშე მომხმარებელთა" (დაწესებულებანი, სამეურნეო ორგანიზაციები და სხვ.) ფონდების ხარჯზე. ეს გავატარეთ, კერძოდ, სოფლის მომარაგების გაუმჯობესების მიზნით. ამით ჩვენ საგრძნობ შედეგებს მივაღწიეთ. გასულ წელს სოფელმა მიიღო 23 პროცენტით მეტი სამრეწველო საქონელი, ვიდრე წინა წელს. მაგრამ. ამავე დროს სამრეწველო საქონლის ფონდების ზრდა ქალაქებში უმნიშვნელო იყო. მიმდინარე წელს ჩვენ უნდა განვაგრძოთ ხაზი ბაზრის გარეშე ფონდების შემდგომი შეზღუდვისაკენ საბაზრო-სასაქონლო ფონდების გადიდების სასარგებლოთ, ფონდების, რომლებიც უშუალოდ იგზავნება მუშებისა და გლეხებისათვის მისაყიდათ.

მსუბუქი მრეწველობის პროდუქციის ათი პროცენტით ზრდა, რაც დასახულია მიმდინარე წლისათვის, ვერ დააკმაყოფილებს ყველა ჩვენს მოთხოვნილებებს, მაგრამ ისიც შეიძლება შესრულდეს მხოლოდ იმ პირობით, თუ მსუბუქი მრეწველობის მუშაკები სერიოზულად მოჰკიდებენ ხელს თავიანთ საწარმოების ნედლეულით უზრუნველყოფის საქმეს, ამას კი ჩვენ ჯერ-ჯერობით ბევრ შემთხვევაში ვერ ვხედავთ.

როგორც ვიცით, წინად მსუბუქი მრეწველობა საგრძნობლად შემოზიდული ნედლეულით იკვებებოდა, ჯერ კიდევ რამოდენიმე წლის წინად ჩვენ უცხოეთიდან შემოგვქონდა უამრავი ბამბა, მატყლი, ტყავეულობა და სხვ. 1928 წელს ჩვენ იძულებული ვიყავით 150 მილიონი ოქროს მანეთი დაგვეხარჯა მარტო ბამბის შემოტანაზე. 1929 წელსაც კი შემოზიდულ მატყლში გადავიხადეთ თითქმის 10 მილიონი ოქროს მანეთი. ხუთწლედის დაწყების წინ ტყავის ნედლეულში ჩვენ ყოველ წლიურად ვიხდიდით 40 მილიონამდე ოქროს მანეთს და სხვ. მას შემდეგ მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა. პირველი ხუთწლედის განმავლობაში ჩვენ მივაღწიეთ ისეთ მდგომარეობას, რომ მთელ ძირითად მოთხოვნილებებს ამ ნედლეულის მხრივ თვითონვე ვაკმაყოფილებთ, ეს ნედლეული თითქმის აღარ შემოგვაქვს უცხოეთიდან.

ეს არ შეიძლება არ ჩაითვალოს საბჭოთა კავშირის სოციალისტური მშენებლობის დიდ წარმატებად.

მაგრამ წარსული პერიოდის ზოგიერთი ჩვეულებანი მეტად გამძლე აღმოჩნდა. მაგალითად, მსუბუქი მრეწველობის ზოგიერთი დარგის მუშაკები—ეს განსაკუთრებით ეხება საფეიქრო და ტყავეულობის მრეწველობას—თავის დროზე ძალიან შეეჩვიენ იმას, რომ იცხოვრონ შემოზიდული ნედლეულით, იცხოვრონ, ასე ვთქვათ, „მზამზარეულად".

ამავე დროს, ჩვენს სოფლის მეურნეობას ტეხნიკურ კულტურების სწრაფი განვითარების მეოხებით შეუძლია დიდი რაოდენობით მოგვცეს ამჟამად ეს ნედლეული. საჭიროა მხოლოდ ბოლო მოუღოთ „მზამზარეულად" ცხოვრების ჩვეულებას და ხელი მოვკიდოთ სათანადო დამზადებათა ორგანიზაციას. ჩვენ გვყავს სათანადო დამზადებელი ორგანიზაციები, მაგრამ ჩვენი სამეურნეო მუშაკები, რომელნიც მუშაობენ მსუბუქ მრეწველობაში და აგრეთვე კვების მრეწველობაში, უფრო ახლო უნდა მიუდგნენ ამ ორგანიზაციების მუშაობას და მეტი პრაქტიკულობა უნდა გამოიჩინონ თავისავე საწარმოთათვის ნედლეული ბაზის შექმნის საქმეში, მით უმეტეს, რომ ეხლა სოფლად ჩვენი ღონისძიებების გასატარებლად გვაქვს ისეთი ბერკეტი, როგორიცაა სამანქანო--სატრაქტორო სადგურები და აგრეთვე თვით კოლმეურნეობანი და კოლმეურნეები. თუ წინად მსუბუქი მრეწველობის სამეურნეო ორგანიზაციებს უძნელდებოდათ დაქსაქსულ გლეხურ მეურნეობასთან საქმის დაჭერა, ეხლა მდგომარეობა საფუძვლიანად შეიცვალა დადებითად და უნდა გვახსოვდეს, რომ მსუბუქ მრეწველობასა და კვების მრეწველობაში მომუშავე ჩვენი ამხანაგები ვერ შეასრულებენ თავიანთ მოვალეობას და კერძოდ ცეკას სექტემბრის პლენუმის გადაწყვეტილებას ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაშლის შესახებ, თუ ისინი უშუალოდ და ენერგიულად არ მოჰკიდებენ ხელს თავიანთ საწარმოთა უზრუნველყოფას საჭირო სასოფლო-სამეურნეო ნედლეულით, ხოლო თუ ისინი ამ საქმეს ბოლშევიკურად მოეკიდებიან მაშინ არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შეასრულებენ 1933 წლის გეგმით დასახულ ამოცანებს. ფართო მოხმარების საქონლის წარმოების გაშლის დარგში.

რას იძლევა მეორე ხუთწლედის პირველი წლის სასოფლო - სამეურნეო გეგმა მსუბუქი მრეწველობის შემდგომი განვითარებისათვის?

შეიძლება ითქვას, რომ ამ გეგმაში მკაფიოდ გამოხატულია მსუბუქი მრეწველობის საწარმოო ტეხნიკური ბაზის განმტკიცების ტენდენცია. იმ დროს, როცა კაპიტალური მშენებლობის საერთო ზრდა მრეწველობის ხაზით აღწევს 10 პროცენტს, კაპიტალური მშენებლობა მძიმე მრეწველობაში უნდა გაიზარდოს 5 პროცენტით, ხოლო მსუბუქ მრეწველობაში 48 პროცენტით. ამით საკმაოდ ხაზგასმულია პარტიის და მთავრობის მისწრაფება გააძლიერონ მსუბუქი მრეწველობის საწარმოო ტეხნიკური ბაზა.

ქალაქების სასურსათო მომარაგების მხრივ გეგმა ითვალისწინებს საქმის შემდგომ გაუმჯობესებას ყველა ძირითადი პროდუქტების მიხედვით, სათანადო სასურსათო ფონდები სახელმწიფოს განკარგულებაში მიმდინარე წელს რამდენადმე იზრდება, უფრო ნაკლებ ხორცის და ერბო-კარაქის ხაზით, უფრო მეტად თევზის პროდუქტების კვერცხის, კარტოფილის, ბოსტნეულის და ფქვილის ხაზით. საქმის გაუმჯობესება საგრძნობლად დამოკიდებული იქნება საგარეუბნო მეურნეობებში საქმის დაყენებაზე და ცენტრალიზებულ დამზადებაზე, რომელიც საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების პერსპექტივებთან დაკავშირებით უნდა გაძლიერდეს.

საჭიროა აგრეთვე მხედველობაში მივიღოთ, რომ მსხვილი მრეწველობის მუშათა რიცხვის ერთგვარ ზრდასთან ერთად (დაახლოებით 1[illegible] ათასით), სახალხო მეურნეობის ყველა დარგებისათვის საჭირო მუშა - მოსამსახურეთა რიცხვი 1933 წელს ნაკლები იქნება გასულ წელთან შედარებით, რამაც უნდა გამოიწვიოს სოფლიდან მუშა - ხელის მოსვლის შემცირება მშენებლობაზე და საერთოდ ქალაქში. ამრიგად, სასურსათო მომარაგების საქმეში, განსაკუთრებით ძირითად სამრეწველო პუნქტების მუშების და საინჟინერო ტეხნიკური პერსონალის მომარაგებაში ჩვენ შეგვიძლია ნამდვილად უზრუნველვყოთ და უნდა უზრუნველვყოთ კიდეც შემდგომი გაუმჯობესება.

მთავარი ამოცანა, რომლის გადაჭრაზედაც ბევრი რამ არის დამოკიდებული, მდგომარეობს მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესებაში. როგორც ვიცით, ამ ცოტა ხნის წინად ჩატარდა სპეციალური ღონისძიებანი მომარაგების ორგანიზაციის გაუმჯობესებისათვის ქალაქებში და ამ საქმის უფრო მჭიდროდ დაკავშირებისათვის წარმოების ინტერესებთან. ამ ღონისძიებებს უდიდესი მნიშვნელობა აქვს. ისინი უნდა ჩატარდეს იმგვარად, რომ მომარაგების ორგანიზაციის საქმე საგრძნობლად გაუმჯობესდეს პრაქტიკაში. ამასთან საჭიროა ყოველნაირად გავაძლიეროთ ბრძოლა მრაცბლობასთან მომარაგების კოოპერატიულ და სახელმწიფო ორგანოებში. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ სამრეწველო საქონლის და სურსათის ის ფონდები, რომლებიც ჩვენ მოგვეპოვება, იხარჯებოდეს დანიშნულებისამებრ და ნაწილდებოდეს ნამდვილად ჩვენი ძირითად საჭიროებასთან შეფარდებით. რომ ამ მხრით ჩვენში საქმე ყოველთვის ვერ არის კარგად, ამას მოწმობს შემდეგი: გასული წლის გაზაფხულზე მოსკოვსა, ლენინგრადსა და დონბასში ადგილი ჰქონდა დიდ შეფერხებას ხორცის გაცემაში, მაგრამ შესაფერ საბჭოთა ცენტრალურ და ადგილობრივ ორგანოების მუშაობაში ცენტრალური კომიტეტის ჩარევის მეოხებით შესაძლებელი გახდა, ამ შეფერხების თავიდან აცილება შემდგომაზე. ახლა დაწესებულ ნორმებს მუშა - მოსამსახურეთა შესაფერი კატეგორიები და მათი ოჯახების წევრები თავის დროზე ღებულობენ. კიდევ მეტი, შემდეგი პერიოდისათვისაც შექმნილია ხორცის საჭირო მარაგი.

სწორედ ეს მაგალითი ხორცის მომარაგების ხაზით, რომელიც ახლა წარმოადგენს ერთ-ერთ არასაკმაო პროდუქტს ქალაქებში, გვიჩვენებს, რომ მომარაგების გაუმჯობესებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს მომარაგების ორგანიზაციას, აგრეთვე შესაფერ დამზადებათა ორგანიზაციას. ამ უკანასკნელ საქმეში, მთელ რიგ სასურსათო პროდუქტების დამზადების საქმეში გასულ წელს ჩვენ დავიწყეთ ახალ მეთოდზე გადასვლა, როგორც ხორცის, ისე კარაქის ხაზით დამზადების წინანდელი სახელშეკრულებო მეთოდიდან (კონტრაქტაცია) გადავედით საგადასახადო წესით დამზადების მეთოდზე.

უნდა აღინიშნოს, რომ გასული წლის უკანასკნელმა კვარტალმა, როცა პირველად იქნა გამოყენებული საგადასახადო მეთოდი ხორცის დამზადების ხაზით, ცხადყო ამ ღონისძიების წარმატებით გატარება. როგორც სჩანს პურის დამზადებაშიაც უნდა გადავიდეთ ამ მეთოდზე, პური უნდა დავამზადოთ საგადასახადო წესით.

ამასთან უნდა გავაძლიეროთ ყურადღება საბჭოთა ვაჭრობისადმი.

მთელ რიგ შემთხვევებში საბჭოთა ვაჭრობის გაშლა მიმდინარეობდა საგრძნობი დამახინჯებით პრაქტიკაში. საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციებიც კი, რომლებმაც წლინახევრის წინად დაიწყეს თავიანთი მაღაზიების და, კერძოდ, თავიანთი კომერციული ვაჭრობის გაშლა, ზოგჯერ ააშკარავებდენ სპეკულიანტურ მისწრაფებას. ასეთი ფაქტები კოლმეურნეობათა მიმართ, რა თქმა უნდა, გაცილებით მეტია. ამავე დროს საჭიროა საბჭოთა ვაჭრობის გაშლა, რადგან ამან ხელი უნდა შეუწყოს მუშების და გლეხების მომარაგების საქმის გაუმჯობესებას, მაგრამ ეს უნდა მოხდეს საბჭოთა ვაჭრობის იმ პრინციპებთან შეფარდებით, რომლებიც დააწესა საბჭოთა ხელისუფლებამ. ეს უნდა მოხდეს დაწესებული ფასების სასტიკად დაცვის საფუძველზე, კოოპერატიული და სახვაჭრობის ქსელის გაშლით, აგრეთვე საკოლმეურნეო ვაჭრობის სათანადოთ განვითარებით, მაგრამ „კერძო ვაჭრების" გარეშე, კაპიტალისტების და სპეკულიაციის გარეშე. თანამედროვე საბჭოთა ვაჭრობა და ბრძოლა სპეკულიაციის აღმოსაფხვრელად — განუყოფელი მთელია.

ბოლოს, ორიოდე სიტყვა კიდევ მშრომელთა ცხოვრების მატერიალური პირობების შესახებ.

ბრძოლა მოსავლიანობის გადიდებისა და მეცხოველეობის განვითარებისათვის, აგრეთვე კოლმეურნეობათა და ინდივიდუალურ მეურნე გლეხთა შემოსავლის ზრდა შინამრეწველობის განვითარებით, სეზონური სამუშაოებით, ახალმშენებლობაზე მუშაობით და სხვ. ქმნის წინა პირობებს კოლმეურნეთა და ინდივიდუალურ მეურნე გლეხთა მატერიალური მდგომარეობის შემდგომი გაუმჯობესებისათვის.

რაც შეეხება მუშებს, გეგმა ითვალისწინებს შრომის ხელფასის ზრდას მრეწველობაში 9 პროცენტით 1932 წლის ხელფასის საშუალო წლიურ დონესთან შედარებით. საგრძნობლად იზრდება აგრეთვე სახელმწიფოს ხარჯები მუშათა სოციალურ საყოფაცხოვრებო და კულტურულ საჭიროებაზე. ოღონდ საჭიროა ბრძოლის გაძლიერება შრომის ხელფასის დაწესებულ პოლიტიკის ჩაშლის ცდებთან, რადგან პრაქტიკაში უკანასკნელ დროს ადგილი აქვს გათანაბრების ტენდენციების ერთგვარ გაძლიერებას. ასე, მაგალითად, პარტიის და მთავრობის ღონისძიებით ქვანახშირის მრეწველობის მუშის ხელფასი 1931 წლის დამლევიდან აყვანილი იყო მრეწველობის 13 უმნიშვნელოვანესი დარგის სიაში მე-8 ადგილიდან მე-5 ადგილზე, გასული წლის მეორე ნახევარში კი იგი კვლავ მე-7 ადგილზე მოექცა. ასევე შავი მეტალურგიის მუშათა საშუალო ხელფასი ერთ დროს მე-4 ადგილიდან აყვანილ იქნა მე-2 ადგილზე, ხოლო 1932 წლის შემოდგომაზე დაეშვა მე-6 ადგილამდე. სათანადო სამეურნეო და პროფკავშირულმა ორგანიზაციებმა გადაჭრით უნდა აღმოფხვრან ასეთი მოვლენები.

ამრიგად, მეორე ხუთწლედის პირველ წელს ჩვენ შეგვიძლია მტკიცედ გავწიოთ წინ მუშებისა და გლეხების ცხოვრების მატერიალური დონის ამაღლების საქმეში.

IV. ბრძოლა ბურჟუაზიული კლასების ნაშთებთან და პროლეტარული დიქტატურის ძლიერების ზრდა

ჩვენ სამართლიანად ვამაყობთ სოციალიზმის უდიდესი გამარჯვებებით. ან როგორ არ ვიამაყოთ. ჩვენ არასდროს არ ვოცნებობდით იმაზე, რომ ისეთ მოკლე ხანში. როგორიცაა საბჭოთა ხელისუფლების არსებობის 15 წელი, მივაღწევდით სოციალისტური ფორმების გაბატონებულ მდგომარეობას მთელს სახალხო მეურნეობაში, ყველა მის დარგში.

ჩვენ ამას მივაღწიეთ, მაგრამ ბრძოლა ბურჟუაზიული კლასების ნაშთებთან არ დამთავრებულა, არ შენელებულა და ბევრ შემთხვევაში არ შეიძლება შენელდეს. ამ ნაშთების საბოლოო ლიკვიდაციამდე. ლენინი პირდაპირ ამბობდა, რომ ბურჟუაზიის წინააღმდეგობა მისი [illegible] გაათკეცდება: და ჩვენ ვხედავთ, რომ მიუხედავად იმისა. რომ ბურჟუაზიული კლასების ნაშთების ძალები ჩვენს ქვეყანაში დნება. მათი წინააღმდეგობა, გაბოროტება და გააფთრება უსაზღვროდ იზრდება. ამაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო საერთაშორისო კაპიტალის სიმდიდრე და ურთიერთობა, არამედ „ჩვეულების ძალაც" რომელიც ადამიანთა მილიონებს შეუმჩნევლად წარსულში კერძო საკუთრების მრავალსაუკუნოვანი არსებობის საფუძველზე.

გარდამავალი პერიოდი, რომელშიაც ვცხოვრობთ, მდიდარია მწვავე წინააღმდეგობებით. ამ წინააღმდეგობებში ბევრი ახალი ელემენტია, მაგრამ ჯერ კიდევ რჩება დაწყებითი პერიოდის, ეგრედწოდებული „მშვიდობიანი" სამეურნეო მშენებლობის წინააღმდეგობათა მრავალი მხარე. ახალი ეკონომიური პოლიტიკა ჯერ კიდევ არ დამთავრებულა, მაგრამ ეს უკვე პირველ პერიოდის ახალი ეკონომიური პოლიტიკა როდია. ახლანდელი ახალი ეკონომიური პოლიტიკა, ანუ ვთქვათ, უკანასკნელი პერიოდის ახალი ეკონომიური პოლიტიკა. რამდენადაც „საქონელი" და „ფული" — ჩვენს დროშიაც რეალური შინაარსის ცნებებია, ამდენად ახალი ეკონომიური პოლიტიკა განაგრძობს არსებობას. ამ საფუძველზე მე-17 პარტკონფერენციამ ხაზგასმით აღნიშნა ანტიბოლშევიკური ხასიათი „მემარცხენე", ფრაზისა „პროდუქტების განცვლაზე" გადასვლის და „ფულის გაუქმების" შესახებ უკვე სოციალიზმის მშენებლობის ეხლანდელ სტადიაზე. და მხოლოდ მარქსიზმისათვის უცხო ადამიანს შეუძლია სთქვას, რომ პარტიის ეს მითითება ეწინააღმდეგება მის ძირითად ხაზს და ეწინააღმდეგება ჩვენს ქვეყანაში სოციალიზმის გამარჯვების ფაქტს. ბურჟუაზიული ჰორიზონტით შეზღუდული ადამიანის თვალსაზრისით, საბჭოთა კავშირი ცხოვრობს ისეთ წინააღმდეგობათა პირობებში, რომელთა გადაჭრა არ ძალუძს საბჭოთა ხელისუფლებას. ნამდვილად კი ჩვენი მშენებლობის ეხლანდელი პერიოდის წინააღმდეგობებს, თუმცა მათი მრავალფეროვნებისა და სიმწვავისა ცალკეულ და ბევრ უბანზეც კი, მეორე ხარისხოვანი მნიშვნელობა აქვთ ძირითად ფაქტთან, საბჭოთა კავშირში სოციალიზმის საბოლოო გამარჯვების ფაქტთან შედარებით. და მიუხედავად ამისა, თქვენ ხედავთ ყველა იმ ღონისძიებებიდან, რომლებსაც პარტია და მთავრობა ატარებენ. რომ ისეთი საკითხებისადმი; როგორიცაა ბრძოლა ყაჩაღობასთან, როგორიცაა „ეკონომიის რეჟიმის" დაცვა სახელმწიფო ხარჯებში, როგორიცაა საბიუჯეტო დისციპლინა, ბრძოლა გეგმის გარეშე მშენებლობასთან და სხვ., პარტია არათუ არ იჩენს რაიმე ყურადღებობას, არამედ იგი ამჟამად მტკიცედ ატარებს ლენინის მიერ დასახულ პოლიტიკას.

ახლა მოვიყვან დღევანდელ ეტაპზე სამეურნეო მშენებლობაში არსებულ წინააღმდეგობათა უფრო ტიპიურ მაგალითებს და შევეხები იმას, თუ როგორ უნდა გადაიჭრას ბოლშევიკურად ეს წინააღმდეგობანი პრაქტიკაში.

ავიღებ პირველ მაგალითს. სამეურნეო ანგარიშის პრაქტიკასთან დაკავშირებით.

ჩვენი სამეურნეო ორგანიზაციების მუშაობა ეწყობა სახალხო მეურნეობის გეგმასთან შეფარდებით. ამ საფუძველზე სდებენ ისინი ხელშეკრულებებს ურთიერთის შორის დაწესებული სახელმწიფო ფასების მიხედვით. და ამასთან ერთად პარტია მოითხოვს დანერგილ იქნას სამეურნეო პრაქტიკაში სამეურნეო ანგარიში, რომლის გატარება უნდა მოასწავებდეს სამეურნეო ორგანიზაციების ინიციატივის და განსაზღვრული დამოუკიდებლობის გაძლიერებას და ამავე დროს მათი. ზუსტი პასუხისმგებლობის დაწესებას სახელმწიფო დავალებათა შესრულებისათვის ხელშეკრულებებთან შეფარდებით.

მთლიანად აღებული, ამ ამოცანების სწორ გატარებას ყველა ორგანიზაცია როდი ახერხებს ერთბაშად. ჩვენში არის შემთხვევები, როცა სამეურნეო ანგარიში პრაქტიკაში ხდება ფორმალურ მიმოწერად და წესებულ გეგმებსა და ხელშეკრულებებზე მითითებით იმ სამეურნეო ორგანიზაციების მხრით, რომლებიც საქმით საკანცელარიო მუშაობის მეთოდებამდე ეშვებიან, ხოლო მეორე მხრით: სამეურნეო ანგარიში ჩვენში მეტად „თავისუფლად" ესმით. მართალაც, განა არ არის ისეთი შემთხვევები, როცა ტრესტების, კოოპერატიული ორგანიზაციების, ფაბრიკების ან საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელნი „უფრო ხარფიანად" ასაღებენ პროდუქციას, ამასთან არღვევენ დაწესებულ ფასებს, არ ასრულებენ თავის სახელმწიფო ვალდებულებებს და საქმით ეშვებიან სპეკულიაციის მუშ·ყიან გზაზე? ამავე დროს კი გეგმაც, ხელშეკრულებებიც და სამეურნეო ანგარიშიც — ყველა ეს ელემენტებია ერთიანი ბოლშევიკური სამეურნეო პოლიტიკისა, რომლის გატარება, რა თქმა უნდა. მოითხოვს ბოლშევიკურ დამოკიდებულებას.

ავიღებ მეორე მაგალითს სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების **დამზადების** პრაქტიკასთან დაკავშირებით.

სახელმწიფო, როგორც ცნობილია. სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების დამზადებას მეტ ნაწილად აწარმოებს მტკიცე ფასებით, ხოლო გასული წლის შემოდგომიდან ჩვენ ვიწყეთ გადასვლა დამზადებაზე გადასახადის წესით.

მაგრამ, ამასთან ერთად, პარტია და მთავრობა აგრეთვე მიზანშეწონილად სცნობენ სასოფლო - სამეურნეო პროდუქტების ეგრედ წოდებული დეცენტრალიზებული დამზადების გაშლას ცალკე ქარხნებისა და სამომხმარებლო სისტემის კოოპერატიული ორგანიზაციების საჭიროებისათვის. ასე, მაგალითად, განსაზღვრულ პირობებში და სათანადო ვადებში ახლა ნებადართული აქვს 450 კოოპერატიულ და საქარხნო ორგანიზაციას დაამზადოს მეცხოველეობის პროდუქტები, კარტოფილი და ბოსტნეული, აქ ხელშეკრულების პრინციპის (კონტრაქტაცია) დაშვებით. ეს დეცენტრალიზებული დამზადება უნდა სწარმოებდეს განსაკუთრებული წესით და ამასთან ძირითად სახელმწიფო დავალებათა შესრულების პირობით. მაგრამ მტკიცედაა დაწესებული, რომ ეს დამზადებაც უნდა სწარმოებდეს გეგმის მიხედვით, მოწესრიგებულად და განსაკუთრებული (საკონვენციო) ფასებით, რომელთაც სახელმწიფო აწესრიგებს. ამრიგად, ჩვენი მოთხოვნილება სასოფლო-სამეურნეო პროდუქტებზე ახლანდელ პირობებში დაკმაყოფილდება ორგვარი ტიპის დამზადებით, დამზადებით რომელიც სწარმოებს ორი სხვადასხვა, მაგრამ ერთმანეთის შეთავსებული მეთოდით. უეჭველია იქნებოდა ამ მეთოდების განსხვავების გამო მოგვეთხოვა ამ დამზადების წარმოება აუცილებლად მხოლოდ ერთ-ერთი ამ მეთოდით და ხელი აგვეღო მეორე მეთოდზე. ნამდვილად კი დამზადების მხოლოდ ამ ორივე მეთოდის შეთავსებით შეგვიძლია ჩვენ, რამდენიმე ანგარიში უწევთ რა კოლმეურნეობებს და კოლმეურნეებს, უზრუნველვყოთ ამასთან ერთად სამრეწველო რაიონების და ქალაქების მომარაგების სულ უფრო და უფრო მეტი მოთხოვნილების დაკმაყოფილება.

კიდევ ერთი მაგალითი, **საკოლმეურნეო ვაჭრობასთან** დაკავშირებით.

ჩვენ ვაშენებთ კოლმეურნეობებს. როგორც სოციალისტური ტიპის ორგანიზაციას. საბჭოთა სახელმწიფო უმნიშვნელოვანეს იარაღს ამ მშენებლობაში წარმოადგენენ სამანქანო - სატრაქტორო სადგურები. როგორც პროლეტარულ სახელმწიფოს წარმომადგენელნი სოფლად, სამანქანო-სატრაქტორო სადგურები არა თუ ასრულებენ დიდ საწარმოო-ტეხნიკურ - ორგანიზაციულ მუშაობას, არამედ ამასთან ერთად თანაც უნდა გახდნენ პარტიის მნიშვნელოვან თანაშემწეებად კოლმეურნეობის მასების სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. მაგრამ ჩვენი საკოლმეურნეო მშენებლობა არ შეიძლება ახლა სწარმოებდეს საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარებაში კოლმეურნეობათა მონაწილეობის გარეშე. ხოლო საკოლმეურნეო ვაჭრობა საგრძნობლად აღვიძებს კერძო. მესაკუთრეობრივ მადას, რომელიც ცოცხლობს იჩენს და, რომელიც ცალკე კოლმეურნეთა მხრით ხშირად პირდაპირ ეწინააღმდეგება კოლმეურნეობის საზოგადოებრივ ინტერესებს, რომ არ ვილაპარაკოთ იმაზე, თუ ცუდად მოწყობილი საკოლმეურნეო ვაჭრობა ზოგიერთ შემთხვევაში კოლმეურნეთა ცალკე ჯგუფებს და მთელ კოლმეურნეობებსაც კი ხდის სპეკულიანტებად ბაზარზე. აქედან სრულიადაც არ უნდა გამოვიყვანოთ დასკვნა საკოლმეურნეო ვაჭრობის განვითარების მიზანშეუწონლობის შესახებ. აქედან ჩვენ სხვა დასკვნები გამოგვყავს. აქედან ჩვენ გამოგვყავს, დასკვნა, ჯერ ერთი, საკოლმეურნეო ბაზრებზედაც ფასების ერთგვარი მოწესრიგების აუცილებლობის შესახებ, კოლმეურნეთა შორის არსებულ ცალკე სპეკულიანტურ ელემენტებთან ბრძოლისათვის. და, მეორე, ის დასკვნა, რომ კოლმეურნეობათა შიგნით ყოველნაირად უნდა გაძლიერდეს **სოციალისტურ - აღმზრდელობითი** მუშაობა. აი, სხვათა შორის რატომ წამოიჭრა ახლა მთელ საკოლმეურნეო მშენებლობაში სამანქანო - სატრაქტორო სადგურების პოლიტიკური როლის გაძლიერების საკითხი. ადვილი გასაგებია. რომ მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები მიმართავენ ყოველგვარ ცდას გამოიყენონ თავისი ინტერესებისთვის ახლანდელი ვითარების სირთულე და აღნიშნული წინააღმდეგობანი. ძველი. ჩვენი წყობილებისადმი მტრულად განწყობილი ბურჟუაზიული საზოგადოების ნაშთებს, თავისებურად ებღაუჭებიან რა ისინი ყოველგვარ ხაბაზს ცალკე კოლმეურნეთა ჯგუფების და კოლმეურნეობების გასახრწნელად, თავისი პირდაპირი უფრო ხშირად კი არაპირდაპირი გავლენისათვის ცალკე სამეურნეო ხელმძღვანელების დასაქვემდებარებლად და სხვ. არ სურთ თვითონ წავიდენ სცენიდან და ყველგან, სადაც კი ჩვენ ვიჩენთ სისუსტეს და უდარდელობას, ან არათანამიმდევრობას, ან გაუფრთხილებლობას ისინი ცდილობენ არა თუ აარიდონ თავი მათთან [illegible] ხვას, არამედ კიდეც ხელთ იგდონ დროებით ბრძოლის ესა თუ ის უბანი. როცა სოფელში ერთპიროვნული გლეხური მეურნეობა ბატონობდა კულაკი და სხვა ანტისაბჭოთა ძალები ბევრ ხერხს მიმართავდენ წვრილ-ბურჟუაზიულ მასაში არსებული ამა თუ იმ მერყეობის გამოსაყენებლადო. მაგრამ ახლაც, კოლმეურნეობათა გამარჯვების პირობებშიც, წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის ელემენტები ხშირად ცხოველდებიან და ალაგ-ალაგ ძლიერდებიან. ხოლო ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალები ყოველთვის და ყოველნაირად ცდილობენ გამოიყენონ ასეთი მდგომარეობა თავისებურად, ანტისაბჭოთა მიზნებისათვის. მხოლოდ ბრმად - დაბადებულებს, რომელთა კატეგორიას ეკუთვნიან მემარჯვენე ოპორტუნისტებიც. და „მემარცხენე" ოპორტუნისტებიც, შეუძლიათ არ დაინახონ კულაკის და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების აქტიური როლი სოფლად პურის და სხვა საკოლმეურნეო დოვლათის ქურდობის და დატაცების მოწყობის საქმეში, ოღონდ ზიანი მიაყენონ კოლმეურნეობის საზოგადოებრივ საქმეს და მის მიერ სახელმწიფო დავალებათა შესრულებას.

ყოველივე აქედან გამომდინარეობს მმართველობის აპარატის ყოველნაირად გაძლიერების და გაუმჯობესების, პროლეტარული დიქტატურის შემდგომი გაძლიერების აუცილებლობა.

უნდა ნახოთ, როგორ იცვლება მმართველობის აპარატი სოფლად მეურნეობის სოციალისტური ფორმების გამარჯვების შემდეგ. ამ გამარჯვებამ თავისთავად გამოხატულება ჰპოვა 200 ათასი ახალი კოლმეურნეობის და რამდენიმე ათასი ახალი საბჭოთა მეურნეობის შექმნაში, ამასთან თუ სახელმწიფო არ მართავდა ინდივიდუალური მეურნეობათა მილიონებს, ამის თქმა, რასაკვირველია, არ შეიძლება საბჭოთა მეურნეობების მიმართ და კოლმეურნეობების მიმართაც კი. კოლმეურნეობებს როგორც სოციალისტური ტიპის ორგანიზაციებს არ შეიძლება უშუალო ხელმძღვანელობა არ გაუწიოს პროლეტარულმა დიქტატურამ.

თუ დავსძენთ, რომ პირველ ხუთწლედში შეიქმნა ახალ სამრეწველო, სატრანსპორტო და სხვა საწარმოთა დიდი რაოდენობა, გასაგები გახდება თუ რამდენად გაიზარდა ჩვენი მმართველობის აპარატი, რამდენად გართულდა იგი რამდენად გაიზარდა მმართველობის სიძნელეები. საჭიროა აგრეთვე გავიხსენოთ, რომ აქ, სადაც ჩვენი ორგანიზაციები სუსტ ხელმძღვანელობას უწევენ საწარმოებს, საბჭოთა მეურნეობებს და მით უფრო კოლმეურნეობებს, იქ ხელმძღვანელ ადგილებზე [illegible] ძვრებიან ჩვენი პოლიტიკური მტრები ბურჟუაზიული კლასის ნ[illegible] თან ხშირად ამ ვაჟბატონების შარშან ადგილებზე წარმოადგენენ ბურჟუაზიულად გადაგვარებული გახრწნილი ადამიანები პარტბილეთით (რომელთაც ადგილია არა პარტიაში, არამედ სხვაგან სადმე მისგან მოშორებით).

ჩვენს სახელმწიფო აპარატს ყოველთვის ახასიათებდა ბიუროკრატიზმი, საქმის გაჭიანურება და სხვა, მრავალი ბიუროკრატიული დამახინჯება ამა თუ იმ საბჭოთა სამეურნეო და სხვა ორგანიზაციებში ჩვეულებრივად დაკავშირებულია პროლეტარიატისათვის უცხო, ბურჟუაზიული ელემენტების მეტად დიდ პრაქტიკულ გავლენასთან ამ ორგანოების მუშაობაზე. ჩვენი საერთო კულტურულ ჩამორჩენილობის დროს არ შეიძლება არ სცოცხლობდეს ბურჟუაზიულ ბიუროკრატიული ტენდენციები, მაგრამ ახალ, თანამედროვე პირობებში მმართველობის აპარატის დიდათ ზრდის და მისი ამოცანების სირთულის გამო, განსაკუთრებით მწვავად სდგას ჩვენს ორგანიზაციებში ბიუროკრატიულ და სხვა ელემენტებთან ბოლშევიკური ბრძოლის საკითხი. მასების სწრაფი კულტურული ზრდა და აქტივის გაძლიერება სოციალისტურ მშენებლობაში საგრძნობლად შეუწყობს ხელს ბრძოლას ბიუროკრატიულ დამახინჯებასთან ყველა ჩვენს სამმართველო ორგანოებში.

საჭიროა აგრეთვე ანგარიში გაუწიოთ ჩვენდამი მტრულად განწყობილი კლასობრივი ძალების ბრძოლის ახალ ხერხებს, ასეთი ხერხები კი ცოტა არაა.

ჩვენ ხშირად ვხედავთ კონტრრევოლიუციური მავნებლობის ფაქტებს სამეურნეო აპარატში, ახლა ზოგიერთ შემთხვევაში ეს საქმე სწარმოებს უფრო მოქნილად წინანდელთან შედარებით. მტერი უფრო დახელოვნდა. უკანასკნელ წლების მანძილზე ჩვენ სამრეწველო საწარმოებსა და განსაკუთრებით საბჭოთა მეურნეობებში მიღებულ იქნა ბევრი ახალი მუშა, მათ შორის კი, მუშების სახით, შეიპარენ კულაკები და სხვა დაუძინებელი მტრები, რომელთაც, ერთი მხრით, შეუძლიათ ყოველნაირად სცადონ მავნებლობის მოწყობა, ხოლო მეორე მხრით, ფარული სისტემატიური და შეუპოვარი მუშაობის წარმოება იმისათვის, რომ გახრწნან ცალკე ჯგუფები საწარმოებში, წააქეზონ ისინი, რათა გააცდინონ სამუშაო დღეები, ჩაშალონ შრომის დისციპლინა და სხვა.

იზრდება სახელმწიფო და კოოპერატიულ სავაჭრო საწარმოთა ქსელიც, აქაც ძვრებიან ბევრი სხვადასხვა ჯურის სპეკულიანტები, გაკოტრებული ნეპმანი, ყოფილი კერძო ვაჭარი და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტები. ისინი აქ ძვრებიან იმისათვის, რომ ახლოს იყვნენ იმ დაწესებულებებთან და საწყობებთან, რომელთა მეშვეობით ნაწილდება დიძალი საბჭოთა საქონელი, რაც ზოგჯერ ცუდად ინახება და დიდ ცდუნებას წარმოადგენს ამ მიტმასხნილი გაიძვერებისა და არამზადებისათვის. მტერი რომელიც იძულებულია დაფაროს თავისი ბრჭყალები, ცდილობს ფარულად გამოუთხაროს ძირი ჩვენს ორგანიზაციებს. სახელმწიფო და საკოლმეურნეო ქონების გაფუჭება, მოპარვა და სხვ. გადაიქცა გაშლილი სოციალისტური მშენებლობის წინააღმდეგ ანტისაბჭოთა ძალების ბრძოლის ერთ-ერთ ჩვეულებრივ მეთოდათ. პროლეტარულმა სახელმწიფომ ამას დაუპირდაპირა ისტორიული დეკრეტი სახელმწიფო და საზოგადოებრივ საკოლმეურნეო საკუთრების დაცვის შესახებ და ახლა სოციალისტური (საზოგადოებრივი) საკუთრებისათვის ბრძოლის ამ დროშით უნდა გაიშალოს ფართო მუშაობა მუშათა და კოლმეურნეთა მასების დასარაზმავად კაპიტალისტური ელემენტების ლიკვიდაციისათვის, მათი წინააღმდეგობის და მათი, დამღრღნელი მუშაობის ჩაძლევისათვის.

ყოველივე ეს მოითხოვს აპარატის გაუმჯობესებას და პროლეტარული დიქტატურის ყოველნაირად გაძლიერებას. მოითხოვს ისეთ გაძლიერებას, რომ მუშათა და კოლმეურნეთა მრავალმილიონიანი მასა კიდევ უფრო მეტად დარწმუნდეს პროლეტარული სახელმწიფოს სიძლიერის ზრდაში, რომელიც სათუთად იცავს მშრომელთა ინტერესებს და ულმობელია მისი კლასობრივი მტრების მიმართ. ამ უმნიშვნელოვანესი ამოცანის ნამდვილად განხორციელებას და ამასთან სამეურნეო და ტეხნიკური კადრების საუკეთესო შერჩევის და მათი მუშაობის ნამდვილად ყოველდღიური შემოწმების უზრუნველყოფა— ასეთია ჩვენი პოლიტიკის გადაუდებელი ამოცანები. მხოლოდ ამ საფუძველზე გავსწევთ წარმატებით წინ ჩვენს წინაშე დასახულ სამეურნეო ამოცანების შესრულების საქმეში.

V. პარტია, მასები და ბრძოლა მეორე ხუთწლედისათვის

მიმდინარე წლის სახალხო-სამეურნეო გეგმისათვის განსაკუთრებით დამახასიათებელია ის, რაც პლენუმის განსახილველად წარმოდგენილ რეზოლიუციაში აღნიშნულია როგორც მეორე ხუთწლედის ძირითადი მხარე.

რეზოლიუციაში ნათქვამია შემდეგი:

„პირველი ხუთწლედისაგან განსხვავებით, მეორე ხუთწლედი იქნება უმთავრესად ახალ სამრეწველო საწარმოთა ათვისების ხუთწლედი, სოფლის მეურნეობის ახალი საწარმოების - კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების ორგანიზაციული განმტკიცების ხუთწლედი, რაც, რა თქმა უნდა, კი არ უარყოფს, არამედ გულისხმობს ახალი მშენებლობის შემდგომ განვითარებას. ეს იმას ნიშნავს, რომ მეორე ხუთწლედმა, თუ მას სურს მიაღწიოს სერიოზულ წარმატებას, **ახალი მშენებლობის** ეხლანდელი ლოზუნგი უნდა შეავსოს ახალ საწარმოთა და ახალი ტეხნიკის ათვისების ახალი ლოზუნგით".

და შემდეგ რეზოლიუციაში ნათქვამია. რომ ახალ საწარმოთა და ახალი ტეხნიკის ათვისების დიდ სიძნელეებთან დაკავშირებით აუცილებელია სამრეწველო პროდუქციის ზრდის ტემპების ერთგვარი შემცირება, ყოველშემთხვევაში, მეორე ხუთწლედის პირველი ორი ან სამი წლისათვის. ამ საფუძველზე საჭიროდ ვთვლით, პლენუმმა მოიწონოს წინადადება, რომ მეორე ხუთწლედში სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდა. განისაზღვროს 13—14 პროც. ნაცვლად პირველი ხუთწლედის 21—22 პროცენტისა. ბოლოს საჭიროდ მიგვაჩნია მოიწონოს პლენუმმა შემდეგი დებულება ჩვენი სამეურნეო ამოცანების შესახებ:

„მთავარი ყურადღება უნდა მიექცეს პროდუქციის არა რაოდენობრივ ზრდას,

გაგრძელება მე-4 გვერდზე

არამედ პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებას და შრომის ნაყოფიერების ზრდას მრეწველობაში, არა სათესი ფართობის გადიდებას, არამედ მოსავლიანობის ზრდას მიწათმოქმედებაში და მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას სოფლის მეურნეობაში".

რამდენადმე უფრო დაწვრილებით შევჩერდები იმ ტემპებზე, რომლებსაც ჩვენ ვსახავთ მეორე ხუთწლედის პირველი ხუთწლედისათვის.

თუ მეორე ხუთწლედისათვის მთლიანად სამრეწველო პროდუქციის ყოველწლიური ზრდის ტემპი დასახულია 13—14 პროცენტის რაოდენობით, მიმდინარე წლისათვის, მეორე ხუთწლედის პირველი წლისათვის, ჩვენ წინადადებას ვიძლევით დავსახოთ სამრეწველო პროდუქციის ზრდა 16,5 პროცენტის რაოდენობით. ეს რომ მეტად სერიოზული ღონისძიებაა, ამას უკვე ის ფაქტი მოწმობს, რომ შარშან სამრეწველო პროდუქციის ზრდამ მიაღწია მხოლოდ 8 ნახ. პროცენტს ოთხი ძირითადი სამრეწველო სახალხო კომისარიატის ხაზით.

კიდევ ორი ციფრი:

მთელი სამრეწველო პროდუქციის ზრდა გასულ წელს განისაზღვრება 3.400 მილიონი მანეთით, ხოლო 1933 წლისათვის ჩვენი დავალება მთელი სამრეწველო პროდუქციის ზრდის ხაზით უდრის 6 მილიარდ მანეთს. მრეწველობის მუშაობის ასეთ მასშტაბს არ შეიძლება სხვა რამე ეწოდოს, თუ არ გიგანტური, თუ არ სოციალისტური ინდუსტრიის ახალი სერიოზული შეტევა.

მაგრამ წვრილ-ბურჟუაზიული ელემენტების რიგებიდან სხვა ხმები გაისმის.

ამ მხრივ დამახასიათებელია გ. ზინოვიევის განცხადება, რომელიც მან გააკეთა ცენტრალურ საკონტროლო კომისიაში. რიუტინ-სლეპკოვის ანტისაბჭოთა ჯგუფთან დაკავშირებით ის ამბობდა:

„საერთოდ ჩემი შეხედულება ასეთია: რამდენადაც მე შემიძლია განვსაჯო, უკანასკნელ დროს პარტიელთა საკმაოდ საგრძნობ რაოდენობას ეუფლება უკანდახევის საჭიროების გაურკვეველი იდეა; საჭიროა რომელიმე გზით უკანდახევა. მე ვკითხულობ და მესმის, რომ არის უკანდახევის გაურკვეველი იდეა".

ზინოვიევს, როგორც ცნობილია, ძალიან უყვარს ყურისგდება „მიწისათვის". მას ახასიათებს თავისებური „ყურმახვილობა" წვრილბურჟუაზიული ელემენტების განწყობილების მიმართ. მაგრამ წვრილბურჟუაზიულ ელემენტებს შორის ასეთი განწყობილების არსებობაზე მითითება ყურადღების ღირსია. ასეთ ტიპიურ მემარჯვენე ოპორტუნისტულ განწყობილებას, მათ შორის ზოგიერთ პარტიულ წრეშიც, მართლაც აქვს ადგილი. დამახასიათებელია, რომ ამ განწყობილების ერთ-ერთი გამომხატველი აღმოჩნდა ემიგრანტი ტროცკი. ლევ ტროცკიმ ფეხი გამოყო ჩვენი სამეურნეო შედეგების და მიმდინარე წლის ამოცანების შეფასებით, თეთრგვარდიულად გაბერა რა ყოველგვარი შიში კრიზისის შესახებ, რომელიც თითქო დაატყდა ჩვენს მეურნეობას, ლ. ტროცკიმ გამოიყვანა თავისი დასკვნებიც, სხვებით „ბიულეტენის"-ის მსგავსად. მისი მთავარი ლოზუნგი იმაში მდგომარეობს, რომ შეტევის ბოლშევიკურმა პოლიტიკამ ძალიან შორს შეტოპა და ამიტომ საჭიროა.. უკან დახევა. ამ „უკანდახევის" გარშემო ტროცკი ცეკვავს და თამაშობს. იგი იძლევა უკან დახევის ლოზუნგს და წინადადებას იძლევა ერთი წლით გადაიდოს მეორე ხუთწლედის დაწყება. 1933 წლისათვის მას აქვს თავისი განსაკუთრებული ლოზუნგი. ეს წელი, წარმოიდგინეთ, უნდა იყოს „კაპიტალური რემონტის წელი", ერთი სიტყვით, ყოფილი „ზეინდუსტრიალისტისაგან" ხსენებაც არ დარჩა. ახლა მას თავში ერთი რამ უტრიალებს: უკან დახევა, უკანდახევა და უკანდახევა.

აი რა წყაროებიდან იკვებებოდა გ. ზინოვიევი. აი რა ადამიანთა განწყობილებამ მოახდინა მასზე თავის გავლენა. ბატონი ტროცკისტები, სლეპკოვები, რიუტინები და მათი მსგავსნი ახლა ერთ დუდუკზე მღერიან. ისინი ლაპარაკობენ ბურჟუაზიულად გადაგვარებული ელემენტების ენით. რას უნდა მოველოდეთ ამ ვაჟბატონებისაგან, გარდა გრძნობისა უკანდახევის შესახებ, გარდა სოციალიზმის ღალატისა? ჩვენ ჩვენი გზა გვაქვს. ჩვენ ვდგევართ შეტევის გზაზე. ჩვენ განვაგრძობთ პირველი ხუთწლედის ლენინისეულ შეტევის ხაზს.

მართლაც, ჩვენ სამართლიანად შეგვიძლია ვიამაყოთ ხუთწლიანი გეგმის შესრულებით მრეწველობაში 93.7 პროცენტით; მაგრამ, როგორც ცნობილია, ჩვენს მშენებლობაში საქმეს სწყვეტს მძიმე ინდუსტრია, ხოლო მძიმე ინდუსტრიის ხაზით პირველი ხუთწლიანი გეგმა ჩვენ შევასრულეთ 108 პროც.-ით მაშასადამე, გადამწყვეტ საქმეში, არა მარტო მრეწველობისათვის, არამედ მთელი სოციალისტური მეურნეობისათვის გადამწყვეტ საქმეში ჩვენ არა თუ მთლიანად, არამედ გადაჭარბებითაც შევასრულეთ პირველი ხუთწლიანი გეგმა. კოლექტივიზაციისა და საბჭოთა მეურნეობების მშენებლობის დავალებათა დიდი გადაჭარბებით შესრულებასთან ერთად, საბჭოთა კავშირის ეს წარმატება, ჭეშმარიტად წარმოადგენს მსოფლიო-ისტორიული მნიშვნელობის წარმატებას. ამ წარმატებებს ჩვენ სრულიადაც არ უნდა დავვსხას თავბრუ. ჩვენი მშენებლობის დეფექტებს ჩვენ არასოდეს არ ვჩქმალავდით და შემდეგშიაც არ ვაპირებთ ამას. ჩვენ კარგად გვახსოვს, რომ თვითკრიტიკის ლოზუნგი იყო ჩვენი ერთ-ერთი ძირითადი ლოზუნგი პირველი ხუთწლედის მთელი პერიოდის განმავლობაში, იყო პირველი ხუთწლიანი გეგმის გამარჯვებისათვის ჩვენი ბრძოლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი იარაღი.

და რაც არ უნდა ილაპარაკონ ჩვენმა კლასობრივმა მტრებმა აქ ან საზღვარგარეთ და რაც არ უნდა უმღერონ მათ ყოველგვარ ბურჟუაზიულად გადაგვარებულ ელემენტებმა, საბჭოთა კავშირი პირველი ხუთწლედის გამარჯვებას გამოიყენებს მათ წინააღმდეგ სოციალიზმის შემდგომი შეტევისათვის. ამაშია იმის საწინდარი, რომ ჩვენს მეორე ხუთწლედს, უკლასო სოციალისტური საზოგადოების შექმნისათვის ბრძოლის ხუთწლედს ექნება კიდევ უფრო მეტი საერთაშორისო მნიშვნელობა და იგი ჰპოვებს კიდევ უფრო მეტ აქტუალურ გამოხატულებას საერთაშორისო პროლეტარიატის ბედ-იღბალში, ვიდრე არსებული გიგანტური წარმატება და პირველი ხუთწლედის გამარჯვებაც კი.

მეორე ხუთწლედისათვის ბრძოლის წარმატების მიზნით, ჩვენ კიდევ ძალიან ბევრი რამ უნდა გავაკეთოთ. უნდა გადავლახოთ როგორც საშინაო, ისე საგარეო ხასიათის დიდი სიძნელეები.

ამხ. სტალინმა საკმაოდ განმარტა მრეწველობაში ხუთწლედის ნაწილობრივ შეუსრულებლობის მიზეზი. საერთაშორისო მდგომარეობამ და ჩვენი ქვეყნის თავდაცვის უნარის საგრძნობლად გაძლიერების საჭიროებამ მთელი რიგი საწარმოების გადაყვანით თავდაცვის თანამედროვე საშუალებათა წარმოებაზე, აიძულეს საბჭოთა კავშირი მსხვერპლად შეეწირა ზოგიერთი ინტერესები საერთო მრეწველობის განვითარებაში. მაგრამ, როგორც სჩანს, ზოგი ჭირი მარგებელია. საბჭოთა კავშირი ეხლა შეუდარებლად უკეთ უზრუნველყოფილია იმით, რასაც პირველხარისხოვანი მნიშვნელობა აქვს მისი თავდაცვისათვის და, მაშასადამე, მისი მშვიდობიანი მშენებლობის და მშვიდობიანი მიზნების დაცვისათვისაც. თავისთავად ცხადია, რომ თვით ხუთწლიანი გეგმაც ითვალისწინებდა მძლავრი საწარმოო ბაზის შექმნას საბჭოთა კავშირის თავდაცვის განსამტკიცებლად და გამანადგურებელი წინააღმდეგობის ნამდვილი უზრუნველყოფას იმ შემთხვევისათვის, თუ მოხდებოდა რაიმე თავდასხმა გარედან. ჩვენ ეხლა მზად ვართ ერთგვარი კმაყოფილებით ვაღიაროთ, რომ ამ მხრივაც ხუთწლედის ვარაუდები მთლიანად შესრულებულია.

თუ ომის საფრთხე აღნიშნული წლების განმავლობაში არა ერთხელ გვიახლოვდებოდა ჩვენ, ეკონომიური ომი საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ საგარეო ბაზრის სხვადასხვა უბნებზე სწარმოებდა და ეხლაც სწარმოებს შეუსვენებლივ. ამ წლების განმავლობაში ჩვენ გავიღეთ დიდი მსხვერპლი იმისათვის, რომ უფრო ჩქარა გაგვეთავისუფლებინა საბჭოთა კავშირი ტექნიკურ - ეკონომიური დამოკიდებულებისაგან, რომლითაც კაპიტალისტური ქვეყნების მიმართ საბჭოების ქვეყანამ მთელ რიგ სამეურნეო დარგებში მემკვიდრეობად მიიღო მეფის რუსეთისაგან. ამისათვის ჩვენ გვიხდებოდა გაძლიერებით დაგვეფინანსებინა მრეწველობისათვის საჭირო მოწყობილობის შემოტანა, ხოლო ორ უკანასკნელ წლამდე ტრაქტორების და სასოფლო-სამეურნეო მანქანების შემოტანაც.

ამისათვის ჩვენ აგრეთვე გვიხდებოდა დიდი თანხების დაბანდება ტექნ. კულტურების განვითარების საქმეში, რის შედეგადაც ეხლა ჩვენ უკვე გვაქვს საკუთარი საბჭოთა ნედლეულის ბაზა ჩვენი ინდუსტრიის თითქმის ყველა დარგებისათვის, განსაკუთრებით კი ფართო მოხმარების საგნების და მამზადებელ ინდუსტრიისათვის.

მაგრამ ამასთან შედარებით, იმპორტის აღნიშნული ხარჯების დაფარვის საჭიროებასთან შედარებით, ჩვენ უნდა მოგვეწყო ჩვენი საქონლის ექსპორტი, რაზედაც საგარეო ბაზრებზე ფასების უდიდესი დაცემის პირობებში ჩვენ დამატებით ვკარგავდით რამდენიმე ასეულ მილიონ მანეთს ოქროთი. ამასთან არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ხუთწლედის თითქმის ყველა ოთხმა წელმა განვლო უმსხვილესი მსოფლიო კრიზისის პირობებში, რომლის მიუხედავადაც ჩვენი მეურნეობა წლითი-წლობით სწრაფად მიდიოდა წინ თავის სოციალისტური ზრდაში.

იმის შესრულება, რაც შეასრულეს მუშებმა და სოფლის მშრომელებმა ამ წლების განმავლობაში, მათ შეძლეს მხოლოდ თავგანწირული რევოლუციური ენთუზიაზმის და გმირობის მეოხებით, რამაც ახალი აშკარა გამოხატულება ჰპოვა დამკვრელობის და სოციალისტური შეჯიბრების მასიურ ზრდაში.

მხოლოდ პარტიის პოლიტიკის სისწორემ და მისმა ბრძოლამ რკინისებური დისციპლინისა და თავიანთი რიგების ბოლშევიკური შემჭიდროებისათვის უზრუნველყვეს პირველი ხუთწლედის გამარჯვება.

მიმდინარე წლის — მეორე ხუთწლედის პირველი წლის ამოცანების შესასრულებლად, და უწინარეს ყოვლისა შრომის ნაყოფიერების ნამდვილად გასადიდებლად მრეწველობაში, სამრეწველო პროდუქციის ხარისხის გასაუმჯობესებლად და კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების მინდვრების მოსავლიანობის გასადიდებლად, ჩვენ ჩვენის მუშაობით უნდა უზრუნველვყოთ მასების კიდევ უფრო ფართოდ და აქტიურად დარაზმვა ჩვენი პარტიის გარშემო და მისი ხელმძღვანელობით.

განვლილია უდიდესი და სახელოვანი გზა. წინ, ლენინის გზით მეორე ხუთწლედის გამარჯვებისათვის! (ხანგრძლივი ტაში).

მსოფლიო პრესა ამხ. სტალინის მოხსენების შესახებ

„ხუთწლედის მიღწევები მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მიღწევებია"

შანხაი, 12 იანვარი. ჩინეთის პრესის ყურადღების ცენტრში მოქცეულია ამხ. სტალინის მოხსენება საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც.ს. კომისიის პლენუმზე.

„ჩაინა პრესს"-ი ვრცლად აქვეყნებს რა ამხ. სტალინის სიტყვას, სარედაქციო შენიშვნაში მიუთითებს:

„მიუხედავად იმისა, რომ სიტყვის საგრძნობი ნაწილი ეხება პირველი ხუთწლედის გამარჯვებებს და მეორე ხუთწლედის ვარაუდებს, სტალინმა დაწვრილებით გაარჩია საბჭოთა კავშირის მდგომარეობა შორეულ აღმოსავლეთში". გაზეთს გამოყოფილი აქვს ამხ. სტალინის სიტყვის ის ადგილები, სადაც ლაპარაკია საბჭოთა კავშირის სოციალისტური საძირკვლის აშენებაზე, კაპიტალისტური ქვეყნების დაქვეითებაზე და იმაზე, რომ კაპიტალისტურმა სისტემამ უკვე მოჭამა თავისი დრო და მან ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის მეორე, უმაღლეს, საბჭოთა, სოციალისტურ სისტემას.

„ჩუუნხუა-ში-ბაო", ათავსებს რა ამხ. სტალინის სიტყვის შინაარსს, ხაზგასმით აღნიშნავს მძიმე მრეწველობის ზრდას საბჭოთა კავშირში და სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის წარმატებებს.

„ჩაინა ტაიმს"-ი ინფორმაციას ამხ. სტალინის მოხსენების შესახებ იძლევა სათაურით: „ხუთწლედის მიღწევები მთელი მსოფლიოს მუშათა კლასის მიღწევებია", „ბურჟუაზიამ, რომელიც ირონიულად იყო განწყობილი ხუთწლედის დასაწყისში, სულ სხვა ტონი შეითვისა მისი დამთავრებისას".

ჩინეთში გამომავალი ინგლისური გაზეთები ათავსებენ ინფორმაციას ამხ. სტალინის სიტყვის შესახებ, ამასთან განსაკუთრებით აღნიშნავენ მოხსენების იმ ადგილებს, რომლებიც ეხება მდგომარეობას შორეულ აღმოსავლეთში და საბჭოთა კავშირის მზადებას თავდაცვისათვის. (ადს).

პარიზი, 12 იანვარი. „ლიუმანიტე" პირველ გვერდზე აქვეყნებს ამხ. სტალინის სიტყვას საკ. კ.პ.(ბ) ცეკას და ც.ს. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე. გაზეთს მოჰყავს შემდეგი ციტატა ამხ. სტალინის სიტყვიდან:

„ხუთწლედის შედეგებმა გვიჩვენეს, რომ კაპიტალისტური სისტემა უმწეოა და არამტკიცე, რომ მან უკვე მოჭამა თავისი დრო და ადგილი უნდა დაუთმოს მეურნეობის უფრო მაღალ, საბჭოთა, სოციალისტურ სისტემას".

იმავე ნომერში მოთავსებულია პლენუმისადმი მიძღვნილი წერილი. „პლენუმის სხდომებს,—სწერს „ლიუმანიტე",—ექნება უდიდესი მნიშვნელობა. პლენუმი შეაჯამებს პირველი ხუთწლედის შედეგებს და შეიმუშავებს 1933 წლის სამეურნეო გეგმას. პირველი ხუთწლედი, რომელსაც თავისი გიგანტური ფარგლებით ვერაფერი შეედრება კაცობრიობის ისტორიაში, განხორციელდა ოთხ წელიწადში. 1928 წლის დამლევიდან დაწყებული, საბჭოთა პროლეტარიატმა, კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით და ამხ. სტალინის მეთაურობით შესცვალა დედამიწის ერთი მეექვსედის სახე. მან საბჭოთა კავშირი გადააქცია ისეთ ქვეყნად, რომელსაც აქვს მძლავრი სამრეწველო ბაზა, ქვეყნად, რომელიც ვითარდება დამოუკიდებლად სოციალიზმის მკვიდრ საფუძველზე. ამავე დროს კაპიტალისტური მსოფლიო განიცდის სრულ დაქვეითებას, სულ უფრო და უფრო გაღრმავებულ კრიზისს, რომელსაც დასასრული არ უჩანს. ამხ. სტალინმა, რომლის სახელი სამუდამოდ დარჩება მჭიდროდ დაკავშირებული სოციალიზმის მშენებლობასთან, შეაჯამა განვლილი ოთხი წლის მანძილზე საბჭოთა კავშირში წარმოებული სოციალისტური მშენებლობის შედეგები, საბჭოთა პროლეტარიატის გამარჯვების შედეგები.

ამხ. სტალინის მოხსენება, რომელსაც ჩვენ დღეს ვაქვეყნებთ, უნდა გაისმას მთელ მსოფლიოში როგორც მძლავრი მოწოდება ჯერ კიდევ კაპიტალიზმის უღელ ქვეშ მყოფი პროლეტარიატის კლასობრივი მთლიანობისაკენ სოციალიზმის მშენებელი ქვეყნის დასაცავად" (ადს).

პარიზი, 12 იანვარი. „ტან"-მა, „ორდრ"-მა, „რეპუბლიკ"-მა და სხვა გაზეთებმა დღეს მოათავსეს ცნობა ამხ. სტალინის მოხსენების შესახებ საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ც.ს. კომისიის გაერთიანებულ პლენუმზე (ადს).

ბერლინი, 12 იანვარი. მთელი გერმანული პრესა კვლავ დიდ ყურადღებას აქცევს ამხ. სტალინის მოხსენებას საკ. კ.პ. (ბ) ცეკას და ცსკ-ის პლენუმზე. მემარჯვენე გაზეთებიც კი, თავის კომენტარიებში და პლენუმისათვის მიძღვნილ სპეციალურ წერილებში, იძულებულნი არიან აღიარონ ხუთწლედის დიდი მიღწევები.

„ფოლადის მუზარადი"-ს ორგანო „კრეიცცეიტუნგ"-ი სწერს:

„შეუძლებელია იმ ფაქტის უარყოფა, რომ მიღწევები ამ გეგმის ფარგლებში განსაკუთრებით დიდია და რომ რუსეთის ხალხის მოღვაწეობამ ბრწყინვალე შედეგები გამოიღო".

„კელნიშე ცეიტუნგ"-ის მოსკოველი კორესპონდენტი წერილში სათაურით „ხუთწლიანი გეგმა ფანტაზია არ არის" აგრეთვე ხაზგასმით აღნიშნავს: „ხუთწლედის მიღწევები უდავოა" (ადს).

ლონდონი, 12 იანვარი. პრესას მოჰყავს მოკლე ამონაწერები ამხ. სტალინის მოხსენებიდან:

„ტაიმს"-ს მოხსენებიდან გამოყოფილი აქვს ციტატა საბჭოთა ვალიუტის სიმტკიცის უზრუნველყოფის შესახებ.

„ფაინენ-შიელ ნიუს"-ი აღნიშნავს, რომ ხუთწლიანმა გეგმამ გაიმარჯვა მძიმე მრეწველობის დარგში.

„დეილი ტელეგრაფ"-ი აგრეთვე აღნიშნავს მძიმე ინდუსტრიის წარმატებებს.

„თუ,—ამბობს მოწინავე წერილში გაზეთი,—მხედველობაში მივიღებთ ინდუსტრიის ომისწინადროინდელ დონეს, მიღწეულია განსაცვიფრებელი პროგრესი". გაზეთი ცდილობს დაანუგეშოს თავისი ბურჟუაზიული მკითხველები ზოგიერთ საბჭოთა საწარმოს არარენტაბელობაზე" მითითებით (ადს).

პრაღა, 12 იანვარი. ჩეხო-სლოვაკიის ყველა გაზეთებს დაწვრილებით მოჰყავთ ადგილები ამხ. სტალინის მოხსენებიდან.

„ჩესკე სლოვო", ეხება რა მოხსენებას, აღნიშნავს:

„ქვეყნის ინდუსტრიალიზაცია, რომელიც ტარდება ლენინის მითითებათა მიხედვით, უეჭველად აღწევს წარმატებებს. არ შეიძლება სერიოზულად არ მივიღოთ სტალინის სიტყვები, რომ ინდუსტრიალიზაცია წარმოადგენს მუშებისა და ინჟინრების ენტუზიაზმის და თანამშრომლობის შედეგს. საბჭოთა კავშირის ინდუსტრიალიზაცია განსაკუთრებით მკაფიოდ მოსჩანს მსოფლიო ეკონომიური კრიზისის ფონზე".

„ნაროდნი ლისტი" და „ნაროდნაია პოლიტიკა" უკმაყოფილონი არიან მოხსენებით და ილაშქრებენ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ.

სტამბოლი, 12 იანვარი. გაზეთი „მილიეთ"-ი მოწინავე წერილში აფასებს ხუთწლედის შედეგებს და აღნიშნავს, რომ საბჭოთა კავშირი, მიუხედავად არახელსაყრელი პირობებისა, მტკიცედ და გიგანტური ნაბიჯებით მიდიოდა წინ დასახული მიზნისაკენ და დაიწყო მეორე ხუთწლედი. „ასეთი ტემპებით მუშაობა, — ამბობს გაზეთი, — საბჭოთა კავშირის დამახასიათებელი თავისებურებაა".

დასასრულ გაზეთი თურქეთის — მეგობრულად განწყობილი მეზობელი ხალხის — სახელით ულოცავს საბჭოთა კავშირს პირველი ხუთწლედის შედეგებს და უსურვებს მეორე ხუთწლედის წარმატებით შესრულებას.

ვენა, 12 იანვარი. ვენის პრესა დაწვრილებით ათავსებს ამხ. სტალინის სიტყვას საკ. კ. პ. (ბ) ცეკას და ცენტრალურ საკონტროლო კომისიის პლენუმზე.

„ნეიე ფრეიე პრესე" სწერს:

„სტალინის სიტყვა გამსჭვალულია ბოლშევიკური სახელმწიფოს იდეის განსახორციელებლად მიღწეულ წარმატებათა ამაყი შეგნებით".

ფაშისტური „დეიჩ — ესტერრეიხიშე ტაგესცეიტუნგ"-ი სწერს:

„ბოლშევიზმის საფრთხე" მდგომარეობს იმაში, რომ საბჭოთა კავშირის ხალხები მზად არიან „კიდევ გაიღონ მსხვერპლი ინდუსტრიალიზაციის ინტერესებისათვის". (ადს).

საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის დადგენილება.

მოსკოვი, 12 იანვარი. ვინაიდან გორკის მხარემ, ყირიმის ა. ს. ს. რესპუბლიკამ, შუა ვოლგის მხარემ, ლენინგრადის ოლქმა და ივანოვის ოლქმა ვადამდე შეასრულეს მათთვის ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს და ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მიერ დაწესებული პურის დამზადების წლიური გეგმა და მოიმარაგეს თესლი საგაზაფხულო თესვისათვის თანახმად ს.ს.რ. სახკომსაბჭოს და ს.კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 2 დეკემბრის დადგენილებისა ნება მიეცეს, დასახელებულ რაიონების კოლმეურნეობებს, კოლმეურნეებს და ინდივიდუალურ მშრომელ მეურნე გლეხებს დაუბრკოლებლივ მიჰყიდონ თავიანთი პური (ფქვილი, მარცვლეული და გამომცხვარი პური) სახელმწიფო და კოოპერატიულ ორგანიზაციებს და გასასყიდათ გაიტანონ ბაზრებზე და სადგურებზე თავიანთი ოლქის (მხარის, რესპუბლიკის) ფარგლებში.

ს.ს.რ.კ. სახკომსაბჭოს თავმჯდომარე ვ. მოლოტოვი (სკრიაბინი).

საკ. კ.პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. სტალინი.

4 იანვარს საწარმოებში ერთიანი საბჭოთა დღის ჩატარების შესახებ

საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის კომიტეტის სამდივნოს 1933 წლის 11 იანვრის დადგენილება.

1. მოწონებულ იქნას ტფილისის საბჭოს პრეზიდიუმის დადგენილება იმის შესახებ, რომ 14 იანვარს ჩატარდეს ერთიანი საბჭოთა დღე შემდეგი დღის წესრიგით:

რეალიზაცია საკავშირო სახკომსაბჭოს და საკ. კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის 1932 წლის 4 დეკემბრის დადგენილებისა „მუშათა მომარაგების და საბარათო სისტემის გაუმჯობესების საქმეში საქარხნო სამმართველოების უფლებათა გაფართოების შესახებ".

2. წინადადება მიეცეს საქართველოს კ. პ. (ბ) ტფილისის ორგანიზაციის რაიკომებს უზრუნველყონ დახმარების გაწევა ამ დადგენილების შესრულებაში.

3. ტფილისის კომიტეტის აგიტაციისა და მასიური მუშაობის განყოფილებამ, მიაწოდოს თბილისის კომიტეტის სამდივნოს ინფორმაცია ერთიანი საბჭოთა დღის ჩატარების შედეგების შესახებ.

ქაღალდის ახალი ქარხანა თბილისში

ოქტომბრის ბოლო რიცხვებიდან თბილისში დაიწყებენ ქაღალდის ახალი ქარხნის მშენებლობას. ქარხნისთვის საჭირო მოწყობილობის დიდი ნაწილი უკვე შეძენილია და გადმოგზავნილია თბილისში.

აღნიშნული ქარხანა გადაამუშავებს უმთავრესად ვაზის წალამს, რომლიდანაც, როგორც ეს უკვე დადასტურდა რუსეთის ქაღალდის ქარხნებში და სხვადასხვა ლაბორატორიებში ჩატარებულმა ცდებმა, შესაძლებელია საუკეთესო ქაღალდის მიღება. გარდა ამისა თბილისის ქარხანა გადაამუშავებს ქაღალდის მაკულატურასაც, რაც თბილისში, როგორც ამიერ-კავკასიის და საქართველოს დედაქალაქში უამრავი რაოდენობით გროვდება და რაც დღემდე იგზავნებოდა რუსეთის სხვადასხვა ქარხნებში გადასამუშავებლად.

თბილისის ქარხნის აგება უნდა დამთავრდეს მიმდინარე წლის განმავლობაში, რომ მომავალი წლიდან იგი უკვე სრული დატვირთვით ამუშავდეს. ქარხანა ყოველწლიურად გამოუშვებს 3.000 ტონა ქაღალდს, რაც თითქმის უზრუნველყოფს თბილისის ბეჭდვითი სიტყვის მოთხოვნილებებს. გამოშვებული იქნება უმთავრესად საწერი, შესახვევი და საწიგნე ქაღალდი.

ქარხნის ასაგებ ადგილად ამორჩეულია ნავთლუღი, სადაც უკვე გამოყოფილია მიწის ნაკვეთი და სწარმოებს სამშენებლო მასალების მომარაგება. მომავალი გაზაფხულიდან საქართველოს მევენახეობის რაიონებში დაწყებული იქნება აგრეთვე ვაზის წალამის დამზადება ქარხნისათვის.

ქარხნის ღირებულება დაჯდება 1.300.000 მანეთი.

ახალი დანიშვნა

საქ. ცაკის პრეზიდიუმის დადგენილების თანახმად ამხ. კ. ხიმერიკი დანიშნულია საქ. ცაკთან არსებულ სახელმწიფო სესხის და შემნახველი საქმის დამხმარე ცენტრალური კომისიის თავმჯდომარედ.

ოფიციალური განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

„საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიების თაობაზე" გამოცემული სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების შეცვლის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. საქართველოს სსრ-ის ქალაქებსა, საკურორტო ადგილებსა და მუშათა დაბებში მღრღნელთა წინააღმდეგ ბრძოლის ღონისძიებების შესახებ სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილების მე-2 მუხლი (საქ. სსრ კან. კრ. 1932 წ. მე-4 №-ი, მუხ. 42) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„2. ეზოებისა და სადგომების (საცხოვრებელი, სასაწყობო, საფაბრიკო-სამრეწველო, დაწესებულებების მიერ დაჭერილი და სხვა მისთ.) დერატიზაცია მოხდება პატრონის ხარჯზე განსაზღვრული სასყიდლით, რომლის ზღვრულ რაოდენობასაც აწესებს საქართველოს სსრ კომუნალური მეურნეობის სახალხო კომისარიატი; დერატიზაციას აწარმოებენ, ჯანმრთელობის ადგილობრივი ორგანოების მეთვალყურეობით და კონტროლით, ქვეყნის დაცვისა და საავიაციო-ქიმიური მშენებლობის ხელისშემწყობი საზოგადოების (საქ. ავიაქიმის) სადერატიზაციო რაზმები".

წინადადება მიეცეს საქალაქო საბჭოებსა და სარაიონო აღმასრულებელ კომიტეტებს შეუთანხმონ ზემოაღნიშნული დადგენილების მე-2 მუხლის ახალ რედაქციას ამავე დადგენილების 1-ლი მუხ. შესასრულებლად გამოცემული სავალდებულო დადგენილებანი.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: — **ბ. გოგია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: **ს. თოდრია.**

1932 წ. დეკემბრის 28.
თბილისი.

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახ. კომისართა საბჭოსი

შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელის რაოდენობის შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. დაწესებულ იქნეს, რომ შრომის საგზაო ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თითოეული დღისთვის, რაც მასზე მოდის, არ უნდა აღემატებოდეს მათი სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს.

2. ამისდა შესაბამისად „საქართველოს სსრ ტერიტორიაზე შრომის საგზაო ბეგარის განხორციელების შესახებ" გამოცემული 1930 წ. აგვისტოს 30-ის დადგენილების მე-7 მუხლის „დ" პუნქტის მეორე ნაწილი (საქ. სსრ კან. კრ. 1930 წ. მე-16 №-ი, მუხ. 256) მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„ამასთანავე, შრომის ბეგარაში პირადი შრომით მონაწილეობის ნაცვლად სარკინიგზო ტრანსპორტის მუშების და მოსამსახურეების და ბარიტის მრეწველობის საწარმოთა მუშების მიერ შესატანი ფულადი გადასახდელი შრომის ბეგარის თითოეული დღისთვის, რაც მათზე მოდის, არ უნდა აღემატებოდეს მათი სამუშაო ხელფასის დღიურ ძირითად განაკვეთს".

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **ფ. მახარაძე.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე: **ბ. გოგია.**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი: — **ს. თოდრია.**

1932 წ. დეკემბრის 28
თბილისი.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

მიიღება მხოლოდ ნაშუადღევის 3 საათამდე

დღეს, საღამოს 7 საათზე ამხ. წითლიძის კაბინეტში შესდგება თბ. ორგ. პარტაქტივის 1-ლი სემინარის მეცადინეობა, მეცადინეობას უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ბ. გოროდელაძე, ა. ნიდიგანი, ცატუროვი, დემეტრაძე, თვალჭრელიძე, არუთინოვი, ტრდატიანი, აფციაური, ჩხარტიშვილი, დოლიძე, მხეიძე; წიფურია, შელია, მინდაძე, თარასოვი, ბაბაიანი; ცხაკაია; გუგუშვილი, ოსიპოვი, მიქელოვი კიდაიშ, პილიევა; ს. არუთინოვა; შარაშიძე, მექავარიძე და ბიჩენკო.

დღეს, საღამოს 7 საათზე ამხ. მელაძის კაბინეტში (ოთახი № 8) შესდგება თბ. ორგ. პარტაქტივის მეორე სემინარის მეცადინეობა, რომელსაც უნდა დაესწრონ ქვემოთ ჩამოთვლილი ამხანაგები: ახალაძე, ჯინორია, გრიცენკო, სიხარულიძე, ფრანგიშვილი, დარსაძე; ხორბალაძე; გალინსკი, ჩუნიაშვილი, მაჭულაშვილი, ლისენკო, ჩერქეზია, რიზნერი, კირაკოზოვი, ხაჩიკიანი, მურღულია; შაროევი; ვერთანესიანი; გორგიჯანოვი, მელიქოვი, გოროდელაძე, ოვანესიანი; კიკნაძე; ნალბანდოვა, ნამურაძე; ვილოევა; სარქისოვა; კალანდაძე.

საქ. კ.პ. (ბ) თბილისის ორგ. ორჯონიკიძის სახ. რაიკომის კულტპროპგანყოფილება 15 იანვარს საღამოს 7 საათზე განათლების მუშაკთა სახლში (ფურცელაძის ქ.) იწვევს უჯრედების მდივნების და კულტპროპორგანიზატორების გაფართოებულ თათბირს—პარტსწავლების შედეგების შესახებ განვლილ სამ თვეში.

დასწრება თავისუფალია.

—:—

ცეკას კადრების განყოფილება წინადადებას აძლევს ამხ. ახოშაძეს (კოლმეურნ. შენი) ორი დღის განმავლობაში გამოცხადდეს კადრების განყოფილებაში ამხ.—ორჯონიკიძესთან.

—:—

დღეს საღამოს 6 საათზე საქართველოს მუზეუმის შენობაში (რუსთაველის პროსპექტი № 24) კოლეგიის წევრის ამხ. საკიანის კაბინეტში შესდგება ფართო თათბირი უმაღლეს სასწავლებლების, უმაღლეს ტექნიკური სასწავლებლების და სამეცნიერო საგამოკვლეო ინსტიტუტების კადრის გადასინჯვისა და მოწესრიგების შესახებ.

თათბირს უნდა დაესწრონ რესპუბლიკის უმაღლეს სასწავლებლების, უმ. ტექნიკურ სასწავლებლების, სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტების პარტუჯრედების მდივნები, პროფორგანიზაციები, დირექტორები, სახ. კომისარიატების და იმ ცენტრალურ სამეურნეო დაწესებულებების კადრების განყოფილებათა გამგეები, რომელთაც აქვთ თავისი ქვემდებარე უმაღლესი სასწავლებლები და სამეცნიერო-საგამოკვლეო ინსტიტუტები.

—:—

დღეს საღამოს 7 საათზე თბილისის საბჭოს წითელ დარბაზში საქ. კ.პ. (ბ) თბილისის კომიტეტის აგიტმას განყოფილება იწვევს ფართო თათბირს შემდეგ საკითხზე: წითელი არმიის ნაწილებზე პროლეტარული და კულტურული შეფობის მდგომარეობა. თათბირს უნდა დაესწრონ: იმ ორგანიზაციების სამკუთხედები, რომელთაც აღებული აქვთ შეფობა, საშეფო ნაწილების, კულტგანმანათლებელ დაწესებულებების, პროფსაბჭოების ც. გამგეობების და ნებაყოფლობითი ორგანიზაციების (განათლების განყოფილება, ხელოვნების მთავარი სამმართველო, განათლების მუშაკთა სახლი, რევოლუციის მუზეუმი, პროლეტმწერლობა, ხელოვნების სახლი, პოლიტკატორღელთა საზ., ძველი ბოლშევიკების საზოგადოება, წითელ პარტიზანელთა საზოგადოება, საშეფო საზოგადოება, რემედასი, ავტოგზა, თავდაცვა-ავიაქიმი, ყრუ-მუნჯთა საზოგადოება, კომკავშირი, „წერა-კითხვა", მებრძოლ ურმერთოთა კავშირი) წარმომადგენლები.

—:—

დღეს 12 საათზე საქ. კ.პ. (ბ) ცეკას მეცნიერების სექტორში ამხ. ბრეგვაძესთან უნდა გამოცხადდეს სამთო-მეტალურგიული ინსტიტუტის დირექტორი ამხ. მამულაიშვილი.

ოპერა

14 იან. 17 აბ. 6 წ.	15 იანვარს 15 აბ. მე-7 წარმ.	16 იან. 7 აბ. 7 წ.
ფაუსტი და ვალპ. ღამე	ჩიო ჩიო-სანი	ჯამბ ზეზი და ვალპ. ღამე

[illegible] 6 [illegible] 2 [illegible] ს. 64

[illegible]

15 იან. 8 აბ. 6 წ.	16 იან. 9 აბ. 6 წ.	17 იან. 10 აბ. 7 წ.
განგაში	განგაში	განგაში

მე-4 კვარტ. სავალდ. ბილეთი. ... ბილეთების მიღება სწარმოებს [illegible] 2 ს-მდე სალ. № 1. სალარო ღიაა დილის 11—2 და 6—9 საათ.
დასაწყისი სრულ 8 საათზე. ს. 63

ს. ს. რ. სახ. არტისტის კ. მარჯანიშვილის ხელმძღვანელობით რუსული თეატრი
პრემიერა
დღეს, 14 იანვარს
პიესის პირველ დადგმიდან 80 წლ. თავის აღსანიშნავად (პირველად დაიდგა 12 იანვ. 1853 წ.)
ზ. ანტონოვი
მზის დაბნელება საქართველოში
კომ. 3 მოქმ.
ინტერმედია „ძველი და ახალი თბილისი"
ბილეთები იყიდება თეატრის სალაროში. გაუქმებულია უფასო შესასვლელი ბილეთები და კონტრამარკები.
4—4 ს. 32

სახკინმრეწვის კინო-თეატრები

სოციალი კინო
ოქტომბერი აპოლო
5. 7 50. 9. 10 50
ოქტომბერი დღისით
2 50
დამკვრელი
[illegible] 6. 7 40 9. 20 11
ბავშვთა კინო
დამკვრელთან
[illegible] 12. 2
ტეხაროთა თეატრი
დამკვრელთან
[illegible] 7 8-30
კინო დარბაზი
[illegible]
ლიუქსემბურგ სახ.
კინო [illegible]
5. 7 9 11
რ. ლიუქსემბურგ სახ.
დღისით

კომედია პაპიროსის გამყიდველი ქალი მოსელპრომიდან
[illegible] № 44
[illegible] სურათი
ხავერ საფლავი
კომედია დია ზღვაში
პატი პატაშონის მონაწილეობით
[illegible] № 8
ძმების უფლება
[illegible] № 25
დნეპროშენი
[illegible]
ხმ. ტ. სურათი არ მინდა ბავში
პრ. გარ. სოიუზკინოს ჟურნალი 40
[illegible]
შაქირ (როტე-ფანე)
[illegible]
უკანასკნელი სიმწრაფე
[illegible] № 39.

ზრეშუმის მრეწველობის საფ.-საქ. სკოლა 7 წლ. გაზაზე
აცხადებს, რომ გახსნილია მიღება სეზამთრო შეკრების I კურსზე, მიიღებიან 7 წლედის კურს დამთავრებული ქალები ასაკით 15 წლიდან 20 წლამდე, 90 კაცი.
განცხადებასთან ერთად შემსვლელებმა უნდა წარმოადგინონ შვიდ-წლედის ატესტატი, დაბადების მოწმობა და სოც.-მდგომარეობის მოწმობა.
მოწაფეები უზრუნველყოფილი იქნებიან სტიპენდიით, დახურული განმანაწილებლით, დახურული სასადილოთი, ფეხსაცმელების შეკეთებით სახელოსნოთი უფასო სახელმძღვანელოებით და სხვა.
კურს დამთავრებულნი ვალდებულნი არიან იმუშაონ ფაბრიკაში 2 წელიწადი განცხადების მიღება 15 იანვრამდე, ყოველდღე 9 საათიდან 4 საათამდე, სკოლის კანცელარიაში—ტურგენევის ქ. № 9, ტელ. № 19—83.
6. 56 დირექცია.

ექიმი
ლ. ა. ფალავა
მარტ. სასქ. სო. სიფილისი, ვენერიული და კანის ძიღება საღ. 6-ნახ. —8 [illegible] ცეკოვა [illegible] № 148 [illegible]
13—1 228

ექიმი
ქ. თ. ფეშელაშვილი
განაახლა ავადმყოფების მიღება (კანი, ვენერიული და შარდ. სასქესო ორგან. სნეულებანი)
ბელგიის ქ. № 1. დილით 8½—9 საღ. 7—8 ს.

ექიმი
ს. ი. ანდრეევა
დაბრუნდა
კისლოვოდსკიდან და განაახლა ავადმყოფების მიღება [illegible] საღ. 5—7, ელბაქიძის დაღმ. 29 (ყ. ვერის ხიდთან) ტელ 11—78. 872

ექიმი
მ. ბ. სესიშვილი
[illegible] და ქალთა სნეულებანი მიიღება 5—7 საათამდე. [illegible] (გუნიბის) ქუჩა № 26. 6

თანახმად საკავშირო სახკომსაბჭოს და საკავშირო კომპარტიის ცეკას 1932 წლის 4 დეკემბრის დადგენილებისა
თბ. მაუდის ფაბრიკის მუშათა დახურული კოოპერატივი
1932 წლის 1 დეკემბრიდან
ლიკვიდაციაქმნილია
ყველა ორგანიზაცია და პირები, რომელთაც აქვთ რაიმე პრეტენზიები ზემოხსენებულ ორგანიზაცია თან. ვალდებულნი არიან თავიანთი წარმოადგინონ ლიკვიდკომს ა/წ 20 იანვრამდე თბილისში (დიდუბე) მაუდის ფაბრიკაში, რის შემდეგ არავითარი პრეტენზიები არ იქნება განხილული.
192 ლიკვიდკომი

თანახმად საერთო კრების დადგენილებისა ხდება „ინშრომა"-ს სატრანსპორტო [illegible] ლიკვიდაცია
ყოველივე პრეტენზიები მიიღება 20 იანვრამდე რის შემდეგ განცხადებები არ იქნება განხილული და დაკმაყოფილებული.
ლიკვიდკომი.
875

დამწუხრებულნი: და [illegible] ბიძაშვილები: [illegible] ლახო [illegible], ალექსი [illegible] თავიანთი ცოლშვილით აუწყებენ ნაცნობ-ნათესავებს
ივანე გრიგორის-ძე ავსაჯანიშვილის
გარდაცვალებას გამოსვენება დღეს 5 საათზე, ელექტრო ი. შეს. № 3. ვერის სასაფლაოზე ,07

დამწუხრებული დედა [illegible], ცოლი [illegible] შვილებით, ძმა [illegible] ცოლით დები: [illegible] ქმრით [illegible] დისშვილები [illegible]
გიორგი გეგანიშვილის
გარდაცვალებას. გამოსვენება 14 იანვარს 4 საათზე [illegible] 211

[illegible] ცოლი, [illegible], რომ 12 იანვარს გარდაიცვალა [illegible] და [illegible]
შუშანა (ლახათუნა) ნაცვალაძე
[illegible] 5 იანვარს 4 საათზე [illegible] სამოქ. პანაშვიდი 4 იანვარს საღამოს 6 ს. სანაპიროს ქ. № 1. 217

დამწუხრებულნი: [illegible] კოლია, შვილები [illegible] ოლია, შურა, ნიკო თათიაშვილი [illegible] იუწყებიან [illegible]
ნინუცა (ნინა) თათეიშვილის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 იანვარს ს [illegible] 20

[illegible] შვილები: [illegible] ჟორა, რძალი [illegible] და [illegible] ხარაზოვა [illegible] იუწყებიან [illegible]
ნინა პეტრეს ასული გვათუას
გარდაცვალებას. გამოსვენება 14 იანვარს 4 საათ. კლარაცეტკინის ქ. № 9) კუკიის სასაფლაოზე 223

დამწუხრებული შვილები: ინდიკო ზინა მურა [illegible] სიძე [illegible]. შვილები [illegible] იუწყებიან
ბესო დავითულიანის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 5 იანვარს გამოსვენება 4 საათზე ოქროყანის ქ. № 27 224

სამუდამოთ დაუვიწყარი [illegible]. ცოლი ნინა [illegible] და ანიტა, სიძე ზაქარა, [illegible] იუწყებიან, რომ
ილა ძუციკაშვილის
სამოქალაქო პანაშვიდი შესდგება დღეს 3 ს ნავთლუღის სასაფლაოზე 213

მეუღლე [illegible] და ნატალია შვილები: ნატაშა ვალენტინა, ლუდმილა, ვახტანგი [illegible] იუწყებიან მათთვის ძვირფასი
რაჟდენ ივანეს-ძე ბახტაძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 15 იანვარს საღამოს 5 საათზე, კუკიის სასაფლაოზე 218

ქმარი [illegible]. შვილი [illegible] და ანასტასია, ძმები: [illegible], აკაკი. შალიკო [illegible] რძალი ტატია და [illegible] ლუბა სოხია [illegible] იუწყებიან
ოლია მოსახლიშვილი გზვანელის
გარდაცვალებას. გამოსვენება 14 იანვარს 5 ს. [illegible] 10. 226

მწუხარებაში მყოფი სიძე აკაკი [illegible] თინათინ და [illegible] აუწყებს [illegible]
კონსტანტინე (კოწია) ქავთარაძის
უდროოდ დაკრძალვა 15 იან. [illegible] 215

[illegible] თამარ [illegible] ლევან [illegible]
თამარ ისაკის-ასულ კალანდარიშვილის
უდროოდ გარდაცვალებას [illegible] 21

და [illegible] ქმარი [illegible] და [illegible] იუწყებიან [illegible]
ფაცია გიორგის-ას შალამბერიძის
გარდაცვალებას. დაკრძალვა 17 იანვარს ზესტაფონში 2

მუხრანის საბჭოთა მეურნეობის მუშა მოსამსახურენი იუწყებიან ამა მეურნეობის [illegible] და [illegible] მამის და მეორე [illegible]
ალექსანდრე მგელაძის
გარდაცვალებას 212

[illegible] ძმა [illegible] ალექსანდრე, ნიკალა, დები: [illegible], ზინა [illegible]
კატო ჩაჩანიძე მხეიძის
უდროოდ გარდაცვალებას [illegible] 15 [illegible] 4 საათზე [illegible] სასაფლაოზე 214

დამწუხრებულნი: [illegible] შვილებით: ლუბა მურა, [illegible], ისაია, თამარა იუწყებიან საყვარელი
გიორგი ერმალოზის-ძე კობალაძის
გარდაცვალებას. და აფლავება 14 იანვარს სამებაში (გურია) 20

ღრმად დამწუხრებული მეუღლე [illegible], [illegible] ვაჟიშვილი [illegible], რძალი [illegible] იუწყებიან, რომ 10 იანვარს გარდაიცვალა [illegible]
გერასიმე მარკოზის-ძე ლომაია
დაკრძალვა 4 [illegible]